ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 26 ნოემბერი, 2013 | №280 (6281) | ფასი: 30 თეთრი

26 ნოემბრიდან!
„ახალი თაობა“
+
ეს საამყარო
ტროპიკული ტყეები
10 ლარი

# განხეთქილება „ქართულ ოცნებაში“

## ზაზა პაპუაშვილი თბილისის მერის პოსტზე დავით ნარმანიას კანდიდატურას მხარს არ უჭერს

გვ.3

## დემურ გიორხელიძე: „ბიზნესი ისევ ნაციონალების ხელთაა“

გვ.4

600 მლნ-იანი გარღვეული ბიუჯეტი და არაეფექტური მთავრობა

## უკრაინა: ევრომაიდანი ევრორევოლუციაში გადაიზარდა?

გვ.11

უკრაინელმა ხალხმა არჩევანი უკვე გააკეთა, ახლა ჯერი მთავრობაზეა, — ამბობენ ექსპერტები

## სოსო ცისკარიშვილი: „თბილისის მერი პოლიტიკოსი უნდა იყოს“

გვ.2

გვ.7

## პამლეტ ჭიპაშვილი: „გიორგი მარგველაშვილს სერიოზულად ვერ აღვიქვამ

## პაატა ზაქარეიშვილი: „რუსებმა მავთულხლართების გავლება შეაჩერეს“

გვ.2

გვ.2

## ვის დანიშნავს ღარიბაშვილი ვიცე-პრემიერებად

## შოთა მალაშხია: „არანაირ სექსუალურ ორგიაში არ ვმონაწილეობდი“

გვ.6

გვ.6

## როგორ ესმის ქართველ საზოგადოებას გენდერული თანასწორობა?!

ISSN 1987-9385

**7** თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსად გიორგი დალაქიშვილი დაინიშნა

**3** 900 სამხედრო მოსამსახურეს ბინები საკუთრებაში გადეცემა

**7** სამეგრელო-ზემო სვანეთის ოლქს ახალი პროკურორი ჰყავს

**3** ღარიბაშვილი ქართველ მეზღვაურებს ევროკავშირის აღიარებას ულოცავს

# ვის დანიშნავს ღარიბაშვილი ვიცე-პრემიერებად

ნათია ხურცილავა

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ მთავრობის პირველი სხდომა ჩაატარა. ღარიბაშვილმა მინისტრთა კაბინეტს ახალი მთავრობის პირველი სხდომა მიულოცა. მინისტრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 32 საკითხი, მათ შორის, სამი საიდუმლო საკითხი განიხილეს. თუმცა, გუშინ ჟურნალისტების მთავარ ინტერესს საკადრო საკითხი წარმოადგენდა. შეიცვლებიან თუ არა ვიცე-პრემიერები?

როგორც ენერგეტიკის მინისტრმა და ვიცე-პრემიერმა კახი კალაძემ განაცხადა, პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი თავად დაასახელებს, თუ ვინ იქნებიან ვიცე-პრემიერები. კიდევ ერთი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ვიცე-პრემიერის პოსტზე დარჩენასთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს.

ყოფილ პრემიერ ბიძინა ივანიშვილს ორი ვიცე-პრემიერი ჰყავდა – კახი კალაძე და გიორგი კვირიკაშვილი. ამ პოსტს ასევე იკავებდა ირაკლი აღასანია, რომელიც, ივანიშვილის გადაწყვეტილებით, კვირიკაშვილმა ჩაანაცვლა.

მთავრობის სხდომას მინისტრთა კაბინეტი სრული შემადგენლობით ესწრებოდა. ვიცე-პრემიერების შემდეგ საკადრო საკითხი მინისტრების მოადგილეებს შეეხოთ. სოზარ სუბარის ერთ-ერთმა მოადგილემ შესაძლოა, თანამდებობა დატოვოს.

როგორც სასჯელაღსრულების მინისტრმა განაცხადა, მისი ერთ-ერთი მოადგილე საკუთარი სურვილით აპირებს სხვა სამსახურში გადასვლას.

– საკადრო ცვლილებები, სავარაუდოდ, იქნება. შეიძლება, მოადგილის დონეზე. ეს ჩემი გადაწყვეტილება არ არის, თვითონ ერთ-ერთი მოადგილე სხვა სამსახურში გადასვლას აპირებს. ეს თვის ბოლომდე გახდება ცნობილი, – განაცხადა სუბარმა, თუმცა არ დაუკონკრეტებია, რომელ მოადგილეზე საუბრობდა.

მოგვიანებით გაირკვა, რომ სოფო ჯაფარიძემ სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილის თანამდებობა დატოვა. ასევე შეცვალა მოადგილეები იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა. იუსტიციის მინისტრის თქმით, მისი პირველი მოადგილე, დავით ჯანდიერის ნაცვლად, სანდრო ბარამიძე იქნება. წულუკიანის თქმით, მან მეოთხე მოადგილედ აღსრულების ეროვნული ბიუროს ამჟამინდელი ხელმძღვანელის მიხეილ სარჯველაძის კანდიდატურა წარადგინა.

– მე პრემიერს წარვუდგინე ჩემი მოადგილეები, განახლებული გუნდი. პირველ მოადგილედ შევთავაზე სანდრო ბარამიძის კანდიდატურა. რაც შეეხება ჩემს მოადგილეებს გოჩა ლორთქიფანიძესა და ალექსანდრე ბურჭულაძეს, ისინი საქმიანობას გააგრძელებენ. რაც შეეხება მეოთხე მოადგილეს, წარვადგინე აღსრულების ეროვნული ბიუროს ამჟამინდელი ხელმძღვანელი მიხეილ სარჯველაძე. ეს ის გუნდია, ვისთან ერთადაც მსურს ის სერიოზული საქმე გავაგრძელო, რომელიც ახლა უკვე, ხელმეორე ნდობის პირობებში, პარლამენტმა მისცა მთავრობას, – განუცხადა პრესას თეა წულუკიანმა.

მინისტრის განცხადებით, საპარლამენტო მდივანი ალექსანდრე ბარამიძე იქნება. რაც შეეხება უკვე ყოფილ პირველ მოადგილეს, დავით ჯანდიერს, მასზე წულუკიანი განმარტებას აკეთებს:

– რაც შეეხება დავით ჯანდიერს, მე მას ვიცნობ ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან, როცა სტრასბურგის სასამართლოში ჩემი სტაჟიორი იყო. ბოლო წელი ერთად ვიმუშავეთ და ეს იყო გამოცდა ყველასთვის გამძლეობაში, სერიოზულობაში, საქმისადმი სწორ მიდგომაში. ამ ყველაფრის შეფასების შედეგად გადავწყვიტე, რომ მოადგილე იყოს სხვა, – განაცხადა წულუკიანმა.

წულუკიანს პასუხობს ჯანდიერი საკუთარი „ფეისბუკის“ გვერდიდან:

– თეა წულუკიანი გავიცანი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, სადაც, როგორც იურისტი, სტაჟირებას გავდიოდი (კონკრეტულად ვინმეს სტაჟიორი არ ვყოფილვარ). უკეთ კი იუსტიციის ამჟამინდელმა მინისტრმა გამიცნო მაშინ, როდესაც გირგვლიანის ოჯახის ინტერესებს ვიცავდი ევროპულ სასამართლოში და მაშინ, როდესაც „ქართული ოცნების“ საარჩევნო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ვიყავი ნაძალადევის რაიონში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში, – წერს ჯანდიერი საკუთარ გვერდზე.

იქვე დასძენს ჯანდიერი, რომ „განვლილი ერთი წელი იუსტიციის სამინისტროში მაფიქრებინებს, რომ ერთგულად, წესიერად ვემსახურე იმ საქმეს, რომელიც მე, როგორც საჯარო მოხელეს, მევალებოდა. გადაწყვეტილებებს ყოველთვის გაბედულად ვიღებდი, თუმცა საკითხის სათანადოდ აწონ-დაწონვისა და გაანალიზების შემდეგ.“

როგორც აღვნიშნეთ, წულუკიანმა პირველი მოადგილის თანამდებობაზე, რომელსაც დავით ჯანდიერი იკავებდა, პრემიერს დასამტკიცებლად სანდრო ბარამიძე წარუდგინა. ასევე, წულუკიანის მოადგილეები იქნებიან: მიხეილ სარჯველაძე, გოჩა ლორთქიფანიძე და ალექსანდრე ბურჭულაძე.

კიდევ ერთი ვაკანტური მინისტრის პოსტი რჩება ახალ მინისტრთა კაბინეტში. როგორც ცნობილია, ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია დედაქალაქის მერობის კანდიდატი ხდება. თუმცა, ის ჯერჯერობით მინისტრის რანგში მუშაობას აგრძელებს. დავით ნარმანიას შოთა მურღულიას შემცვლელი ჯერ არ შეურჩევია.

როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა განაცხადა, კონსულტაციები მიმდინარეობს და მისი ერთ-ერთი მოადგილის ვინაობა უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.

როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა განაცხადა, მას შემდეგ, რაც იგი თბილისის მერობის კანდიდატად ოფიციალურად დასახელდება, მინისტრის უფლებამოსილებას მოიხსნის.

– მე არ ვაპირებ წინასაარჩევნოდ ადმინისტრაციული რესურსი გამოვიყენო. აქამდეც არ გამომიყენებია, როცა მარგველაშვილის წინასაარჩევნო კამპანიაში ვიყავი ჩართული. საარჩევნო კანონმდებლობა მაძლევს საშუალებას, რომ ვიდრე ოფიციალურად არ დავსახელდები მერობის კანდიდატად, მინისტრის საქმიანობა გავაგრძელო, მით უმეტეს, ჩვენ პროექტებს თბილისში არ ვახორციელებთ, მას შემდეგ, რაც ჩემი კანდიდატურა ოფიციალურად დასახელდება, უფლებამოსილებას მოვიხსნი, – განაცხადა ნარმანიამ.

კითხვაზე, როდის ჩატარდება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, მინისტრის თქმით, აღნიშნულთან დაკავშირებით კონსულტაციები მიმდინარეობს და მას პრეზიდენტი დანიშნავს.

# პაატა ზაქარეიშვილი: „რუსებმა მავთულხლართების გავლება შეაჩერეს“

ნათია ხურცილავა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიის სიახლოვეს რუსეთის ფედერაციის მიერ მავთულხლართების გაბმისა და შემდეგ შეჩერების, შემდეგ კი სოფელ ბერშუეთში განვითარებული მოვლენები გახდა აქტუალური. რუსი სამხედროები ქარელის რაიონში გამოჩნდნენ. მათ სოფელ ღოღეთში ადგილობრივების ნაკვეთებში ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერები დაამონტაჟეს. შსს-ის წარმომადგენლების განცხადებით, სიტუაციას ადგილზე სწავლობენ. შსს-ს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი დავით სუჯაშვილი აცხადებს, რომ აღნიშნულ საკითხს ჟენევის მოლაპარაკებებში განიხილავენ. გარდა ამისა, შსს-ს წარმომადგენლებმა ინფორმაცია ამის შესახებ უკვე მიაწოდეს ევროკავშირის წარმომადგენლობას.

ასევე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ სოფელ ბერშუეთში, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, ოსები მიწის ნაკვეთს ამუშავებდნენ. სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილმა შეფასებები გააკეთა სოფელ ბერშუეთში საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ოსების მიერ მიწის ნაკვეთის დამუშავებასთან დაკავშირებით.

კითხვაზე, ხომ არ უკავშირდება ეს ფაქტი ვილნიუსის სამიტის მოახლოებას, ზაქარეიშვილი შენიშნავს, რომ გამორიცხული არაფერია.

– გამორიცხული არაფერია, მაგრამ აშკარაა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით მავთულხლართების გაბმა შეჩერდა და ამ ეტაპზე ეს საკითხი აქტუალური არ არის. თუმცა, ყურადღების გამახვილება საჭიროა, – აღნიშნა პაატა ზაქარეიშვილმა.

გუშინ კიდევ ერთი საკითხი, რაზეც მთავრობამ იმსჯელა, რელიგიურ გაერთიანებებთან დაკავშირებული უწყებათაშორისი კომისიის შექმნის დადგენილება იყო. აღნიშნულ კომისიაში ფინანსთა, იუსტიციის, განათლების, კულტურისა და სხვა უწყებების წარმომადგენლები შევლენ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი სახელმწიფო მინისტრმა გააკეთა.

– მოგეხსენებათ, რომ საქართველოს სახელმწიფოს სამართლებრივი ურთიერთობა მხოლოდ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან გააჩნია. ეს რეგულირდება ე.წ. კონკორდატით. სხვა რელიგიურ გაერთიანებებთან სახელმწიფოს სამართლებრივი ბმა არ გააჩნია, რაც იწვევს გარკვეულ გაუგებრობებს. მაგალითად, დაფინანსების კუთხით და ა.შ. ამიტომ შეიქმნა ეს სამთავრობო უწყებათაშორისი კომისია, – განაცხადა რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა.

# სოსო ცისკარიშვილი: „თბილისის მერი პოლიტიკოსი უნდა იყოს“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტ სოსო ცისკარიშვილთან

*– როგორია თქვენი, როგორც ექსპერტის, შეფასებები ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებთან დაკავშირებით? ბიძინა ივანიშვილმა უკვე ოფიციალურად დატოვა თანამდებობა და პოსტი ღარიბაშვილის გადაუალოცა. რას უნდა ველოდოთ უახლოეს პერიოდში?*

– მიმდინარე პროცესები შეგვიძლია ჩავთვალოთ ლოგიკურ გაგრძელებათ იმ მოვლენებისა, რასაც ადგილი აქვს 2012 წლის ოქტომბრიდან. ვგულისხმობ ქართული ოცნების მიერ სახელისუფლო ბერკეტების ხელში აღებას და საკუთარ თავში დარწმუნებას, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტის თანამდებობაც დაკავებულია მათი ფავორიტის მიერ. ცხადია, საქართველოს მოსახლეობის აშკარა მხარდაჭერით. თითქოს უნდა მიგვეღო ახალი რეალობა, სადაც ორხელისუფლებიანობას ადგილი არ ექნებოდა. ჯერჯერობით შეგვიძლია ვისაუბროთ მხოლოდ ტენდენციაზე. რაც გულისხმობს პრეზიდენტის ინსტიტუტის ჩართვას ქვეყნის აღმშენებლობაში და არა თავისი სახელმწიფოს დამცირებასა და ცილისწამების რეჟიმში მოხსენიების, როგორც ადგილი ჰქონდა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე. თუმცა საპარლამენტო ჯგუფს ნაციონალური მოძრაობისა, ჯერჯერობით, როგორც ჩანს, კვლავ შიში ამოძრავებს საკუთარი მომავლის მიმართ და აგრძელებენ ქმედებას, იმ ფორმულის მიხედვით, რაც ცნობილია ყველასათვის – ანუ შეტევა თავდაცვის ყველაზე საუკეთესო საშუალებაა. მათ გადაწყვიტეს, შეტევა განეხორციელებინათ ახალ პრემიერ-მინისტრზეც, როდესაც იგი მათ პარლამენტში ეწვია, მაგრამ ვფიქრობ, სწორედ საპარლამენტო უმცირესობა დარჩა წაგებული ამ შეხვედრის შედეგად. გამომდინარე იქიდან, რომ ისინი არ იყვნენ მზად კონტრშეტევების მოსაგერიებლად. თვლიდნენ, რომ როგორც ბატონ ივანიშვილს დახვდნენ უზრდელი გამონათქვამებით, ასევე მშვიდობიანად დანასკნელს საშუალებას მშვიდი ცხოვრებისა და ამიტომაც მათი მხრიდან კვლავ გაისმის მოწოდებები დასავლეთის მიმართ, რომ ყურადღება მიაქციონ საქართველოში შერჩევით სამართალს და პოლიტიკურ დევნას.

*– რამდენად ელით სამართალდამცავი ორგანოების გააქტიურებას სამართლიანობის აღდგენის კუთხით?*

– არ გამოვრიცხავ, რომ უფრო გააქტიურდეს ქართული მართლმსაჯულება, იმ საქმეთა გამოძიების კუთხით, რომლის მოლოდინი პრაქტიკულად უსაფუძვლო გამოდგა განვლილი ერთი წლის განმავლობაში. თუმცა ამას წინსწრებად აუცილებლად უნდა გააჩნდეს სრულფასოვანი ინფორმაცია და არა დეზინფორმაცია. რასაც დღემდე ეყრდნობა ჩვენი ქვეყნის კეთილისმსურველი ბევრი ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსი. რადგან სხვა ინფორმაციის წყარო საქართველოდან, გარდა ნაციონალური მოძრაობის მიერ შელამაზებული ფაქტებისა, არ გააჩნიათ.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# განხეთქილება „ქართულ ოცნებაში“

## ზაზა პაპუაშვილი თბილისის მერის პოსტზე დავით ნარმანიას კანდიდატურას მხარს არ უჭერს

შორენა მარსაგიშვილი

პოლიტიკურ სპექტრს ახალი სანერვიულო და სალაპარაკო გაუჩნდა. თბილისის მერის პოსტზე დავით ნარმანიას კანდიდატურის დასახელებას დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. ნარმანიას მიმართ მთავარი პრეტენზია მისი არათბილისური წარმომავლობაა. პოლიტიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს ფაქტორი ამომრჩეველზე მნიშვნელოვნად იმოქმედებს.

ამ მოსაზრებას იზიარებს ექსპერტი მამუკა არეშიძეც. მისი აზრით, დავით ნარმანიას არათბილისური წარმოშობა ელექტორატის განწყობაზე იმოქმედებს. არეშიძეს მერობის კანდიდატის ასეთი ნაადრევი დასახელებაც არ მოსწონს.

– დავით ნარმანია არის კარგი ორგანიზატორი, კარგად გაართვა საქმეს თავი. ენერგიული ადამიანია, დიდი ხანია ვიცნობ და მხოლოდ დადებითი შემიძლია ვთქვა, თუმცა, ბუნებრივია, არის მინუსებიც – ის ბუნებით რბილი ადამიანია. მისი კანდიდატურის ასე ნაადრევად დასახელება გამოიწვევს იმას, რომ სხვა კანდიდატურები, რომლებიც აუცილებლად გამოჩნდებიან, შესაბამისად ააწყობენ თავის საარჩევნო კამპანიას და ნარმანიას ფიგურის პლუსებს და მინუსებს აუცილებლად გაითვალისწინებენ. მიმაჩნია, რომ მას გაუჭირდება. რასაკვირველია, არსებობს მოსაზრება, რომ თბილისის მერი წარმოშობით თბილისელი უნდა იყოს. მე არ ვთვლი, რომ ეს გადამწყვეტი მინუსია, თუმცა ის, რომ ნარმანია თბილისელი არ არის, ელექტორატის განწყობაზე აუცილებლად იმოქმედებს. კიდევ ვიმეორებ, ამას ჩემთვის არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, მთავარია, ადამიანი საქმის გამკეთებელი იყოს, – განაცხადა მამუკა არეშიძემ.

დავით ნარმანიას მერობის კანდიდატად დასახელება არც „ქართული დასის“ ლიდერ ჯონდი ბაღათურიას მოეწონა. მას მერობის კანდიდატთან არანაირი პრეტენზიები არა აქვს. ამბობს, რომ ნარმანიას კანდიდატურა საკმაოდ ნორმალურია, უბრალოდ, მიზანშეწონილი იქნება, თუ ინფრასტრუქტურის მინისტრის თანამდებობას დატოვებს.

– ხელისუფლებას ნარმანიას თბილისის მერის კანდიდატად დასახელებით არანაირი კანონი არ დაურღვევია. თუმცა, არც კანონით და არც მორალურად, მას არ აქვს უფლება, ინფრასტრუქტურის მინისტრად რჩებოდეს, რადგან ქვეყნის ინფრასტრუქტურაში ძალიან ბევრი საბიუჯეტო სახსრები იდება. შესაბამისად, არ შეიძლება, „ქართული ოცნების“ ან ნებისმიერი პარტიის კანდიდატი ასოცირდებოდეს იმ საბიუჯეტო სახსრებთან, რომელიც რამდენიმე ასეული მილიონია. ერთი მხრივ, არანაირ პროტესტს არ იწვევს ნარმანიას დასახელება. მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი აზრით, საკმაოდ ნორმალური კანდიდატია. თუმცა, მეორე მხრივ, თუ დავით ნარმანია მინისტრად მუშაობას გააგრძელებს, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ „ქართული ოცნება“ მისი კანდიდატის პოლიტიკური წონისთვის საბიუჯეტო სახსრებიდან რამდენიმე ასეულ მილიონს გამოიყენებს, – განაცხადა ჯონდი ბაღათურიამ.

მეოცნებეთა მერობის კანდიდატი ყოფილმა დეპუტატმა გია თორთლაძემაც დაიწუნა. მისი გაგებით, თბილისის მერი კარგად უნდა იცნობდეს ქალაქის ისტორიას, არქიტექტურას და ცხოვრებას და, რაც მთავარია, თბილისში დაბადებული და გაზრდილი უნდა იყოს.

– მსოფლიოში მიღებულია, რომ ქალაქის მერად უნდა დაინიშნოს ადამიანი, რომელიც ამ ქალაქში დაიბადა და გაიზარდა და კარგად იცნობს მის ცხოვრებას. დავით ნარმანია არ არის თბილისში დაბადებული და გაზრდილი. რა თქმა უნდა, არ ვფიქრობ, რომ თბილისის მერი აუცილებლად ხოხობს ჩამოყოლილი ადამიანი უნდა იყოს, უბრალოდ, მერობისთვის აუცილებელია, იცოდე ქალაქის ისტორია, ერკვეოდე მის ცხოვრებაში, არქიტექტურაში და თავადაც უნდა ცხოვრობდე იქ. დავით ნარმანიას კანდიდატურა ცოტა უცნაურად მიმაჩნია. მის პიროვნებასთან არანაირი პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ამ ქალაქში ბევრად უფრო ღირსეული ადამიანები მოიძებნებიან, – განაცხადა გია თორთლაძემ.

ნარმანიას მერობის კანდიდატად დასახელებას თბილისის მოქმედი მერი გიგი უგულავაც გამოეხმაურა. მან ბიძინა ივანიშვილს თბილისის მერობის კანდიდატად დავით ნარმანიას წარდგენის გამო მადლობას გადაუხადა. მეოცნებეთა მერობის კანდიდატს კი „კალიგულას პონი“ უწოდა.

– ბიძინა ივანიშვილმა გადაწყვიტა, რომ ყველა სტერეოტიპი დაანგრიოს, რაც კი საზოგადოებაში არსებობდა. ორი დღეა, ყველა ტელევიზიით, გაზეთით თუ რადიოთი ვისმენ ბიძინა ივანიშვილისადმი მადლობებს დავით ნარმანიას კანდიდატურის დასახელების გამო და ამ მადლობას მინდა შევუერთდე. აბსოლუტურად გულწრფელად ვამბობ, რადგან ამ ადამიანმა გადაწყვიტა, ყველა სტერეოტიპი დაამსხვრიოს, რაც ჩვენს საზოგადოებაში არსებულა. ეს მხოლოდ მისასალმებელია. სტერეოტიპი დაამსხვრია, როცა პრეზიდენტად ავირჩიეთ „კალიგულას ცხენი“ და ეს ყველაზე გავრცელებული მეტაფორა იყო, რაც მას უხდებოდა. ახლა თბილისის მერად გვთავაზობენ ,,კალიგულას პონს“. არ ვშაყირობ, გულწრფელად ვამბობ, სტერეოტიპები უნდა დაანგრეს. მე არ ვთვლი, რომ მაინცდამაინც ხოხობთან ერთად დაბადებული ადამიანი უნდა იყოს თბილისის მერი. მე, მერობის კანდიდატზე ვერაფერს გეტყვით. ამაზე თბილისელებმა უნდა იმსჯელონ და არჩევნებზე უნდა დააფიქსირონ თავიანთი გადაწყვეტილება. მე შემიძლია ამ ადამიანზე ვილაპარაკო, როგორც ინფრასტრუქტურის და რეგიონული განვითარების მინისტრზე. ამ ექვსი თვის განმავლობაში ამ ადამიანმა საერთოდ ვერაფერი გააკეთა, საერთოდ ყველაფერი გააჩერა იმიტომ, რომ ვერ გაერკვა, საერთოდ რისი მინისტრი იყო. შემდეგ მისი უშუალო მეცადინეობით და ხრიკებით მოხდა თბილისის შემოვლითი რკინიგზის გაჩერება, ასევე მისი უშუალო დავალებით მოხდა სამანქანო ხიდის პროექტის შეჩერება, რომელიც ვეფხისა და მოყმის ძეგლიდან სამტრედიის ქუჩაზე გადადიოდა და საცობების განმუხტვისთვის უმნიშვნელოვანესი პროექტია. ასე რომ, თავისი ინფრასტრუქტურის მინისტრობის ერთი წლის განმავლობაში ორი ინფრასტრუქტურული პროექტი წაართვა თბილისს. ამ ადამიანს საერთოდ არ ამოუღია ხმა მაშინ, როცა მთავრობამ 50 მილიონით შეუმცირა ქალაქს ბიუჯეტი. ამ ადამიანს ევალებოდა ცენტრალური მთავრობიდან რეგიონების კოორდინირება და, როცა მთელი ერთი წლის განმავლობაში რეგიონებში, ცეცხლითა და მახვილით, ყველა ძალოვანი უწყება „ოცნების ხატზე“ აფიცებდა საკრებულოს არჩეულ წევრებს, ერთხელაც კი ხმა არ ამოუღია და არ გაუპროტესტებია ის ძალადობა, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ ხორციელდებოდა. ამ ადამიანმა პირველივე გამოცხადების დღიდან ერთ მარტივ და არა რთულ და ქვეწყობილ წინადადებაში ორჯერ ახსენა „41“, რაც იმას ნიშნავს, რომ თავიდან ბოლომდე პარტიის და პარტიული ინერციის ამარაა და მხოლოდ და მხოლოდ პარტიის და პარტიული ინერციის ხარჯზე უნდა გავიდეს და გახდეს თბილისის მერი და არა საკუთარი ინდივიდუალურობის. აი, ეს არის ადამიანი, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა შემოგვთავაზა. დანარჩენი, მე მას ვთავაზობ ღირსეულ, სუფთა კამპანიას და მზად ვარ, არა დებატები, არამედ დისკუსია შევთავაზო თბილისის საკითხებზე, იმ პრობლემებზე, რომლებიც ობიექტურად არსებობს და ასევე იმ პრობლემებზე, რომლებიც ცენტრალურმა მთავრობამ ამ ერთი წლის განმავლობაში შეუქმნა თბილისს, – აღნიშნა უგულავამ.

ბოლო 2 წელია მივეჩვიეთ, რომ მეოცნებეებისთვის და არა მარტო მათთვის, ბიძინა ივანიშვილის სიტყვა კანონია. ნარმანიას კანდიდატურაც ივანიშვილმა დაასახელა. რასაც ოცნება დიდი სიხარულით შეხვდა. მეოცნებეების უდიდესი ნაწილი მესამე დღეა ამტკიცებს, რომ დავით ნარმანიაზე უკეთესი მერი დედაქალაქს არ ეღირსება.

მთაწმინდის მაჟორიტარი დეპუტატი და მეოცნებეთა ერთ-ერთი ლიდერი ზაზა პაპუაშვილი სხვანაირად ფიქრობს. მისი აზრით, თბილისის მერად დავით ნარმანია არასწორად შერჩეული კანდიდატურაა. პაპუაშვილი დარწმუნებულია, რომ გამოჩნდებიან მერობის კანდიდატები, რომლებსაც ნარმანია მეტოქეობას ვერ გაუწევს.

– კოალიციის პოლიტსაბჭოსგან განსხვავებული აზრი მაქვს. დავით ნარმანიას კანდიდატურას თბილისის მერად ვერ განვიხილავ. ნარმანია, როგორც თბილისის მერის კანდიდატი, ჩემთვის მისაღები არ არის. მას პიროვნულად არანაირად არ ვეხები. როგორც მინისტრმა, ბევრი რამ შესანიშნავად გააკეთა. თბილისი ცოტა სხვა თემა მგონია – სხვა მგრძნობიარობაა. ამ შემთხვევაში ბევრი რამის გათვალისწინება უნდა მოხდეს. თბილისმა ბოლო წლების განმავლობაში ბევრი რამ გადაიტანა. ეს ქალაქი მუდმივი ბრძოლის რეჟიმში იყო და, რომ ვერ წააქცია იმ ჯალალედინმა, რომელსაც მიხეილ საკაშვილი ჰქვია, ამიტომაც გადაიტანა პარლამენტი ქუთაისში. თბილისში შეძლებს, თავად ჩამოყალიბდეს მერობის კანდიდატურაზე და გამოინახება ღირსეული ადამიანი. გამოჩნდებიან მერობის კანდიდატები, რომელსაც ნარმანია მეტოქეობას ვერ გაუწევს, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ზაზა პაპუაშვილმა.

მანამდე კი დეპუტატმა ნარმანიასთან დაკავშირებული განცხადება „რეპორტიორის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

„დავით ნარმანიას, როგორც თბილისის მერობის კანდიდატის მიმართ, დადებითი წარმოდგენის არ ვარ“, – განაცხადა „რეპორტიორის“ პრესკლუბში უმრავლესობის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზაზა პაპუაშვილმა. მისი თქმით, ნარმანია, როგორც მინისტრი, სანიმუშო სახელმწიფო მოხელეა, მაგრამ თბილისის მერად არასწორად შერჩეული კანდიდატურაა.

– დავით ნარმანიას კარგად არ ვიცნობ, მაგრამ როგორც მინისტრს, რა სამსახურიც მას აბარია, რასაკვირველია, დადებითად ვაფასებ. მან ბევრი რამ გააკეთა. ნარმანიას პიროვნებას არ ვაკნინებ, მაგრამ მე თბილისზე ვლაპარაკობ. თუმცა, არჩევნები ჯერ კიდევ წინ გვაქვს, მთავარია, ქართველი საზოგადოება ვის აირჩევს. „ქართული ოცნების“ მიერ თბილისის მერად დავით ნარმანიას კანდიდატურის წამოყენება არ ნიშნავს იმას, რომ ის უკვე მერია. მისი კანდიდატურა, ჩემი აზრით, არასწორად დასახელებული კანდიდატურაა. თვითონ თბილისი ძალიან სათუთი თემაა, ამიტომ ვფიქრობ, ქალაქი თავად ჩამოყალიბდება, – განაცხადა ზაზა პაპუაშვილმა.

იყო მოსაზრება, რომ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პარტიები თვითმმართველობის არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღებდნენ მონაწილეობას და ყველას თავის მერობის კანდიდატი ეყოლებოდა. ეს ინფორმაცია გუშინ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა დავით საგანელიძემ უარყო.

მან დედაქალაქის მერის პოსტზე კოალიციის კანდიდატის, დავით ნარმანიას კანდიდატურა შეაფასა. მისი თქმით, დავით ნარმანია ქალაქის მერის კრიტერიუმებს საკმაოდ მაღალი ხარისხით აკმაყოფილებს.

მეოცნებეთა მთავარ კონკურენტად ნაციონალთა კანდიდატი სახელდება, მართალია არ ვიცით ვინ იქნება ნაცმოძის რჩეული, მაგრამ მაინც.

დავით საგანელიძე კი ნაციონალებს და მათ კანდიდატებს კონკურენტულ ძალად არ მიიჩნევს.

– ნაციონალურმა მოძრაობამ მთლიანად ამოწურა თავისი რესურსი, რაზეც ჩატარებული არჩევნები და საზოგადოების განწყობა მეტყველებს. სამწუხარო ფაქტია, რომ ქვეყანაში ძლიერი ოპოზიციური ძალა არ არსებობს. ვისურვებდი, უახლოეს ხანებში ოპოზიციური ძალები მომძლავრებულიყვნენ. ის ფაქტი, რომ დავით ნარმანია დედაქალაქის მერობის კანდიდატად დასახელდა, არ ნიშნავს, რომ იგი საარჩევნო მარათონში ჩაება. დავით ნარმანია თავის საქმიანობას ჩვეულებრივად გააგრძელებს და როდესაც არჩევნების თარიღი გამოცხადდება, იგი იმოქმედებს კანონის ფარგლებში. შეფასება, რომ დავით ნარმანია პოლიტიკური ფიგურა არ არის, არასწორია, რადგან ნებისმიერი მინისტრი დღეს მაღალი რანგის პოლიტიკოსია. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პოსტზე დავით ნარმანიას შემცვლელზე საუბარი ამ ეტაპზე ნაადრევია, – განაცხადა დავით საგანელიძემ.

საქართველოს პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, ის მოხარულია, რომ მისი ქალაქის მერის თანამდებობაზე დავით ნარმანია იყრის კენჭს.

როგორც მარგველაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, დავით ნარმანია ძალიან განწონასწორებული და მშვიდი ადამიანია.

– მე ვმუშაობდი მინისტრთა კაბინეტში რამდენიმე თვე. დათოსთან ერთად მუშაობა იყო უაღრესად სასიამოვნო, იმიტომ, რომ ის არის ძალიან განწონასწორებული, მშვიდი ადამიანი, ადამიანი, რომელიც ორიენტირებულია პროექტებზე და მათ დეტალურად შესრულებაზე. დათო არის მინისტრი, რომელსაც, ფაქტობრივად, ფეხით ჰქონდა მოვლილი ყველა თავისი ობიექტი, რომელსაც ახორციელებდა მთელი საქართველოს მასშტაბით. ის არის არაჩვეულებრივი მეგობარი და ბუნებრივია, მე მის კანდიდატურას მხარი დავუჭირე ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ამას საზოგადოება გაიგებდა. მიხარია, რომ ასეთი არაჩვეულებრივი ადამიანი იყრის კენჭს ჩემი ქალაქის მერის თანამდებობაზე, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

ოპოზიციაში გადასულ ნაცმოძს სამერო კანდიდატურა ჯერ შერჩეული არ ჰყავს. საპარლამენტო უმცირესობის ლიდერ დავით ბაქრაძის თქმით, ნაციონალური მოძრაობა თბილისის მერობის კანდიდატს პრაიმერის საშუალებით გამოავლენს.

– მერობის კანდიდატურების ვინაობა ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის. პარტიაში ყველამ შეიძლება საკუთარი თავი დაასახელოს მერობის კანდიდატად. მე არც ერთი კანდიდატურის დასახელებას არ ვაპირებ. ეს იქნება ღია, გამჭვირვალე და საზოგადოებისთვის გასაგები პროცესი. თვითმმართველობის არჩევნები ჯერ ძალიან შორს არის, ამიტომ მერობის კანდიდატურების დასახელებას არ ვჩქარობთ. ნაციონალური მოძრაობა მმართველობის ახალ ეტაპზე გადადის. პარტია იქნება უფრო გახსნილი და გამჭვირვალე. ყველა მსურველს შეეძლება პარტიის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება. ჩვენ შევქმენით პრეცედენტი და პრეზიდენტობის კანდიდატი დავასახელეთ პრაიმერის გზით და ასე გამჭვირვალედ მუშაობის გაგრძელებას ვაპირებთ, – განაცხადა დავით ბაქრაძემ.

ნარმანიას გამო ნაციონალები და არა მარტო ისინი, ალბათ კიდევ ბევრჯერ გაინერვიულებენ თავს. მათი ნერვიულობა და სარკაზმი არაფერია იმასთან შედარებით, რაც შეიძლება მეოცნებეთა რეაქციას მოჰყვეს. ზაზა პაპუაშვილმა უკვე დააფიქსირა თავისი უარყოფითი პოზიცია. ამბობენ, რომ მას რამდენიმე დეპუტატი კიდევ შეუერთდება.

ვნახოთ, შეეგუებიან თუ არა ოცნებაში განსხვავებულ აზრს. განსხვავებული აზრის გამო ოცნების რიგებიდან კინაღამ დეპუტატი დავით ღორთქიფანიძე გარიცხეს.

## 900 სამხედრო მოსამსახურეს ბინები საკუთრებაში გადეცემა

როგორც თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა, სამხედრო მოსამსახურეები ამას დიდი ხანი ელოდნენ.

„ყველაზე კარგი საკითხი, რაზეც მთავრობამ და პრემიერმა გადაწყვეტილება მიიღო, ისაა, რომ ამ კვირაში 900 სამხედრო მოსამსახურეს ბინები საკუთრებაში გადაეცემა. ისინი ამას დიდი ხანი ელოდნენ“, – განაცხადა ალასანიამ.

**პირველი**

## ღარიბაშვილი ქართველ მეზღვაურებს ევროკავშირის აღიარებას ულოცავს

მილოცვაში ირაკლი ღარიბაშვილი აცხადებს, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა, რომელიც საქართველოს საზღვაო იმიჯზე დადებითად აისახება.

„22 ნოემბერს ევროკომისიის კომიტეტზე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების დელეგატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ევროკავშირის მიერ ქართველ მეზღვაურთა კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატების აღიარებას. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ჩვენი ქვეყნისთვის, რომელიც დადებითად აისახება საქართველოს, როგორც საზღვაო ქვეყნის იმიჯზე. ეს იმას ნიშნავს, რომ 18 000-მდე ჩვენს მეზღვაურს მიეცა უფლება და შესაძლებლობა, დასაქმდეს ევროკავშირის ქვეყნების დროშის ქვეშ მცურავ გემებზე. ქართველ მეზღვაურთა სერტიფიკატების აღიარება გულისხმობს, რომ საქართველოში არსებული მეზღვაურთა განათლების სისტემა სრულად შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. იმედი მაქვს, რომ ჩვენი მეზღვაურები ღირსეულ კონკურენციას გაუწევენ ევროპელ და ამერიკელ კოლეგებს, ქართველი მეზღვაურები ისევე დაფასებული და დაცული იქნებიან, როგორც მათი ბრიტანელი, ფრანგი და ამერიკელი კოლეგები. ვულოცავ ჩვენს მეზღვაურებს ამ აღიარებას!“ – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა სპეციალურ მიმართვაში.

**პირველი**

# დემურ გიორხელიძე: „ბიზნესი ისევ ნაციონალების ხელთაა“

## 600 მლნ-იანი გარღვეული ბიუჯეტი და არაეფექტური მთავრობა

შორენა კოწოწაშვილი

დამოუკიდებელი ანალიტიკოსი დემურ გიორხელიძე მიიჩნევს, რომ ქვეყანაში სისტემური კრიზისია და საპარლამენტო უმრავლესობა, საქართველოს მთავრობა შესაბამის ნაბიჯებს არ დგამს, ეს კი ქვეყნის მძიმე სოციალურ ფონს და ეკონომიკურ სიდუხჭირეს კიდევ უფრო დაამძიმებს.

გიორხელიძე იმ შიდა შეუთანხმებლობაზეც საუბრობს, რომელიც ხელისუფლებაში ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ამოქმედებას უკავშირდება. მისი თქმით, ქვეყანაში მახინჯი ფინანსური სტრუქტურაა.

ვინ არ დაუშვებს საქართველოში ეკონომიკის განვითარებას და რა შეცდომა დაუშვა ხელისუფლებამ და პირადად ბიძინა ივანიშვილმა? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს დამოუკიდებელ ანალიტიკოს დემურ გიორხელიძესთან.

***– ბატონო დემურ, ფაქტია, შემოსავლების კუთხით ქვეყნის ბიუჯეტს სერიოზული პრობლემები შეექმნა. პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის მხრიდან მთავარი დარტყმის ქვეშ წლის ბოლოს სწორედ შემოსავლების კუთხით 600 მლნ-იანი გარღვევის გამო აღმოჩნდება?***

– მოდით, ასე ვთქვათ, ირაკლი ღარიბაშვილი ახალგაზრდა კაცია. მე მას დიდ წარმატებას ვუსურვებ, მაგრამ ის ძალიან დიდი პრობლემების წინაშეა. 2014 წელი საქართველოს მთავრობამ ფაქტობრივად მაშინ დაგეგმა, როდესაც სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი წარმოადგინა. იმ პროექტში შავით თეთრზე წერია, რომ 2014 წელი მიმდინარე წელზე არაფრით უკეთესი არ იქნება. ჩემთვის ახლა მთავარია, რაკი ეს გაწერილია და ასეა, არანაირი მაჩვენებელი არ ცვლის სიტუაციას ქვეყანაში. მთავარია, ახლა პრემიერ-მინისტრი თავის ახალ გუნდთან ერთად რა მოსამზადებელ სამუშაოს, რა მასშტაბით და რა ტემპში გააკეთებს, რომ ნიადაგი 2015 წლისთვის მაინც მომზადდეს. ნიადაგი ჯერ სერიოზული გარდაქმნისათვის არ არსებობს. არ არსებობს სამართლებრივი, ინსტიტუციონალური, ანუ ყველაზე რთული, რადგან ინსტიტუციონალური ცვლილებები ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს. ამდენად, ეს ახალგაზრდა კაცი სერიოზული პრობლემების წინაშეა; მერე მეორე: მე არ მაწყობს, გითხრათ სიმართლე, პიროვნულად წარუმატებელია მთავრობა. იმიტომ, რომ ეს ჩემი ქვეყანაა და მინდა წარმატებაზე ორიენტირებული მთავრობა იყოს, რომელიც შედეგს დებს. ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, დავიღალეთ უშედეგო მთავრობებით. შედეგები თითქოს ჰქონდა ნაციონალურ მოძრაობას, მაგრამ შედეგი ჰქონდა თავისი თავისთვის. ასეთი შედეგები საქართველოს უახლოესი ასი წელი არ სჭირდება. მას სჭირდება რეალური შედეგი. ვნახოთ, რა იქნება, თუმცა სკეპტიციზმის ძალიან დიდი დოზა არსებობს.

***– თქვენ ბიუჯეტზე საუბრისას ახსენეთ, ეკონომიკური სტაგნაციაა და თქვით, უკეთესს არ ველოდებიო. ეს ყველაფერი, უნდა შეცვლილიყო, რადგან ხელისუფლებამ პირობა დადო, რომ მონოპოლიები აღარ იქნებოდა, ბიზნესი გათავისუფლდებოდა, მიწები უცხოელებზე აღარ გასხვისდებოდა და ა.შ. ეს ყველაფერი ციფრებში რატომ ვერ აისახა?***

– აბსოლუტურად ზუსტად შენიშნეთ. სისტემური კრიზისიდან გამოსვლას ცალკეული, არაურთიერთდაკავშირებული ღონისძიებები შედეგს არ მოუტონს. შედეგი ვერ მივიღეთ იმიტომ, რომ ეს არის არაშეკრული, არაერთიანან სტრატეგიაში გააზრებული ნაბიჯები. დიახ, ჩვენ უნდა აგვეკრძალა ის განუკითხაობა, რაც იყო მიწების გასხვისებასთან დაკავშირებით. თუმცა, კიდევ გეუბნებით, რეგულაციები კანონის დონეზე მკაცრად განსაზღვრა, ცივილიზებული დამოკიდებულება ამ საქმისადმი აუცილებელია. ჩვენ გვჭირდებოდა მთავარი – კონკურენციის შესახებ ახალი გარემო, ანტიმონოპოლიური დავარქვათ ამას, თუ რაც გინდათ, ეს ჯერჯერობით ვერ მივიღეთ.

***– ამბობენ, რომ დღემდე ანტიმონოპოლიური სამსახური რომ ვერ შეიქმნა, ეს გუნდის შიგნით შეუთანხმებლობის ბრალია. ანუ „ქართულ ოცნებაში“ ბევრს არ აწყობს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ამოქმედება?***

– რა თქმა უნდა, შეეწინააღმდეგებიან. იმიტომ, რომ ის უმსხვილესი იმპორტიორები, რომლებიც წინა ხელისუფლების მიერ იქნენ დანიშნული და მომძლავრებული, ისინი დღესაც, ამ მთავრობაშიც შესანიშნავ მხარდაჭერებს ხედავენ. ამიტომ ისინი არ დაუშვებენ ეკონომიკის განვითარებას, არ დაუშვებენ ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის ფეხზე დაყენებას და ამას მთავრობაში მხარდამჭერები ჰყავს. იმიტომაა, რომ ამ მხრივ არაფერი გამოვიდა. როგორც კი მთავრობაში რომელიმე ჯგუფი არასწორად ლობირებას იწყებს, იმ წუთშივე ეს შედეგებზე აისახება. დიახ, შეეწინააღმდეგნენ ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას, მხარი დაუჭირეს იმპორტიორებს, მძარცველებს, ფაქტობრივად, შედეგი მივიღეთ – 600 მლნ-იანი გარღვეული ბიუჯეტი და არაეფექტური მთავრობა.

***– ამ ფონზე, გარღვეული ბიუჯეტი და ა.შ., იკვეთება თუ არა ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი?***

– მე პერსონალურ შეფასებებს არ გავაკეთებდი უბრალო მიზეზის გამო: მთავრობა ეს იყო, პირველ რიგში, ბატონი ივანიშვილი. ის იმდენად დომინირებული ფიგურა იყო, რომ თვეების განმავლობაში აშკარად ჩანდა, რომ მინისტრები, უბრალოდ, მონუსხულივით შესცქეროდნენ და მხოლოდ პრემიერის მითითების შემდეგ აკეთებდნენ რაიმეს. რაკი პრემიერიც მოქმედებდა არაერთიანი სტრატეგიის ფარგლებში, ბუნებრივია, ცალკეული სამინისტროების საქმიანობა ვერ გამოჩნდა ეფექტური. ახლა რაკი გარღვევებზეა საუბარი, ფინანსთა სამინისტრო, ყველაზე პირველი, დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა, თუმცა, პიროვნულად, არა მგონია, ეს ნოდარ ხადურის ბრალი იყოს. შეიძლება ჩვენ მას ვუსაყვედურო, რომ ენერგიულად მან საკანონმდებლო ცვლილებებზე აქცენტი არ გააკეთა, თორემ თქმა იმისა, რომ ნოდარ ხადურმა გამოიწვია ბიუჯეტში გარღვევები, ეს აბსოლუტურად არასწორი იქნება. საერთოდ, ასეთ სიტუაციაში, როდესაც არსებობს დომინირებული ფიგურა, საუბარი იმაზე, რომ რომელიმე კონკრეტულმა მთავრობის წევრმა ცუდად რაიმე გააკეთა, გამართლებული არ იქნება იმიტომ, რომ მთავრობა ეს იყო ივანიშვილი და ფაქტობრივად, მთელი ხელისუფლებაც ივანიშვილი იყო. ეს ტრენდი, როგორც იტყვიან, ჯერჯერობით შენარჩუნებულია.

***– დაბოლოს, ვისაუბროთ ბიზნესზე. სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში, როცა აქტუალური იყო ბიზნესრეკეტი და პოლიტიკური ტერორი ბიზნესზე, არაერთი ექსპერტი თუ პოლიტიკოსი მიანშნებდა, რომ ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობისთვის, პირველ რიგში, ბიზნესის სახელისუფლო წნეხიდან უნდა გათავისუფლდეს. ახლა ბიზნესი თავისუფალია, შემოსავლების კუთხით კი ბიუჯეტში გარღვევაა...***

– ეს ძალიან დიდი ბლეფი იყო, რადგან სინამდვილეში არაფერი არ თავისუფლდებოდა. მთელი ეკონომიკა ხელისუფლების ხელში იყო და ვე-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# სოსო ცისკარიშვილი: „თბილისის მერი პოლიტიკოსი უნდა იყოს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

***– ბატონო სოსო, რაც შეეხება თბილისის მერის კანდიდატურას, ცნობილია, რომ ივანიშვილის მიერ დავით ნარმანიას კანდიდატურა დასახელდა. საზოგადოების აზრი ორად გაიყო. ნაწილი თვლის, რომ თბილისის მერი თბილისელი უნდა იყოს. თუმცა ამას ალბათ დიდი მნიშვნელობა არა აქვს თუ სადაური იქნება თბილისის მერი. საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილს ის აღელვებს, რომ მერი უნდა იყოს არჩევითი და არა დანიშნული... როგორია თქვენი შეხედულება ამ საკითხზე, დანიშნული თბილისის მერი გვყოლება?***

– თავისთავად ის ფაქტი, რომ მერის არჩევნების თარიღის გამოცხადებამდე უფრო ადრე ცხადდება ხელისუფლების ფავორიტი ამ თანამდებობაზე, ვფიქრობ, რომ გახლავთ დათვური სამსახური ამ სრულიად, ჩემთვის ცალსახად პოზიტიურ კანდიდატთან მიმართებაში. მე ვიზიარებ ყველა კომპლიმენტს, რასაც გამოთქვამენ ბატონი ნარმანიას მიმართ მისი თანაგუნდელები. მე შემიძლია დავამატო ყველა იმ ქებას, რაც მოვისმინე, ის ფაქტიც, რომ იგი გახლავთ სოლიდური და წარმატებული ეკონომისტი და გამორჩეული სპეციალისტი საკუთარი პროფესიისა. არის დამკვიდრებული ჩვენს ცნობიერებაში, როგორც მეურნე. ამავე დროს ყურადღებას იქცევს გამონათქვამები დღევანდელი და ყოფილი პრემიერ-მინისტრებისა, როდესაც ბატონი ბიძინა ბრძანებს, რომ ნარმანია ბრძანდება გამორჩეული პოლიტიკოსი და სწორედ ისეთი, როგორიც უნდა იყოს პოლიტიკოსი. ბატონი ირაკლი ბრძანებს, რომ დასრულდა ერა პოლიტიკოსების მოსვლისა მერის თანამდებობაზე. ეს ალბათ მცირე გაუგებრობაა და მოგვარდება, მაგრამ ვიმეორებ, სანდოობის ხარისხი, როგორც შედეგიანი ეფექტური მოხელისა, ჩემთვის მრავალი მტკიცებულებით არის გამაგრებული, ვგულისხმობ ბატონი ნარმანიას უნარებს. თუმცა ფაქტია, რომ თბილისის მერს აირჩევენ თბილისელები და არა რომელიმე პოლიტიკური პარტიის პოლიტბიურო.

***– თუმცა საზოგადოებამ სწორედ ასე გაიგო, რომ რადგან დაასახელა ივანიშვილმა, სწორედ ის იქნება თბილისი მერი, ან არჩეული, ან დანიშნული...***

– გააჩნია თავად თბილისელთა დამოკიდებულებას ამ ფაქტის მიმართ. რასაკვირველია, თბილისელების ნაწილიც პოზიტიურად შეხვდება ამ კანდიდატურას. საუბარი იმაზე, თუ ვინ სად არის დაბადებული და ვის სადა აქვს დაწყებითი განათლება მიღებული, არ არის გადამწყვეტი ფაქტორი ამ თანამდებობის დასაკავებლად. თუმცა ვერ გავიზირებ ჩვენი პოლიტიკოსების მოსაზრებას, რომ მერი უნდა იყოს მხოლოდ მეურნე.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ მერი უნდა იყოს პოლიტიკოსიც?***

– პოლიტიკური შემადგენლის გარეშე, ნებისმიერი მერი იქნება წარუმატებელი! რატომ თვლიან, რომ ნარმანია მხოლოდ როგორც მეურნე, ისეა დასაფასებელი და არა ისე, როგორც განათლებულ ადამიანს ეკადრება, როგორც წარმატებულ მეცნიერს ეკადრება. ეს თვისებები მას უდავოდ გააჩნია და რატომღაც ჩქმალავენ იმ ფასეულობებს, რაც თბილისელებისთვის უფრო გასაგებია.

***– როგორ ფიქრობთ, რატომ ხდება ასე?***

– ვერ გეტყვით. შესაძლოა სურვილი განსხვავებულობისა, დღევანდელი მერისგან, უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, ვიდრე უფრო დამაჯერებელი არგუმენტების წარდგენა თბილისელებისთვის. ჯერ ძალიან ადრეა ამაზე საუბარი. დარწმუნებული ვარ, რომ თბილისის მერობის კანდიდატები არ იქნებიან ნაკლები, ვიდრე პრეზიდენტობის კანდიდატები გვყავდა. არჩევნები, ეროვნული გართობის ახალ ფორმად იქცა. ვფიქრობ, ჯერ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი, ვიდრე ჩამოყალიბდება ჩვენი ცნობიერება თავად არჩევნების პროცესის მიმართ.

***– ფაქტია, რომ გაზაფხულზე დაგეგმილ არჩევნებს, პოლიტიკოსების მხრიდან იმაზე მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე ახლახან ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებს...***

– გაზაფხული ორგვარად შეიძლება გავიგოთ თქვენს კითხვაში, ანუ ერთი მხრივ, შესაძლებელია არჩევნები ჩატარდეს გაზაფხულზე, მეორე მხრივ, შეიძლება გაზაფხული მოვიდეს მაშინ, როცა ჩატარდება არჩევნები. ამას მაფიქრებინებს გარკვეული მოსაზრებები, რომლებიც ჯერ კულუარულად მსმენია, რომ შესაძლოა ეს არჩევნები ჩატარდეს შემოდგომაზე და არა გაზაფხულზე. გააჩნია სიტუაციას...

***– რა იგულისხმება ამ სიტუაციაში? რა შეიძლება გახდეს არჩევნების გადადების მიზეზები?***

– არ ვარ დარწმუნებული, რომ გაზაფხულისთვის უკვე დამშვიდებული იყოს ვნებათაღელვა ყველა რეგიონში. არ ვარ დარწმუნებული, რომ გაზაფხულისთვის, ახალი კანონი თვითმმართველობის შესახებ, რომელიც ახალი ამოქმედებული იქნება, არ გახდეს სერიოზული კრიტიკის საგანი, თუნდაც იმ სოფელთა მოსახლეობის მხრიდან, რომლებიც დაკარგავენ სახელს სოფლისას და გაერთიანდებიან სხვა სოფელთან. ასეა თუ ისე, ცვლილებები ყოველთვის მტკივნეულია და თავად მმართველი ძალისთვის უპრიანი იქნება, რომ შეაჩვიონ ახალ რეალობას მოსახლეობა და მერე დადგეს ამ არჩევნების ჟამი. ვიდე იჩქარონ და ძირითადად თავდაცვის რეჟიმში მყოფთ მოუწიოს არჩევნების ჩატარება.

***– რაც შეეხება ყოფილ პრემიერ-მინისტრს, აწ უკვე მოქალაქე ივანიშვილს, როგორი იქნება მისი როლი ქართულ პოლიტიკაში, ხელისუფლებასთან დამოკიდებულებაში? ვნახეთ, რომ მერის კანდიდატურაც დაასახელა და ისე წავიდა. თვენი აზრით, რამდენად აქტიურად ჩაერევა ქვეყნის მართვაში? თავად კი განაცხადა, რომ კულისებიდან მართვა არ მჩვევიაო, მაგრამ მაინც...***

– მას რომ არა აქვს სურვილი განსაკუთრებული ჩარევისა, ამაში ეჭვი არ მეპარება, იმიტომ, რომ ადამიანმა გააკეთა ის, რასაც აპირებდა და შეძლო ის, რასაც სხვა ვერავინ შეძლებდა. ახლა კიდევ ყოველდღიური თავის ტკივილის სურვილი ნამდვილად არ გააჩნია ადამიანს, რომელსაც აქვს სრულიად მკაფიო, წარმატებული სფერო თავისი საქმიანობის. პოლიტიკაში შემოსვლის შემდეგ, დაახლოებით ორი თვის შემდეგ, ძალიან გულწრფელდ მითხრა მან, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ მენატრება ჩემი ბიზნესსაქმიანობაო. ეს ბუნებრივი მოვლენაა ალბათ ადამიანისთვის, ალბათ-მეთქი ვამბობ, რადგან მე არ მაქვს საფუძველი, ამაში დარწმუნებული ვიყო, რადგან არ ვიცი ფსიქოლოგია მილიარდერების. ალბათ სრულიად დამაჯერებელი უნდა იყოს მისი სურვილი, რომ იყოს უფრო აქტიური საკუთარ ბიზნესში, ოღონდ არა სანაცვლოდ იმისა, რომ მოვლენებმა უკუსვლით დაიწყონ განვითარება დღევანდელ საქართველოში. იმ შემთხვევაში, თუკი იგი იგრძნობს საფრთხეს, ცივილიზებული ფასეულობების მიმართ ქვეყანაში, ის აუცილებლად გააქტიურდება. ივანიშვილმა მოახერხა, გამხდარიყო ლეგენდა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა მისი გვარი არსად სახელდებოდა, მისი ფოტოსურათი არავის ენახა და ახლა დარჩა ლეგენდად, როგორც ყველაზე პოპულარული და წარმატებული პოლიტიკოსი, რომელმაც გამარჯვებულმა დატოვა ავანსცენა ქართული პოლიტიკისა. საუბარი იმაზე, რომ მას არ ექნება ინტერესი პოლიტიკასთან ურთიერთობის, ზედმეტია, წარმოუდგენელია! მე იმედი მაქვს, რომ ახლა მაინც ექნება დრო, იკითხოს ქართული პრესა, უყუროს ქართულ ტელევიზიას, რომლის საშუალებაც მას პრემიერმინისტრობის დროს არ ჰქონდა და ამის გამო მას არაერთხელ გამოუთქვამს სინანული.

***– იმის თქმა გინდათ, რომ გარე თვალიდან შეხედავს პროცესებს?***

– არა მხოლოდ გარე თვალიდან, მე გული დამწყდა, რომ ბატონმა ბიძინამ არ მოხსნა ვეტო ქართულ პრესას, რომელიც მათ დაადო მიხეილ სააკაშვილმა. გახსოვთ ალბათ, რომ ყოფილმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა აკრძალა სახელმწიფო დაწესებულებებში ქართული პრესის გამოწერა. სახელმწიფო მოხელეებმა უნდა იცოდნენ, რა ინფორმაციას ფლობს საქართველოს მოსახლეობა. შესაძლოა ზოგიერთი სტატია აღიზიანებდეთ მათ, ზოგიერთი ჩვეულებრივი იყოს მათთვის, ზოგიერთი აბრაზებდეს, მაგრამ ვალდებულებიც უნდა იყვნენ სახელმწიფო მოხელენი, რომ იცოდნენ, რა იცის ქვეყნის მოსახლეობამ. ამისთვის რამდენიმე ეგზემპლარი, რამდენიმე გაზეთის რომ გამოიწეროს ყველა უწყებამ, ბიუჯეტი ნამდვილად არ დაირღვევა ქვეყნის და ურთიერთგაგება მეტი იქნება ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის. მოვუწოდებ სამოქალაქო სექტორის დამამშვენებელ და გამაძლიერებელ ბატონ ივანიშვილს, საზოგადოებრივი სექტორიდან მოუწოდოს ხელისუფლებას, ნუ გააკეთებენ ეკონომიას ქართული პრესის ხარჯზე!

***– რაც შეეხება ივანიშვილის გადასვლას სამოქალაქო სექტორში, როგორც თავად განაცხადა, ორიოდე თვეში ჩამოყალიბდება თუ რას აპირებს. როგორ წარმოგიდგენიათ მისი როლი ამ კუთხით?***

– თავისთავად საუბარი ორიოდე თვის პაუზის შესახებ ჩემთვის უფრო გასაგებია, ვიდრე მზაობა იმავ წუთას ერთი ნავიდან მეორე ნავში გადახტომისა. თავისთავად დრო უნდა ადაპტაციას ახალ სექტორში და მოვლენების ხედვას იმ კუთხიდან, რომელსაც ხელისუფლებას აკვირდება დანარჩენი საქართველოს სერიოზული ნაწილი. სერიოზულში ვგულისხმობ რაოდენობას და არა გონებრივ თვისებებს ამ შემთხვევაში. ასე რომ, შეუმჩნეველი ბატონი ბიძინას საქმიანობა არ დარჩება და ვფიქრობ, მისი უნიკალური გადაწყვეტილება პოლიტიკის დატოვების შესახებ, იქნება შესწავლის საკითხი არა მხოლოდ საქართველოში. ანალიზი ასეთი ტიპის პოლიტიკური ლიდერობისა, დაემყარება ივანიშვილის საქმიანობის წარმატებულობის ხარისხს სამოქალაქო საზოგადოებაში. ნაკლები სირთულის ამოცანას ნამდვილად არ შეება ამჟამად ბატონი ბიძინა და მოხარული ვიქნები, თუ აქაც ექნება ისეთივე წარმატება, როგორც პოლიტიკაში.

***– რაც შეეხება მის მიერ დატოვებულ გუნდს, როგორ ფიქრობთ, შეინარჩუნებენ ერთიანობას?***

– ის ფაქტი, რომ ბატონ ღარიბაშვილს არავინ შეუცვლია წინა მთავრობის შემადგენლობაში...

***– გაგაწყვეტინებთ, ამის გამო ის ბევრმა გააკრიტიკა, ერთი-ორი მინისტრი ნამდვილად იყო შესაცვლელიო...***

– უკაცრავად, ვერ გავიზიარებ ასეთ მოსაზრებას. ვფიქრობ, ერთადერთი სწორი ნაბიჯი გახლდათ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრს, ვიდრე ის პრემიერ-მინისტრად იქნებოდა ნაკურთხი პარლამენტის მიერ, დაეწყო ცვლილებები და საკუთარი კოლეგები დაეთხოვა სამსახურიდან. ეს იქნებოდა სრულიად მკაფიო ნაბიჯი, რომელიც უნდა ყოფილიყო გადადგმული ივანიშვილის შპარგალკის საფუძველზე. ამას აერიდა ბატონი ღარიბაშვილი და დარწმუნებული ვარ, ბატონი ივანიშვილიც.

# „ფონდი ნატახტარი“ თანხის შეგროვების მესამე ტალღას იწყებს

**კომპანია „ნატახტარი“ აგრძელებს მზრუნველობამოკლებულ მოზარდებზე მიმართულ პროექტს „იზრუნე მომავალზე“, რომელიც ასოციაცია „ჩვენი სახლი — საქართველოს“ მხარდაჭერითა და საქართველოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ხორციელდება.**

როგორც ცნობილია, კომპანია „ნატახტარმა“ 2011 წლის ნოემბერში დააფუძნა „ფონდი ნატახტარი“ და დაიწყო პროექტის განხორციელება. 3 თვის განმავლობაში ნატახტარის ლიმონათის თითოეული გაყიდული ბოთლიდან ფონდში ირიცხება 1, 3 და 5 თეთრი.

ფონდის მიზანია საქართველოში არსებული ობოლ და მზრუნველობამოკლებულ აღსაზრდელებზე ზრუნვა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის ხელშეწყობა, მოზარდებისთვის საჭირო სერვისების შეთავაზება და სახელმწიფო მომსახურების გასვლის შემდეგ გარკვეული სამუშაო უნარების მიცემა.

საქართველოში არსებული მცირე საოჯახო სახლებისა და დიდ ინსტუციებში არსებული ობოლი და მზრუნველობამოკლებული ბავშვების 150 აღსაზრდელზე განხორციელდა სპეციალური მომსახურება და დახმარება.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა მზრუნველობა მოკლებული მოზარდების ბაზა. ფსიქოლოგების მუშაობის შედეგად გამოიკვეთა 15-18 წლის 216 მოზარდი, რომლებზეც გადანაწილდა ფონდის თანხის უდიდესი ნაწილი. ფსიქოლოგების დახმატებით თითოეული მოზარდისთვის განისაზღვრა ის მიმართულებები, რომელიც მისთვის იყო საინტერესო.

თავდაპირველად, პროექტი 16-18 წლის მოზარდებზე იყო გათვლილი, 2013 წლიდან კი 15 წლის მოზარდებიც ჩაერთვნენ. ბავშვების რაოდენობასთან ერთად გაფართოვდა ფსიქოლოგების გუნდის შემადგენლობაც, რამაც პროექტის ხელმძღვანელებს მისცა იმის საშუალება, რომ ბენეფიციარებს ხარისხიანი მომსახურეობა მიეღოთ. სადღეისოდ, 224 მოზარდს საქართველოს მასშტაბით 10 ფსიქოლოგი ემსახურება.

სასტურმო „რედისონში“ კომპანია „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორი თორნიკე ნიკოლაიშვილი, ასოციაცია „ჩვენი სახლი – საქართველოს“ დირექტორი ლელა მერაბიშვილი და ფსიქოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი მანანა ომარაშვილი ჟურნალისტებს შეხვდნენ, სადაც პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის ანგარიში გააცვნეს. ამასთან, საზოგადოებას თანხის შეგროვების მესამე ეტაპის დაწყება ამცნეს.

**თორნიკე ნიკოლაიშვილი:**

– 25 ნოემბრიდან 25 თებერვლამდე იქყება „ფონდი ნატახტარის“ მესამე ეტაპი. სიახლე მხოლოდ ის არის, რომ მონაწილეობას უკვე ქილის ლიმონათიც მიიღებს. აქედან გამომდინარე, ველოდებით უპრეცენდეტოდ დიდი თანხის შემოსვლას. საცნობი ნიშანი იგივე რჩება – თავსახურზე ამოტვიფრულია ფონდის ლოგო.

ამის გარდა, ფონდის პრინციპია გამჭვირვალობა და მისი საზოგადოებისთვის გაცნობა.

**ლელა მერაბიშვილი:**

– წლევანდელი წელი რომ შევაფასოთ, უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში ჩვენ მართლაც მნიშვნელოვან შედეგებს მივაღწიეთ. სურათი უფრო თვალსაჩინო რომ იყოს, მხოლოდ რაოდენობრივ შედეგებზე შევჩერდებით. სხვადასხვა სასკოლო საგნებში მომზადება 34-მა აღსაზრდელმა გაიარა. კოლეჯებში პროფესიული უნარების დაუფლება კი 52-მა მოზარდმა შეძლო. მნიშვნელოვანი იყო სტაჟირების მიმართულებითაც გააქტიურება, რომელიც 6-მა აღსაზრდელმა გაიარა, ამასთან – დასაქმების პერსპექტივით. სპორტულ სექციებში ჩართვა 5 ბავშვს დავუფინანსეთ, ხოლო მართვის მოწმობის აღება 8 აღსაზრდელს. 15 ბავშვისთვის პროფესიული უნარების განსამტკიცებლად შევიძინეთ სასწავლო წიგნები და სამუშაო იარაღები. ხოლო მოზარდები, რომლებიც გავიდნენ მცირე საოჯახო საქმიდან და არ გააჩნიათ თანადგომის ქსელი, პროექტის ფარგლებში იღებენ შემდეგ მომსახურებას: ბინის ქირა, კვება, ტრანსპორტირება, ხელობის შესწავლა. სადღეისოდ, ასეთი 6 მოზარდია.

2013 წლის საუნივერსიტეტო გამოცდები წარმატებით გაიარა 3-მა მოზარდმა და სტუდენტი გახდა. მათ სახელმწიფო უფინანსებს სწავლის გადასახადს, ხოლო სხვაობის შემთხვევაში ფონდი აფინანებს საფასურს. თანხას ამჟამად ერთ სტუდენტს ვუმატებთ.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ყველა აქტივობა ხორციელდება მიზნობრივად და ეტაპობრივად. თითოეული აღსაზრდელის ინტერესი და ინიციატივა ჩვენი დასაყრდენი და ამოსავალი წერტილია. შემოსული თანხის 10 პროცენტი მიდის ადმინისტრაციულ სამსახურზე, დარჩენილი თანხა კი ფსიქოლოგიურ და მოზარდების მომსახურებაზე.

**მანანა ომარაშვილი:**

– ფონდში თანხა შეზღუდულია და თუ რა მიმართულებით წავა, ამას საკოორდინაციო საბჭო განიხილავს. ძრითადი მიმართულებებია: პროფორიენტაცია, პროფკონსულტირება, პრევენცია, ინტერვენცია, საზოგადოებასთან ინტეგრაციის ხელშეწყობა და დროისა და ფინანსების განაწილების სწავლება.

თუ 2012 წელს დაიხურა 10 ქეისი, 2013 წელს მისმა რიცხვმა 26 შეადგინა. აქედან 15 დასაქმდა, ზოგი მიმღებ ოჯახში მივიდა, ზოგიც ბოილოგიურ მშობლებს დაუბრუნდა, რამდენიმე გათხოვდა.

გვაქვს 6 წარუმატებელი ქეისიც. აქედან 5-ის ბედი უცნობია, ერთზე კი სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, ფონდი ამ შემთხვევას აკვირდება და საჭიროების შემთხვევაში ჩავერთვებით.

წარმატებული კუთხით კი 13 მუშაობს, სტუდენტი კი 5 მოზარდია, რომელთაგან სამმა უმაღლეს სასწავლებელში ჩააბარა. მათთვის კომპანია „ნატახტარი“ მხარდამჭერი ორგანიზაცია და დიდი იმედია.

# როგორ ესმის ქართველ საზოგადოებას გენდერული თანასწორობა?!

მერი ნამორაძე

საქართველოში იშვიათად წააწყდებით ოჯახს, სადაც ქალის ტრადიციული ფუნქციები ოჯახის მოვლის შესახებ მამაკაცს ექნება ჩანაცვლებული. ჩვენში ჯერ კიდევ მყარია ტრადიციული შეხედულებები იმაზე, რომ ქალის ფუნქცია შვილების აღზრდა, საშინაო საქმეების კეთებაა, მამაკაცის ფუნქცია კი – ოჯახის ეკონომიური უზრუნველყოფა. ამ კუთხით საზოგადოების ცნობიერება რომ კუს ნაბიჯებით იცვლება, კიდევ ერთხელ ცხადყო კვლევამ საზოგადოებრივი დამოკიდებულებების შესახებ გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში, რომელიც გაეროს ქალთა ორგანიზაციის, გაეროს მოსახლეობის ფონდისა და გაეროს განვითარების პროგრამის დაფინანსებით ჩატარდა.

გუშინ, კვლევის შედეგების პრეზენტაციას თბილისი-მერიოტმა უმასპინძლა, რომელსაც გენდერული საბჭოს წევრებიც ესწრებოდნენ. გენდერული საბჭოს თავმჯდომარისა და პარლამენტის ვიცე-სპიკერ მანანა კობახიძისათვის მოულოდნელი ნამდვილად არ აღმოჩნდა კვლევის შედეგები, რომლის ძირითად მიზანს ქართველი საზოგადოების დამოკიდებულების შესწავლა წარმოადგენდა გენდერულ თანასწორობასთან მიმართებაში. კვლევა ასევე დაინტერესდა საზოგადოების დამოკიდებულებით პოლიტიკურ პროცესებში ქალთა აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობით და მათი ეკონომიკურად გაძლიერება.

აღმოჩნდა, რომ მოსახლეობას მიაჩნია – იდეალურია მდგომარეობა, თუ იქნება შესაძლებლობა, ქალი არ მუშაობდეს ან ნაკლებად დატვირთული „ქალისათვის შესაფერი“ სამუშაო ჰქონდეს. ასევე ქალი ქმრის მორჩილი უნდა იყოს და დაუთმოს კაცს ლიდერის პოზიცია სხვადასხვა ასპარეზზე. ჩატარდა 1760 პირისპირ ინტერვიუ მთელი საქართველოს მასშტაბით. თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოიყო 16 ფოკუსური ჯგუფი ქალაქისა და სოფლის მაცხოვრებელ ქალებთან სამეგრელოსა და კახეთში, სადაც გამოიკითხა 20-50 წლის ასაკის ქალები. რესპონდენტებს სხვადასხვა განათლება, დასაქმების სტატუსი, შემოსავალი და ოჯახური მდგომარეობა ჰქონდათ.

მაინც როგორ ესმის ქართველ საზოგადოებას გენდერული თანასწორობა? რა ბარიერები არსებობს ქალისათვის ეკონომიკურ და პოლიტიკურ აქტივობებში მონაწილეობის თვალსაზრისით ან რამ შეიძლება ასტიმულიროს ქალების პოლიტიკაში ჩართვა? კვლევის შედეგად რამდენიმე ფაქტორი გამოიკვეთა, რომელიც განაპირობებს კაცის უპირატესობის აღქმას პოლიტიკის სფეროში და ქალისთვის პოლიტიკის ნაკლებად თავსებადობას. ესენია ქალის განსხვავებული ბუნება, ანუ ქალი მამაკაცთან შედარებით სუსტი არსებაა; ქალის ოჯახში დაკავებულობა, პოლიტიკური საქმიანობის სპეციფიკა – რომ ეს საქმე ბინძურია და ქალი ნაკლებად გაართმევს თავს; ასევე ამომრჩევლის მხრიდან ქალის მხარდაჭერის უფრო დაბალი ალბათობა. სხვათა შორის, როგორც მამაკაცები, ისე ქალები საპრეზიდენტო კანდიდატის როლში უპირატესობას მამაკაცს ანიჭებდნენ.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ პოლიტიკურ საქმიანობასთან შედარებით ქალის ბიზნეს-აქტივობა უფრო მისაღები შეიძლება იყოს როგორც ქალის ოჯახისთვის, ისე ფართო საზოგადოებისათვის და თავად ქალებისთვისაც. გამოიკვეთა რამდენიმე ფაქტორი, რომელიც ხსნიდა ქალის ბიზნესაქტივობის შედარებით მისაღებლობას. კერძოდ, ბიზნესში ჩართულ ქალს არ უწევს ისეთი ინტენსიურად ყურადღების ცენტრში ყოფნა, როგორც პოლიტიკაში ჩართულ ქალს. პოლიტიკაში ქალი მარტოა, ბიზნესში კი ოჯახის წევრების ჩართვაც შეიძლება; პოლიტიკას მეტი დრო სჭირდება ბიზნესისგან განსხვავებით და ოჯახისთვის დრო აღარ რჩება. ამასთან, ბიზნესი უფრო შემოსავლიანია; პოლიტიკა ბინძური საქმეა და შეიძლება ოჯახის იმიჯზე ნეგატიურად აისახოს. პოლიტიკური კარიერის დაწყებასთან შედარებით ბიზნესის დაწყება უფრო იოლია და აქ წარმატებაც უფრო ადვილად მიიღწევა.

კვლევა საკუთრების უფლების განაწილებითაც დაინტერესდა. საქართველოში კვლავ მყარია მოსაზრება, რომ მშობლების ქონების უდიდესი ნაწილი ვაჟიშვილს უნდა დარჩეს და არა ქალიშვილს. გამოკითხულთა საგრძნობი ნაწილი თანასწორობის მომხრე აღმოჩნდა. დასახელდა არგუმენტები, რომლებიც ხსნის მსგავს დამოკიდებულებას – ბიჭისთვის ქონების დატოვება ქართული ტრადიციაა, რომელიც ეფუძნება იმ აზრს, რომ ოჯახის ქონება უნდა ერგოს მამაკაცს, ხოლო ქალისთვის კომპენსაციას მზითევი წარმოადგენს. ამასთან, გათხოვების შემთხვევაში ქალი ხდება მეუღლის ქონების „მესაკუთრე“, რომელიც მამაკაცს მშობლებისგან დარჩა. თუმცა ეს „მესაკუთრეობა“ ქონების მოხმარების უფლებად მოიაზრება და ნაკლებად გულისხმობს მის განკარგვას განსაკუთრებით განქორწინების შემთხვევაში. კაცისთვის ქონების დატოვების ტრადიცია იმდენად მყარია, რომ ქალებსაც არ მიაჩნიათ მართებულად ძმას შეეცილონ მათ კუთვნილ ქონებაში.

ყველაზე მეტად თანასწორობის მომხრე საზოგადოება განათლების მიღების შემთხვევაში აღმოჩნდა. გამოკითხულთა უმრავლესობამ – 72-მა პროცენტმა აღნიშნა, რომ უმაღლესი განათლება თანაბრად მნიშვნელოვანია გოგოსთვის და ბიჭისთვის. თუმცა, თუ არჩევანზე მიდგებოდა საქმე და სწავლის საფასურის გადახდა ერთი შვილისთვის შეეძლებოდათ, არჩევანს ვაჟის სწავლის დაფინანსებაზე გააკეთებდნენ (დაახლოებით 44%).

გამოკითხულთა უმრავლესობა ამჯერად სწორად განმარტავდა, რას ნიშნავს გენდერული თანასწორობა და კაცისა და ქალის თანაბარ უფლებებად სამართლიანად მოიაზრებდა. თუმცა, კვლავ არიან ადამიანები, რომლებიც ამ თემას „ყურით მოთრეულ პრობლემად“ აღიქვამენ.

კვლევის ფარგლებში მოხდა რამდენიმე საკანონმდებლო საკითხთან დაკავშირებულ თემებთან მოსახლეობის დამოკიდებულების შეფასება, კერძოდ კაცის დეკრეტულ შვებულებასთან და კვოტურ სისტემებთან დაკავშირებული დამოკიდებულების კვლევა. შედეგებმა აჩვენა, რომ მოსახლეობის უმეტესობამ არ იცოდა კანონის არსებობის შესახებ, რომელიც მამაკაცს საშუალებას აძლევს, აიღოს დეკრეტული შვებულება. გამოკითხულთა უმრავლესობა საჭიროდ არ მიიჩნევდა მსგავსი კანონის არსებობას.

კვლევის მონაწილეთა 67% კვოტური სისტემის მომხრე აღმოჩნდა, რომლის მიხედვით ქალების გარკვეული რაოდენობა აუცილებლად უნდა იყოს პარლამენტში, პოლიტიკურ პარტიაში და მაღალ აღმასრულებელ პოზიციებზე. ყოველი ოთხი გამოკითხულიდან სამი პოზიტიურად აფასებდა კანონების არსებობას, რომელნიც უზრუნველყოფს ქალებისა და მამაკაცების ერთნაირ ხელფასს ერთნაირ პოზიციაზე.

რას ფიქრობენ პარლამენტის წევრი ქალბატონები კვლევის შესახებ და საჭიროა თუ არა ცნობიერების ძირეული ცვლილება გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში? ამის შესახებ „ახალი თაობა“ პარლამენტარ ქალბატონებს გაესაუბრა:

**გუგული მაღრაძე:**

– ძირეული ცვლილებები საჭიროა, რადგან დემოკრატიული განვითარება და ნორმალური განვითარება ნიშნავს იმას, რომ ქალის და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობა არის ყველაზე უკეთესი. მაგრამ ძალიან ძნელია ამის პედალირება, რადგან სტერეოტიპების რღვევა, ცვლილებები ისე უნდა მოხდეს, რომ რაღაცები არ დაზიანდეს. ჩემი აზრით, მთავარი აქცენტი უნდა იყოს განათლებაზე, რომ ბუნებრივად მოხდეს იმის შემოსვლა, რომ თანასწორობის იდეა საკუთარი იყოს და არა გარედან მოხვეული. მედიის საშუალებით უნდა მოხდეს საზოგადოებაზე ზემოქმედება. ეს ორი პუნქტი უნდა იყოს მაქსიმალურად გათვალისწინებული და თანდათან შედეგს მივიღებთ. უცებ არც ერთ ქვეყანაში არ არის შედეგები მიღწეული.

**მანანა კობახიძე:**

– ცნობიერების ცვლილება ყველაზე რთული საქმეა. მოგეხსენებათ, სტერეოტიპები არის ლამის საუკუნეებია – ქალი – ოჯახში და მამაკაცი – საშოვარზე. ეს მიდგომები საუკუნეების განმავლობაშია დამკვიდრებული. ამიტომ, რა თქმა უნდა, ცნობიერების ცვლილება საჭიროა იმ კუთხით, რომ ქალიც და მამაკაციც არის თანასწორი და აბსოლუტურად თანასწორი შესაძლებლობა და მოქმედების არეალი უნდა მიეცეთ. ეს ხელშეწყობილი უნდა იყოს სახელმწიფოს მხრიდან. ამაში ძალიან დიდი როლი აქვს განათლებას და განათლების სამინისტროს, კულტურის სამინისტროს, საზოგადოებრივ მაუწყებელს. ყველა მიმართულებას, თუნდაც გარემოს დაცვის სამინისტროს, იგივე ბუნებრივი რესურსების თანაბარი განაწილების თუ მოხმარების თვალსაზრისით, ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის და მასში ქალების და კაცების თანაბარი მონაწილეობის თვალსაზრისით. იგივე ეკონომიკის სამინისტროს, რათა ბიზნესი იყოს ხელშეწყობილი და ქალების ჩართულობა – მხარდაჭერილი. ის საქმიანობა, რასაც პარლამენტი, მთავრობა განახორციელებს, ხელს შეუწყობს იმას, რომ აბსოლუტურად ნორმალური იყოს შეხედულება იმაზე, რომ ქალი და მამაკაცი აბსოლუტურად თანასწორია ოჯახშიც და გარეთაც.

**ეკა ბესელია:**

– ის სტერეოტიპები, რომელიც ჯერ კიდევ გავლენას ახდენს ამ ტიპის მოსაზრებების ჩამოყალიბებაზე და არ შეესაბამება თანასწორობის პრინციპს, არის უფრო განათლების პრობლემა და ამ კუთხით ბევრია სამუშაო. ის, რომ მოსახლეობის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პოლიტიკა უფრო კაცის საქმეა, ქალი უფრო მეტად უნდა იყოს დაკავებული ოჯახში, პატრიარქალური ტრადიციების გაგრძელებაა და უკავშირდება განათლების თემას. ამ კუთხით ჩვენ ჯერ კიდევ ინერციით მოვდივართ, რაც წლების განმავლობაში ყალიბდებოდა. ცნობილია, რომ საქართველო უფრო მატრიარქალური ქვეყანაა და ეს ტენდენციები ყველაფერში ჩანს, მაგრამ ნელ-ნელა უნდა მივუახლოვდეთ იმ სტანდარტს, რომ თანასწორი უფლებებით სარგებლობდნენ ქალები და მამაკაცები ყველა მიმართულებით და ეს უნდა იყოს შინაგანი განწყობა და დამოკიდებულება. სამუშაო ბევრი გვაქვს, ამას წლები სჭირდება.

## შოთა მალაშხია: „არანაირ სექსუალურ ორგიაში არ ვმონაწილეობდი“

საპარლამენტო უმცირესობის წევრი შოთა მალაშხია ხელისუფლებას მის წინააღმდეგ მიზანმიმართულ ქმედებაში ადანაშაულებს. ამის შესახებ დეპუტატმა „პრაიმ ტაიმის“ პრესკლუბში ისაუბრა. მისი თქმით, სხვადასხვა მედიასაშუალება მასზე ცილისმწამებლურ პუბლიკაციებს აქვეყნებს.

„სულ ეხლახან დაიწერა, რომ მე რაღაც სექსუალურ ორგიებში ვღებულობდი მონაწილეობას ვაშინგტონში და ლისაბონში. არადა, არც ვაშინგტონში და არც ლისაბონში ნამყოფი არ ვარ. ისეთი ადგილი მაინც მოძებნონ, სადაც ვარ ნამყოფი. თითქოს მე ვყიდიდი გვამებს. ამბავს კი ჰყვებოდა ვიღაც მღვდელი და თითქოს ჩემი დაცვის წევრებმა ეს მღვდელი ჩემთან არ მოუშვა.

გვამებთან დაკავშირებით შემიძლია გითხრათ, რომ ერთადერთი შეხება შეიძლება მქონოდა მაშინ, როდესაც მე ვსწავლობდი პათანატომიის კათედრაზე და ისიც როგორც სტუდენტს. რაც შეეხება დაცვას, საერთოდ არ მყავს დაცვა.

თითქოს აღებული მაქვს თანხები პრემიების სახით. ეს არის აბსურდი და შემიძლია ხმამაღლა განვაცხადო, რომ წლების მანძილზე არცერთი პრემია ამიღია. მეტიც მინდა გითხრათ, რომ ადრე ოკუპაციის პროექტთან დაკავშირებით გამოიყო გარკვეული თანხები, მაგრამ იქიდან მე კაპიკი არ ამიღია მიუხედავად იმისა, რომ ვიყავი ამ პროექტის ხელმძღვანელი.“,-განაცხადა დეპუტატმა და აღნიშნულს ხელისუფლების მხრიდან აგორებული ბინძური კამპანია უწოდა.

მისივე მტკიცებით, მსგავსი შინაარსის ინფორმაცია მას პრობლემას ვერ შეუქმნის.

**მედიანიუსი**

## დემურ გიორგელიძე: „ბიზნესი ისევ ნაციონალების ხელთაა“

**დასაწყისი მე-4 გვერდზე**

რავინ გაბედავდა აქ რაიმეს კეთებას.

***– დღეს წნეხი მოიხსნა. ბიზნესის განვითარებას ხელს რაღა უშლის?***

– წნეხი ნამდვილად მოხსნა. რა უშლის და გეტყვით: დიახ, თქვენც თავისუფალი ხართ და მეც, მაგრამ ამ ქვეყანაში არანაირი ინფრასტრუქტურა არ არის. ფინანსური ინფრასტრუქტურა არის ყველაზე მახინჯი, ეს არის ენერგიული ბანკები, რომელშიც კონცენტრირებულია ფული და რომლებიც საკუთარ თავს აფინანსებენ და აბსოლუტურად შეკრულნი არიან ყველა იმ მონოპოლისტთან. ამიტომ ისინი კონკურენციას არ დაუშვებენ; ახალ ჯგუფებს სერიოზული ბიზნეს-პროექტების დაფინანსებისთვის ფულს არ მისცემენ. ისინი საკუთარი თავის წინააღმდეგ არ იმოქმედებენ. ამას უნდა ცივილიზებული კონკურენტული გარემოს შექმნა, ამას უნდა კანონები, რომელიც შექმნის ალტერნატივებს. რაკი ალტერნატივები არ არის ქვეყანაში, თქვენ თავისუფალი ხართ. მაგრამ არანაირი საშუალება არ გაქვთ. თქვენ ვერ გაუკეთებთ რეალიზაციას თქვენს პროექტებს.

***– ანუ არასწორი მიდგომა აირჩია ხელისუფლებამ?***

– ეს არის აბსოლუტურად არასწორი მიდგომა. აქცენტი კვლავ გაკეთებულ იქნა იმ მსხვილ ბიზნესზე, რომელიც სერიოზული მუხრუჭია დღეს ქვეყნის განვითარებისთვის.

***– გამოდის, რადგან ბიზნესი ისევ ნაციონალების ხელთაა, მას ყოველთვის შეუძლია ითამაშოს სასურველი თამაში ბაზარზე და გამოიწვიოს კრიზისი, ფინანსური არასტაბილურობა, ადგილი ჰქონდეს საბოტაჟს და ა.შ. რატომ ელოლიავება ცნობილ პოლიტიზებულ ბიზნესს ასე ახალი მთავრობა?***

– დიახ, რა თქმა უნდა. მე ეჭვიც არ მეპარება, რომ იმპორტიორებს მთავრობა ზედმეტად ლოიალურად მოექცა. ერთი წელი გავიდა, ეს საკმაოდ დიდი დროა და მან არ გადადგა ნაბიჯი იმპორტჩამნაცვლებელი, კონკურენტუნარიანი ქართული ეკონომიკისთვის დამახასიათებელი სფეროების განვითარებისათვის და კვლავ ყველაფერი იმპორტზე იქნა დამოკიდებული. ის, რაზეც არის საუბარი, გარკვეულ ცვლილებებზე ექსპორტთან დაკავშირებით, ჯერჯერობით მაღალი ხარისხის არაა. როდის შეუძლია, იცით, მონოპოლიურ ჯგუფებს დაატერორონ და დაუშანტაჟონ მთავრობა, როდესაც მთავრობა არ არის მიზანდასახული, არ არის შეკრული იმ მთავარი მიზნისათვის, რასაც ჰქვია გაარღვიოს ეს ჭაობი, რასაც საქართველოში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური კატასტროფული მდგომარეობა ჰქვია, მაშინ დაგატერორებენ, შანტაჟს გაგიკეთებენ. ნახე, რა გააკეთეს მონოპოლიებმა? მათ ეკონომიკური აქტივობა შეაჩერეს და გააჩინეს პრობლემები. ამ დროს, გასულ წელს მათ მიიღეს მოგება 7 მლრდ ლარის ოდენობით. რად გვინდა უცხოური ინვესტიციები, როდესაც ჩვენ შეგვიძლია 7 მლრდ საკუთარ ეკონომიკაში ჩავაბრუნებინოთ ამ ხალხს და გააფართოვონ ბიზნესი, ეკონომიკა. არა. ისინი ელოდებიან სიტუაციას. მათ უკვე თავისი საქმე გააკეთეს, მთავრობა არაეფექტური გახადეს.

***– ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, ბალასტი თუ არ ჩამოიცილა ოცნებამ, ქვეყნის ეფექტურად მართვა გაუჭირდება. აქვს კი რესურსი მმართველ გუნდს იმისა, რომ კვალიფიციური კადრები მოიზიდოს? ფაქტია, საპარლამენტო უმრავლესობა ძველ კადრებს უფრო ელოლიავება, სხვებს კი გვერდით არ იკარებს დამსახურების მიუხედავად. პარლამენტიდან დეპუტატების აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადმოყვანა რამეს უშველის? რა უნდა ქნას უმრავლესობამ, რომ ამ პროცესში თვითონ არ დაიმარხოს?***

– ბრწყინვალე კითხვაა. რას აკეთებდა ნაციონალური მოძრაობა გარდა საკუთარი პარტიული კუთვნილებისა, იგნორირებული ჰქონდა ქართველი ხალხის ნიჭი და უნარი. ის, ვინც ნაციონალური მოძრაობის გარეთ იყო, სისტემის გარეთ იყო, ამიტომ, არც კი ითვლებოდა არაფრად. რას აკეთებს დღეს „ქართული ოცნება“? – ზუსტად იგივეს. არადა, საჭირო იყო პირველი რამ: ეს უზარმაზარი მოლოდინები უნდა გამართლებული ყოფილიყო და მთავრობა უნდა წასულიყო ფართომასშტაბიან თანამშრომლობაზე საკუთარ ხალხთან. მთელი რესურსი უნდა აეკრიფა. ერთი წელი საკმარისი დრო იყო იმისათვის, რომ ყველა მიმართულებით საუკეთესო რესურსი აკრეფილიყო. ეს არ გააკეთა და ჩიხში შევიდა.

## გიორგი მარგველაშვილი: „ევროინტეგრაცია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული არჩევანია“

საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, საქართველო, როგორ სახელმწიფო და საზოგადოება, ევროპასთან ინტეგრაციის გზაზე უაღრესად გამთლიანებულია. ასე პასუხობს პრეზიდენტი კითხვას იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა უკრაინაში მიმდინარე პროცესებმა საქართველოს მიერ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებაზე გავლენა მოახდინოს.

მისი შეფასებით, ქართული პოლიტიკური სპექტრი აბსოლუტურად ჩამოყალიბებულია იმასთან დაკავშირებით, რომ ევროპასთან ინტეგრაცია საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული არჩევანია.

„სირთულეები, რომელიც შესაძლებელია იყოს, დაიძლევა ერთის მხრივ, ჩვენი პოლიტიკური სპექტრის სრული ერთიანობით, მეორეს მხრივ, იმ ახლო თანამშრომლობით, რომელიც ევროპულ ქვეყნებთან ჩვენ ცალ-

ცალკე გვიყალიბდება“ – განაცხადა მარგველაშვილმა.

გასული კვირის ბოლოს, უკრაინის ხელისუფლებამ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოსაწერად მზადების პროცესის შეჩერების გადაწყვეტილება მიიღო. მთავრობამ აღნიშნული გადაწყვეტილება რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების გაფართოების სურვილით ახსნა და განაცხადა, რომ „ის ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე მიიღო“.

ხელისუფლების ამ ქმედებას კიევსა და რეგიონებში მრავალათასიანი საპროტესტო აქციები მოჰყვა. კიევის ცენტრში სპეცდანიშნულების რაზმმა აქცია რამდენჯერმე დაშალა, თუმცა, დემონსტრაციები ისევ გრძელდება.

ნიუსპრესი

## სამეგრელო-ზემო სვანეთის ოლქს ახალი პროკურორი ჰყავს

სამეგრელო-ზემოსვანეთის საოლქო პროკურატურის პროკურორად გიზო უბილავა დაინიშნა. ინფორმაცია საქართველოს მთავარი პროკურატურის ოფიციალურ ვებ-გვერდზეა გამოქვეყნებული. ამ თანამდებობაზე მან ვალერიან იოსავა შეცვალა.

,,ლაივპრესის“ ინფორმაციით, სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო ყოფილმა პროკურორმა ვალერიან იოსავამ თანამდებობა იმის გამო დატოვა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურაში პროკურორის თანამდებობაზე დაინიშნა.

„მე უკვე გადამიყვანეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორად, დანარჩენი მერე“, - განაცხადა ვალერიან იოსავამ.

შეგახსენებთ, რომ ვალერიან იოსავამ 2012 წლის პარლამენტის არჩევნების შემდეგ ოლქის პროკურორის თანამდებობაზე როლანდ ახალაია შეცვალა.

მედიანიუსი

# ჰამლეტ ჭიპაშვილი: „გიორგი მარგველაშვილს სერიოზულად ვერ აღვიქვამ

შორენა გონგლაძე

## ინტერვიუ პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილთან

*– ბატონო ჰამლეტ, პრეზიდენტ მარგველაშვილის ინტერვიუმ, რომელიც რუსულ ტელევიზიას მისცა, რა შთაბეჭდილება დატოვა თქვენში? ამ ინტერვიუს ნაციონალების რისხვა მოჰყვა იმის გამო, რომ მარგველაშვილმა არ ახსენა ნაციონალების საყვარელი სიტყვა „ოკუპაცია“, ეს ალბათ რაღაც სიახლეა ქართული პოლიტიკის მიმართულებებში, უნდა ველოდოთ თუ არა რუსეთთან ურთიერთობაში გარკვეულ ბალანსს?*

– მე ამ პიროვნებას ვერ აღვიქვამ ისე სერიოზულად, რომ ასეთი პრობლემების გადაწყვეტა შეეძლოს. მე წავიკითხე მისი ფილოსოფიური ტრაქტატები და ამ ტრაქტატებში ისე ჰყავს გამოყვანილი საქართველო, რომ თითქოს ეს არის დებილი ბავშვი, გაიზარდა, მაგრამ ჭკუა მაინც არ აქვს. იქ არის დაახლოებით ისეთი ფორმულირებები, ჭიაბერაშვილმა ქართლის დედასთან დაკავშირებით რომ ჩამოაყალიბა. მას თითქოს აქვს ასეთი სურვილი, რომ ერს ასწავლოს. როდესაც იწყებ ქართველის ლანძღვით და ამ ყველაფერს აბრალებ ლოთ აღმზრდელს, ამ შემთხვევაში კი ლოთი აღმზრდელი არის რუსი, რომელმაც ერი ვერ გაზარდა. ავიღოთ აღექსანდრე დიუმა, რომელმაც საქართველოში იმოგზაურა. ის წერს სწორედ ამ სმაზე, თუ რამდენს სვამდნენ ქართველები და ასე შემდეგ. თუ ღვინის სმასა და ლოთობაზე მიდგება საქმე, ჩვენ ვართ ღვინის ქვეყანა, ამით ვიდებთ თავს და გამოდის, რომ ჩვენ ვასწავლეთ რუსებს სმა. საქართველოში ღვინის კულტურა დაიწყო გაცილებით ადრე, ვიდრე ეს შევიდოდა რუსეთში. რამდენჯერმე მე ყური მოვკარი მის ნაბოდიალებს, თუ როგორ ლანძღავდა რუსეთს. ამის შემდეგ, მას რაც არ უნდა კეთილი სურვილები ჰქონდეს რუსეთის მიმართ, ამას მე ვერ დავიჯერებ, რადგან მისი წინა ნათქვამები არის აშკარად უარყოფითი. ეს არ არის ყმაწვილკაცობაში დაწერილი რაღაც, ეს არის მისი ბოლო წლების შემოქმედება. რაც შეეხება იმ ინტერვიუს, ნაციონალების პრეტენზია იყო ის, რომ რატომ არ მოიხსენია მან რუსეთი ოკუპანტ ქვეყნად. მე მიმაჩნია, რომ მას ასე ნამდვილად არ უნდა ელაპარაკა და მგონია, რომ ის რაც მან თქვა, მე მის პათოსს დავეთანხმები იმიტომ, რომ არ არის საჭირო რუსეთის გინება. განა იმიტომ, რომ რუსეთი მიყვარს, არამედ იმიტომ, რომ როდესაც შენ ხარ დამნაშავე, რაშიც ჩვენ მიგვიძღვის ბრალი, რადგანაც არ გამოვიჩიჩქნეთ ყურები იმაზე, რაც ხდებოდა სააკაშვილის დროს და მივიღეთ ის, რაც მოხდა. მარგველაშვილის მხრიდან რუსეთის ლანძღვა, ეს არაფერი ახალი არ იქნებოდა, ეს იქნებოდა ძველი „პლასტინკა“, რომელსაც ატრიალებდა ნაციონალური მოძრაობა ათი წლის განმავლობაში. ეს პიროვნება არის ნაციონალების გუნდის წევრი, წარსულში მას კარგი ურთიერთობა ჰქონდა ნაციონალებთან. შეიძლება დღეს გარკვეულწილად ვითარებამ მოითხოვა ისე, რომ ის დისტანცირებული იყოს, მაგრამ მარგველაშვილის და ნაციონალების სულიერება დიდად არაფრით განსხვავდება. მისი დამოკიდებულება რუსეთთან მიმართებაში იქნებოდა ისეთივე, რაც მან თქვა თავის ფილოსოფიურ ტრაქტატებში. მაგრამ ის, რომ მას რუსულ მედიასთან რუსეთის ლანძღვა დაეწყო, ჩემი აზრით, ეს იქნებოდა დიდი შეცდომა. მან ალბათ ამ შემთხვევაში გაითვალისწინა მისი გამზრდელის, ბიძინა ივანიშვილის მოსაზრება.

*– ხომ არ ფიქრობთ, რომ საქართველოს გარკვეული პოზიცია უკვე აქვს ჩამოყალიბებული რუსეთთან მიმართებაში?*

– არა, არავითარი პოზიცია არ აქვს და ეს კარგად გამოიკვეთა კიდეც მისი ინაუგურაციის დროს წარმოთქმული სიტყვიდან. მან ისე გადააბა რუსეთთან ურთიერთობის დალაგება ევროატლანტიკურ სივრცეზე და მასთან ურთიერთობაზე, მან გაიმეორე იგივე, რასაც ამბობდა ბიძინა ივანიშვილი, რომ ევროატლანტიკური სივრცეც და რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებაც, რაც ფაქტიურად შეუძლებელია.

*– მარგველაშვილის გარდა, ივანიშვილის პოლიტიკურ ხაზს აგრძელებს ასევე ღარიბაშვილიც, ის მინისტრთა კაბინეტში ცვლილებებს, როგორც ჩანს, არ გეგმავს..*

– მე მგონია, რომ ეს მინიმალური ცვლა, რაც მოხდა, საკმარისია მისთვის იმიტომ, რომ მას მაინც უნდა შეენარჩუნებინა ივანიშვილის ხალხი თანამდებობებზე. მაგრამ მე არ მგონია, რომ ამან დიდხანს გასტანოს. თუმცა, ისინი ამ ყველაფერს უნდა უმადლოდნენ ბიძინა ივანიშვილს, თორემ ვინ არის ღარიბაშვილი, იცის ვინმემ? მას ბიოგრაფიაც კი არ აქვს ან რა ბიოგრაფია უნდა ჰქონდეს ოცდათერთმეტი წლის ყმაწვილს? მთლად სასწაული გამოაცხადეს ტელევიზიებმა, რომ თურმე ის ყოფილა სან-მარინოს საპატიო კონსულის წარმომადგენელი. ჯერ ერთი, ფართო საზოგადოებამ ხომ არ იცის, რა არის საპატიო კონსული, მით უმეტეს, სან-მარინო ერთიორს თუ გაუგია. ამ დროს, სან-მარინოს საპატიო კონსული იყო და შეიძლება დღესაც არის ბიძინა ივანიშვილი. საპატიო კონსული საერთოდ არ შედის დიპლომატიურ ჩამონათვალში, ეს არის აბსოლუტურად არა ანაზღაურებადი თანამდებობა. საპატიო კონსული შეიძლება თითო ქალაქში გყავდეს ოცი, ან მეტი და, მით უმეტეს, საპატიო კონსულის წარმომადგენელი რაღა არის? ესეც მეტყველებს იმაზე, რომ ეს უბრალოდ ითქვა იმისთვის, რომ შეევსოთ მისი ბიოგრაფია. რაც შეეხება მისი სორბონაში მიღებულ განათლებას, ამ სისულელეებს ქართველობა უნდა შეეშვას. მიდიან საზღვარგარეთ, ჩამოაქვთ დიპლომები, იკიდებენ კედლებზე და ასე შემდეგ. ეს ისეთივეა, სააკაშვილმა, თავისი წელიწადნახევრიანი კურსებით ტვინი, რომ წაიღო და სორბონის უნივერსიტეტში კიდევ ორი კი არა, ექვსი წელი სწავლობენ. ეს არ არის ხელწამოსაკრავი რამ.

*– ღარიბაშვილის პარლამენტში პირველი სტუმრობა რამდენად წარმატებული იყო?*

– ის კითხვები, რაც უმცირესობის მხრიდან იქნა დასმული, სინდის-ნამუსიან ადამიანს არ უნდა დაესვა, რადგანაც ისინი ათი წელი იყვნენ ხელისუფლებაში და ცუდის გარდა არაფერი გაუკეთებიათ. ისე სვამდნენ კითხვებს, რომ თავად იყვნენ მამა აბრამის ბატკნები, ქვეყნის ბედით შეწუხებულები და დღეს მოსულმა მთავრობამ ვერაფერი ვერ გააკეთა. მათ არ აქვთ ასეთი კითხვების დასმის მორალური უფლება და, როდესაც ისინი მაინც სვამენ ასეთ კითხვებს, ეს არის ოცნების დიდი შეცდომა იმიტომ, რომ შენ არ უნდა მისცე კრიმინალს უფლება, რიმ ის დაგაჯდეს თავზე, და ის მარტო მათ კი არა, ამით მთელ ერს აჯდება თავზე. ისინი ამით მარტო იმ ყმაწვილის საწინააღმდეგოდ კი არა, მთელი ერის საწინააღმდეგოდ იყვნენ მიმართულნი. ის, რომ ახალმა ხელისუფლებამ ამ ერთი წლის განმავლობაში დიდი ვერაფერი ვერ გააკეთა, ეს ნათელი ფაქტია. რაც არ უნდა გაიხნენ მთავრობის წევრები, მათ ვერ გააკეთეს მთავარი რამ, რომ ხმა ჩაეკმინდა ნაციონალურ მოძრაობას. ეს ხმის ჩაკმენდა კი უნდა მომხდარიყო მუშაობის ფაქტების დადებით. საქმე უნდა დადო, მაგრამ ეს ოცნებამ ამ ხნის მანძილზე ვერ გააკეთა. ნაციონალები კი ამ დროს არიან გამოცდილი ავანტიურისტები, ამ შემთხვევაში, ცხადია, მათ ეს პაექრობა მოიგეს. ვინც საქმეში ჩაუხედავია, ისინი საკმაოდ ალმაცერად შეხედავდნენ ღარიბაშვილს, რადგანაც მისი პასუხები აცდენილი იყო იმ თემას, რომელზეც მას უნდა გაეცა მოკლე და კორექტული პასუხები, მაგრამ ნაციონალებმა მოახერხეს მისი მოთმინებიდანაც გამოყვანა, მისი იძულება, რომ გაეცა არაკვალიფიციური პასუხები და ასე შემდეგ. ის, ბუნებრივია, რომ მოუმზადებელი იყო, რადგანაც მისთვის ეს იყო ძალიან უცხო რამ. მართალია ასაკით პატარაა ღარიბაშვილი, მაგრამ ის არის ფაქტიურად პირველი პირი ქვეყანაში. მე არ ვიცი, ის ამ პასუხისმგებლობას როგორ გრძნობს, მაგრამ ეს ძალიან სერიოზული რამ არის, მე ვიტყოდი, რომ არ უნდა გაერისკა. ეს დანერგეს ნაციონალებმა, როდესაც მინისტრებად დანიშნეს თინეიჯერები და ამ ყველაფერმა დაარწმუნა სხვა თინეიჯერები, რომ თუ მათ შეძლეს მინისტრობა, რატომ არ შეიძლება ისინიც იყვნენ მინისტრები, ანუ „აპეტიტი“ გაუღვივდა ყველა ბავშვს. და როდესაც ბიძინა ივანიშვილმა უთხრა ღარიბაშვილს, რომ ის უნდა ყოფილიყო პრემიერ-მინისტრი, მას ერთი წამითაც კი არ უფიქრია, აწევდა თუ არა ის ამხელა ტვირთს. მან შეაფასა ეს წინადადება ისე, რომ თითქოს ივანიშვილმა მას მისცა მორიგი დავალება. არადა, ახალგაზრდა, გამოუცდელი კაცისთვის ეს არის ძალიან სერიოზული რამ.

## ალექსანდრე ჭიკაიძე ლატვიელ ხალხს სამძიმარს უცხადებს

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ ლატვიელ კოლეგას, რიჰარდს კოზლოვსკის სამძიმრის წერილი გაუგზავნა. წერილში იგი ლატვიელ ხალხს მიმდინარე წლის 21 ნოემბერს რიგაში სუპერმარკეტის სახურავის ჩამონგრევის შედეგად 51 ადამიანის, მათ შორის, 3 მეხანძრე-მაშველის გარდაცვალებასთან დაკავშირებით უსამძიმრებს. მაშველებმა საკუთარი სიცოცხლე დაზარალებულთა გადასარჩენად გასწირეს.

შს მინისტრი თანაუგრძნობს გარდაცვლილთა ოჯახებს და ინციდენტის შედეგად დაზარალებულებს მალე გამოჯანმრთელებას უსურვებს.

ნიუსპრესი

## საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ისრაელის ელჩს შეხვდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ პირველი გაცნობითი შეხვედრა ისრაელის ელჩ იუვალ ფუქსთან გამართა. ისრაელის ელჩმა ალექსანდრე ჭიკაიძეს მინისტრად დანიშვნა მიულოცა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან წარმატებული თანამშრომლობა აღნიშნა.

შსს-ს ინფორმაციით, მხარეებმა არსებული ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები და სამომავლო გეგმები, განსაკუთრებით, 2013 წლის ნოემბერში ხელმოწერილი უვიზო მიმოსვლისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ხელშეკრულებები განიხილეს.

ასევე, მათ ისრაელსა და საქართველოს სამართალდამცავ უწყებებს შორის არსებული თანამშრომლობის კიდევ უფრო გაძლიერების იმედი გამოთქვეს.

მედიანიუსი

## ზუგდიდის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის მკვლელობის ვერსიას გამორიცხავენ

შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე, ზუგდიდის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მკვლელობის ვერსიას გამორიცხავს.

„მკვლელობას გამოვრიცხავ, ეს არის თვითმკვლელობა, მაგრამ რამ გამოიწვია იგი, ამას გამოძიება დაადგენს“– განაცხადა მინისტრმა კანცელარიაში მედიის წარმომადგენლებთან საუბრისას.

როგორც ჭიკაიძემ აღნიშნა, გამოძიება 115-ე მუხლით არის დაწყებული, რომელიც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

„საქმე აღძრულია და გამოძიება 115-ე მუხლით, რომელიც თვითმკვლელობამდე მიყვანას ითვალისწინებს. ამ შემთხვევაში ზუგდიდის სამმართველოს უფროსის მოადგილე სახლში იქნა ნაპოვნი. კარი შიგნიდან იყო ჩაკეტილი“ – განაცხადა ალექსანდრე ჭიკაიძემ.

ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე ალექსანდრე დანელია გარდაცვლილი ზუგდიდში, დადიანის ქუჩაზე ნაქირავებ ბინაში იპოვეს. გავრცელებული ინფორმაციით, მან ტაბელური იარაღით თავი მოიკლა. ადვოკატის განცხადებით, თვითმკვლელობა 2008 წლის ე.წ ხურჩის ინციდენტს უკავშირდება.

ნიუსპრესი

## გიორგი ზედელაშვილი შს მინისტრის პირველი მოადგილე იქნება

შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ გიორგი ზედელაშვილი ინიშნება, რომელიც მანამდე სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს ხელმძღვანელი იყო. ამის შესახებ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ განაცხადა. შს მინისტრს მეორე ახალი მოადგილეც ეყოლება, რომელიც ამ თანამდებობაზე თავდაცვის სამინისტროში გადასულ ალექსი ბატიაშვილს ჩაანაცვლეს. ბატიაშვილი ირაკლი ალასანიას მოადგილედ გააგრძელებს მუშაობას.

„ალექსი ბატიაშვილის ადგილზე სავარაუდოდ, დავით ხუციშვილი დაინიშნება, რომელიც საკადრო და შესყიდვების დეპარტამენტის ხელმძღვანელი იყო. რაც შეეხება სხვა მოადგილეებს ალექსანდრე ტაბატაძე ჯერ თანამდებობას ინარჩუნებს, ასევე, იგივე პოსტებზე აგრძელებენ მუშაობას ლევან იზორია და ვახტანგ გომელაური“ – განაცხადა ჭიკაიძემ.

ნიუსპრესი

## თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსად გიორგი დალაქიშვილი დაინიშნა

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე ალექსანდრე ჭიკაიძე გიორგი დალაქიშვილმა ჩაანაცვლა. როგორც „ნიუსპრესს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, აქამდე დალაქიშვილი ამავე სამმართველოს უფროსის მოადგილე იყო.

სამმართველოს ყოფილი უფროსი ალექსანდრე ჭიკაიძე კი, შინაგან საქმეთა მინისტრია, რომელმაც თავის მხრივ, ამ პოსტზე ირაკლი ღარიბაშვილი შეცვალა. ღარიბაშვილს ამჟამად ქვეყნის პრემიერ-მინისტრის თანამდებობა უკავია.

ნიუსპრესი

## ოთარ ფარცხალაძე: „დასახული მიზნების მისაღწევად პროკურატურის გუნდს მუხლჩაუხრელი შრომა მოუწევს“

საქართველოს მთავარმა პროკურორმა ოთარ ფარცხალაძემ დეპარტამენტის ხელმძღვანელებსა და ოლქის პროკურორებთან პირველი გუშინ შეხვედრა გამართა. შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო. პროკურატურის ინფორმაციით, მთავარმა პროკურორმა იმ ამოცანებზე ისაუბრა, რაც საქართველოს პროკურატურის მიერ ეფექტურ გადაწყვეტას მოითხოვს.

ფარცხალაძემ აღნიშნა, რომ დასახული მიზნების განსახორციელებლად პროკურატურის გუნდს მუხლჩაუხრელი შრომა მოუწევს. მისი თქმით, დღეს პროკურატურის წინაშე რთული გამოწვევები დგას, რომელთა წარმატებით დაძლევისკენ უნდა იყოს მიმართული ერთიანი გუნდის მუშაობა და ძალისხმევა.

ნიუსპრესი

# კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონში შესატან ცვლილებებზე სპეციალური ჯგუფი იმუშავებს

ეკა ირემაშვილი

**– ჯეტუხეული მემკვიდეობის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების დასახვენად ჯეტუხის სამინისტროში სამუშაო ჯგუფი შეიქმნება, – ამის შესახებ განცხადება ჯეტუხის სამინისტროში მიგვაღი მაგიდის დასხეღების შემდეგ მინისტრმა გუხამ ოდიშარიამ გაანეთა.**

– სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა შესაძლოა სამშაბათს გაიმართოს. არ გამოვრიცხავ, რომ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონპროექტის პარლამენტიდან გამოთხოვაც მოხდეს. თუმცა, ეს ცნობილი გახდება 26 ნოემბერს, სამუშაო ჯგუფის შეკრების შემდეგ. არ არის გამორიცხული, მრგვალი მაგიდა უფრო ვიწრო წრეში უახლოეს მომავალშიც გაიმართოს, – აღნიშნა გურამ ოდიშარიამ.

როგორც ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ნათია მიქელაძე აცხადებს:

– ექსპერტებისა და არასამთავრობების მიერ გამოთქმულ ბევრ მოსაზრებას ვეთანხმები და ვიზიარებ, თუმცა მიმაჩნია, რომ საჭიროა შეჯერდეს პოზიციები ისე, რომ არც ერთი მხარის პოზიციები არ იყოს შელახული. კანონში შესატანი ცვლილებით, თუ მეცნიერულად დასაბუთებული კრიტერიუმი არ იქნება, ძეგლს შესაძლოა კულტურის ძეგლის სტატუსი მოეხსნას. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ 2006-2007 წლებში 4.075 ძეგლისთვის დაუსაბუთებლად სტატუსის მინიჭება. მოხდება თუ არა კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონპროექტის გამოთხოვა პარლამენტიდან, ამ კითხვაზე ასე გიპასუხებთ: ეს კანონპროექტი მთავრობის მიერ ინიცირებულია პარლამენტში და გამოთხოვის უფლებაც შესაბამისად საქართველოს მთავრობას აქვს. შესაძლებელია საუბარი იყოს ასევე არა კანონპროექტის გამოთხოვაზე, არამედ პარლამენტშივე მოხდეს მუშაობის გაგრძელება წამოჭრილ საკითხებზე, რათა ჩამოყალიბდეს საერთო აზრი და კანონპროექტში განხორციელებული ცვლილება ყველასთვის მისაღები იყოს. ვფიქრობთ, საინტერესო შეხვედრა იყო. ადამიანებმა დაინახეს, რომ ეს არ იყო ბოროტი განზრახვის მატარებელი კანონპროექტი. ამ ცვლილების უკან ბევრი პრობლემის გადაჭრის გზა მოიაზრება. დარგის სპეციალისტების მხრიდან წარმოდგენილი წინადადებები ჩვენ დაგვეხმარება ეს კანონპროექტი მივიღოთ ისეთი, რომ ჩვენთვისაც და მათთვისაც მისაღები იყოს.

კულტურის სამინისტროში არასამთავრობო ორგანიზაციების, დარგის სპეციალისტებისა და ექსპერტების მონაწილეობით მრგვალი მაგიდა გაიმართა, რომელზეც კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონპროექტში განსახორციელებელი ცვლილებები განიხილეს, კერძოდ, გარკვეულ შემთხვევებში ძეგლისთვის კულტურის ძეგლის სტატუსის მოხსნის საკითხი. სპეციალისტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები კანონში ამ ცვლილების განხორციელებას ეწინააღმდეგებიან და აცხადებენ, რომ ეს ძეგლებს დიდ ზიანს მოუტანს. ისინი მოითხოვენ, გამოთხოვილი იყოს პარლამენტიდან აღნიშნული კანონპროექტი. მრგვალ მაგიდაზე ასევე ითქვა, რომ ამ მიზნით, ინტერნეტში განთავსდა პეტიცია, რომელსაც ხელს 35 ორგანიზაცია და 1.065 პირი აწერს.

როგორც შეხვედრაზე მყოფმა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, ისინი არ ეთანხმებიან ეკონომიკის მინისტრის მოადგილეს, რომ აღნიშნულ ძეგლებს არ გააჩნიათ სააღრიცხვო ბარათი. მათი თქმით, არსებობს მეცნიერული დასაბუთებები, რატომ მიენიჭათ მათ ეს სტატუსი. მრგვალი მაგიდის დროს ისიც ითქვა, რომ ეს არის შუა საუკუნეების ძეგლები, ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ნათია მიქელაძე კი პიარსაკითხის საქმეში საკმაოდ ჩახედული არ არის. დარგის სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ძეგლისთვის სტატუსის მოხსნაზე კი არ უნდა იყოს საუბარი, არამედ საქართველოს მსგავსი კულტურის ქვეყანაში უფრო მეტ შენობას უნდა ენიჭებოდეს ძეგლის სტატუსი. მათი აზრით, ამით ქვეყანაში კულტურული ტურიზმი განვითარდება და ეს სახელმწიფოს ეკონომიკურად წაადგება.

კულტურის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე მარგიშვილის განცხადებით:

– კანონპროექტში პირველი მოსმენით ცვლილების განხორციელებამდე მხოლოდ კულტურის სამინისტროს ჰქონდა ძეგლისთვის კულტურის ძეგლის სტატუსის მოხსნის უფლება. ცვლილებით კი სხვა უწყებებსაც ექნებათ უფლება, დააყენონ სტატუსის მოხსნის საკითხი და ამის განხილვა მთავრობის სხდომაზე. კულტურის სამინისტროს თანხმობის შემთხვევაში კი ძეგლს ეს სტატუსი მოეხსნება. მიმაჩნია, რომ ეს უფრო დემოკრატიული პროცესია, რასაც არასამთავრობოები არ ეთანხმებიან და მიიჩნევენ რომ ძეგლის სტატუსს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს პროფესიონალები უნდა განსაზღვრავდნენ.

მრგვალ მაგიდაზე „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ მიერ ინტერნეტში განთავსებულ პეტიციას ხელს 35 არასამთავრობო ორგანიზაცია და 1.065 პირი აწერს. ისინი პარლამენტს კანონპროექტის გამოწვევას და მის გადამუშავებას სთხოვენ.

თავის მხრივ, ეკონომიკის სამინისტრომ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა, რომელსაც „ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ:

– საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სურს, გამოეხმაუროს საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტთან დაკავშირებით ბოლო დღეების განმავლობაში შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს და საზოგადოებას მიაწოდოს დამატებითი განმარტებები აღნიშნული კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილების თაობაზე.

პირველ რიგში, აღვნიშნავთ, რომ კანონპროექტი არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ისეთი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას, რომელიც საფრთხეს შეუქმნის ან დააკნინებს ქვეყანაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მნიშვნელობას, რაც თავის მხრივ, გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კანონის დღეს მოქმედი რედაქცია, რომლის თანახმადაც, ძეგლისთვის ძეგლის სტატუსის მოხსნა შესაძლებელია მხოლოდ საბჭოს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, არ იძლევა იმის საშუალებას, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ სათანადოდ შეისწავლოს ის წინაპირობები და კრიტერიუმები, რომლებიც დადგენილია ძეგლის სტატუსის მოსახსნელად.

კერძოდ, გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ კანონის მე-17 მუხლის იმ ნაწილზე, რომელიც სტატუსის მოხსნის საფუძვლად უთითებს მეცნიერული (მეთოდოლოგიური) კრიტერიუმებით იმ ძირითადი მახასიათებლების დაკარგვას, რომლის გამოც ობიექტს თავის დროზე მიენიჭა ძეგლის სტატუსი.

აღნიშნულთან მიმართებაში საინტერესოა, რომ წინა წლებში რიგ ობიექტებზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭება ხდებოდა კანონმდებლობით განსაზღვრული სამეცნიერო კრიტერიუმების უგულებელყოფით, მის სიძველესთან, უნიკალურობასთან ან ავთენტიკურობასთან დაკავშირებული ისტორიული ან კულტურული ღირებულების შეფასების გვერდის ავლით. აღნიშნული გარემოების ამსახველი ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის ბრძანება, რომლითაც 4075 ობიექტს ერთდროულად მიენიჭა ძეგლის სტატუსი ყოველგვარი მეცნიერული დასაბუთების გარეშე, რაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. ბუნებრივია, მსგავსი სახის ფაქტები ბადებს კითხვებს აღნიშნული გადაწყვეტილებების ადეკვატურობასა და ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით. ცალსახაა, რომ მითითებულ პერიოდში ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები გარკვეული კითხვის ნიშნების მატარებელია და აბსოლუტურად ბუნდოვანია მათი მიღების დასაბუთებულობა კანონით დადგენილი მეცნიერული კრიტერიუმების შეფასების კუთხით. ხოლო ამ ტიპის ობიექტებისთვის, რომლებსაც მათთვის ძეგლის სტატუსის მინიჭების დროს არ გააჩნდათ შესაბამისი დასაბუთებები და მახასიათებლები, სტატუსის მოხსნის საკითხი ბუნებრივად ხდება პრობლემური, რადგან კანონით გათვალისწინებული საბჭო, რომლის დასკვნაც არის სავალდებულო ძეგლის სტატუსის მოხსნაზე გადაწყვეტილების მისაღებად, რეალურად ვერ ახდენს იმ გარემოებებისა და საფუძვლების გადამოწმება/შედარებას, რომლის გამოც ძეგლს თავის დროზე მიენიჭა ძეგლის სტატუსი. კანონის მე-17 მუხლის თანახმად კი, ძეგლს შესაძლებელია ასევე მოეხსნას ძეგლის სტატუსი თუ მეცნიერული (მეთოდოლოგიური) კრიტერიუმებით, ძეგლმა დაკარგა ის ძირითადი მახასიათებელი, რომლის გამოც მას მიენიჭა ძეგლის სტატუსი.

რაც შეეხება კანონპროექტით გათვალისწინებულ რედაქციას, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში, კერძოდ, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის აუცილებლობის დროს, საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით, სტატუსის მოხსნა შესაძლებელი იქნება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე – ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია, რომ საკითხი, გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება საქართველოს მთავრობას, რაც, რა თქმა უნდა, განხორციელდება შესაბამისი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების დასაბუთების, ეკონომიკური ეფექტების ანალიზისა და კულტურის სამინისტროს მიერ განხორციელებული შეფასებების საფუძველზე.

ამდენად, საქართველოს მთავრობა, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განმახორციელებელი აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს კოლეგიურ ორგანოს, კომპლექსურად შეაფასებს საკითხს, მის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მნიშვნელობას, იმსჯელებს მოსალოდნელ ეკონომიკურ ეფექტებზე, ძეგლის მნიშვნელობასა და მისთვის სტატუსის მოხსნის შესაძლებლობაზე, მოსალოდნელ შედეგებზე და მხოლოდ აღნიშნული მსჯელობისა და განხილვის შემდეგ მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

მიგვაჩნია, რომ კულტურის სამინისტროს ჩართულობის ფაქტორი თავისთავად გამორიცხავს ამ პროცესში ობიექტის კულტურული და სამეცნიერო ღირებულების უგულებელყოფის შესაძლებლობას. უფრო მეტიც, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილებას მიიღებს საქართველოს მთავრობა, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი იქნება უფრო მაღალი ლეგიტიმაციის მქონე, ვიდრე ეს არის მოქმედი კანონმდებლობით ძეგლის სტატუსის მოხსნისთვის დადგენილი წესი, რომელიც ხორციელდება ინდივიდუალურად საქართველოს კულტურის მინისტრის სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

აქვე გვსურს, კიდევ ერთხელ მკაფიოდ აღინიშნოს – ის ფაქტი, რომ წინა წლებში მთელ რიგ ობიექტებზე ძეგლის სტატუსი მინიჭებულია სათანადო დასაბუთებისა და დასკვნების გარეშე, დღესდღეობით წარმოადგენს შემაფერხებელ ფაქტორს, რომ აუცილებლობის შემთხვევაში, ძეგლის მნიშვნელობის გათვალისწინებით, შესაბამისი ძეგლისთვის მოხდეს სტატუსის მოხსნა. ეს ბუნებრივია, რიგ შემთხვევებში, შესაძლებელია უარყოფითად აისახოს ქვეყანაში საინვესტიციო აქტივობებისა და ინვესტიციების შემოდინების თვალსაზრისით და ასევე კონკრეტული მოქალაქეების ინტერესებზე, რომელთა საცხოვრებელ სახლებსაც თავის დროზე მიენიჭათ ძეგლის სტატუსი და რომლებიც დღეს რიგი პრობლემების წინაშე დგანან მხოლოდ იმის გამო, რომ ვერ ხორციელდება მათი საცხოვრებელი სახლებისთვის ძეგლის სტატუსის მოხსნა.

ინვესტიციების მოზიდვა და საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღება წარმოადგენს ქვეყნის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვალდებულებას. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული საკითხის დროული მოწესრიგება და ადეკვატური რეგულირების მექანიზმების დადგენა, ისე რომ დაცული იყოს საქართველოს კონსტიტუცია და ქვეყნის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებები, როგორც ჩვენი სამინისტროს, ასევე საქართველოს კულტურის სამინისტროს ძირითად ამოცანას უნდა წარმოადგენდეს.

ამასთან, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და ექსპერტების ჩართულობის საკითხთან დაკავშირებით გვსურს აღვნიშნოთ – მხოლოდ დადებითად შესაძლებელია შეფასდეს, რომ აღნიშნულმა კანონპროექტმა საზოგადოებაში გამოიწვია სათანადო ინტერესი და წარმოშვა შესაბამისი დისკუსია, – აღნიშნულია ეკონომიკის სამინისტროს საგანგებო განცხადებაში.

კანონპროექტთან დაკავშირებულ ვნებათაღელვას ეხმაურება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ყოფილი ხელმძღვანელი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილი:

– კანონპროექტი, რომელიც თურმე მინისტრთა კაბინეტიდან უკვე მოწონებულია, გამოსულია და პარლამენტში რამდენიმე განხილვა უკვე გავლილი აქვს, ვფიქრობ, არის იმ რაღაცნაირი ციკლის ნაწილი, რომელიც ამ ხანებში

გაგრძელება მე-10 გვერდზე


## განცხადებები

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უმიდდობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● სმენის დაქვეითების – სასმენი ნერვის ნევრიტის, ოსტეოქონდროზის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, რადიკულიტის, სახსრების ანთების, შეუხორცებელი ჭრილობებისა და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟით. მიღება მხოლოდ წინასწარ ჩაწერით. ტელ: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● სასწრაფოდ იყიდება ბინა მდებარე მოსკოვის გამზირზე ახლადაშენებულ 11-სართულიან კორპუსში, მე-9 სართულზე, 55 მკვ აივნით და კარგი ხედით, ფასი შეთანხმებით. ტელ: 599191967 გელა.

● მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო განმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრეებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# ქულებდაკარგულმა დინამომ ჰანდიკაპი შეინარჩუნა

**დინამო (თბ) – დილა 1:1**

**თბილისი.** დინამო არენა.

1:0 გველესიანი (16), 1:1 ხიზანეიშვილი (43)

**დინამო:** ლორია, კვარაცხელია, სეთურიძე, ხმალაძე, დვალი (ვუო 73), მერებაშვილი (ჩისკო 67), კვირკველია, გრიგალაშვილი, გოგა, გველესიანი, ძარია

**დილა:** რევიშვილი, კვახაძე (აბურჯანია 79), გურული, დოლიძე, ბოლქვაძე, თომაშვილი, მაისურაძე, ხიზანეიშვილი, გორელიშვილი (ფილიევი 70), ალადაშვილი (კობახიძე 21), მოდებაძე

მატჩი გორელთა აქტიურობით დაიწყო და მოდებაძეს მალევე მიეცა შანსი ანგარიში გაეხსნა, მაგრამ ვერ მოახერხა. საპასუხო შეტევა „დინამოს“ ფეხბურთელებმაც განახორციელეს – მერებაშვილმა სახიფათოდ დაარტყა რევიშვილის კარისკენ, მაგრამ მცველებმა მოიგერიეს, თუმცა უხეიროდ, ბურთი საჯარიმოს ხაზზე მდგომ გოგას მიუვიდა, რომელსაც მიზანმა უმტყუნა

ანგარიში შეხვედრის მე-17 წუთზე გაიხსნა. მერებაშვილი-ხმალაძის აქტიურობას კუთხური მოჰყვა, რომელიც მერებაშვილმა ჩააწოდა და გველესიანმა თავი კარგად დაუხვედრა – 1:0.

ამის შემდეგ მცირე ხნით საინტერესო ბევრი არაფერი მომხდარა. ხოლო 32-ე წუთზე დინამოელებს ანგარიში სხვაობის გაზრდა შეეძლოთ, მაგრამ დორინ გოგას მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმა ნუკრი რევიშვილმა უკუაგდო.

სამაგიეროდ, გორელებმა გაიტანეს. 43-ე წუთზე თბილისელები დაჯარიმდნენ და ოთარ ხიზანეიშვილმა ლამაზი, მოჭრილი ბურთით შეძლო ლორიას კარის ბადის შერხევა – 1:1.

მეორე ნახევარში გოლი არ გასულა, მაგრამ საკმაოდ დაძაბულად წარიმართა. „დინამოს“ უფრო მეტი სახიფათო მომენტი ჰქონდა, მაგრამ ვერც ერთის გამოყენება მოახერხა. განსაკუთრებით კი ერთი ეპიზოდი გამოირჩა, როდესაც მოედანზე ახლად შემოსულმა ჩისკომ, ასევე მეორე ტაიმში შემოსული ვუო რევიშვილთან ერთი-ერთზე გაიყვანა. თითქოს გოლი გარდაუვალი იყო, მაგრამ ვუო სიტუაციაში ვერ გაერკვა და საგოლე მომენტი გაანიავა. მანამდე ჯაბა დვალმა საჯარიმოს გარედან ძელს გაარტყა ბურთი.

დინამოელები საკუთარ მოედანზე ქულების დაკარგვას ვერ ეგუებოდნენ და ბოლო წუთებზე აქტიურად შეუტიეს. გორელთა მხრიდან კი, ხან რევიშვილი ირჯებოდა კარგად, ხანაც მცველები სჯაბნიდნენ მასპინძელ ფეხბურთელებს.

საბოლოო ჯამში, შეხვედრა დაძაბული და საკმაოდ სანახაობრივიც გამოდგა, ანგარიში კი, ლოგიკური – 1:1.

**მატჩის შემდეგ**

დუშან უჭრინი, დინამოს მთავარი მწვრთნელი:

– მატჩი ჩვენთვის კარგად დაიწყო, ვიგებდით, თუმცა მეტოქემ მოახერხა ანგარიშის გათანაბრება. ჩვენ დავკარგეთ ორი ქულა. ბევრი მომენტი გვქონდა მეორე ტაიმში, თუმცა გოლის გატანა ვეღარ მოვახერხეთ. სატურნირო ცხრილიდან გამომდინარე, საბოლოო ჯამში, მაინც კმაყოფილი ვარ, ვინაიდან უახლოეს მდევართან ოთხქულიანი უპირატესობა გვაქვს. მომდევნო შეხვედრა ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია და აუცილებლად უნდა მოვიგოთ.

**რამაზ სოღოლაშვილი, დილას მთავარი მწვრთნელი:**

– თამაში მართლაც დაძაბული გამოდგა. ბოლო წლებია, „დილას“ და „დინამოს“ დაპირისპირება ერთობ საინტერესოა. ვფიქრობ, დღევანდელი მატჩის ანგარიში ლოგიკურია. ჩემმა ფეხბურთელებმა ბოლომდე იბრძოლეს და ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რათა ქულა მოგვეპოვებინა. სატურნირო ცხრილიდან გამომდინარე, თოთეულ ქულას დიდი მნიშვნელობა აქვს. დღეს მოპოვებულმა ქულამ ერთი ნაბიჯით წინ წაგვწია. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, გეტვით, რომ „დილა“ არა მხოლოდ ექვსეულისთვის, არამედ მედლების მოსაპოვებლადაც იბრძოლებს. რაც შეეხება „დინამოს“, ფაქტია, რომ დღეს საუკეთესო გუნდია ჩვენ ჩემპიონატში და ამას სატურნირო ცხრილიც მოწმობს. „დინამოს“ წარმატება მინდა ვუსურვო საშინაო და საერთაშორისო ასპარეზზე.

**ტორპედო – ზესტაფონი 0:1**

**ქუთაისი.** ცენტრალური

0:1 ენდელაძე (56)

ტორპედო: ქვილითაია, სანდოხაძე, ფირცხალავა (მზევაშვილი 69), ცინცაძე, გიგაური, საბანაძე, ჯიქია (ფანცულაია 77), ხიდეშელი, ზ.ჭელიძე, უბილავა, გაბაძე (კაპანაძე 62)

**ზესტაფონი:** რ.კვასხვაძე, თორ.გრიგალაშვილი, თედ.გრიგალაშვილი, კანდელაკი (გაგოშიძე 9), რენე ფერეირა, აჯურუ, შარიქაძე, ჭანტურიშვილი, ჭანკოტაძე (სარდალიშვილი 75), ენდელაძე (ს.გურული 66), ს.ლომია

მატჩის პირველ ტაიმში ტერიტორიულ უპირატესობას ხან ერთი, ხანაც მეორე მხარეეუფლებოდა, სახიფათო მომენტები კი ნაკლებად იქმნებოდა. პირველი ხიფათი სტუმართა კართან შეიქმნა – ნიკა საბანაძის ახლოდან დარტყმული მარგველთა კაპიტანმა როინ კვასხვაძემ მოიგერია. მანამდე ჯიქია ვერ გაერკვა პოზიციურად და ხელსაყრელი მომენტი გაანიავა

ტაიმის ბოლოს კი ზედიზედ ორ ეპიზოდში გოლის გატანასთან ახლოს უკვე ზესტაფონელებმა იყვნენ. უნდა აღინიშნოს ის, რომ ქუთათურები დიდ უსიამოვნებებს ორივეჯერ მათი კარის დარაჯმა მაქსიმე ქვილითაიამ გადაარჩინა – მან ჯერ გიორგი ჭანკოტაძის ურთულესი დარტყმა მოიგერია, ხოლო შემდეგ მასთან პირისპირ გასულ საბა ლომიას არ გაატანინა. პირველი ტაიმი გატანილი გოლების გარეშე დასრულდა.

მეორე ტაიმის დაწყებისთანავე მასპინძლებმა სტუმართა კართან კიდევ ერთი მომენტი შექმნეს – გიორგი ხიდეშელის ჩაწოდების შემდეგ, ზაზა ჭელიძე დაარტყა თავით, თუმცა როინ კვასხვაძე ჩინებულად გაისარჯა.

56-ე წუთზე კი მარგველებმა ანგარიშის გახსნა მოახერხეს – მოედნის ცენტრიდან დაწყებული საჯარიმოს მოედნის ჩათვლით ტორპედოელებმა კომპლექსური შეცდომების კასკადი დაუშვეს და „ზესტაფონის“ მორიგი შეტევის შემდეგ, მასპინძელთა მეკარესთან პირისპირ საბა ლომია გადიოდა, მისი დარტყმულ მცველებმა მოიგერიეს, თუმცა ბურთთან ყველაზე ადრე ავთო ენდელაძემ გაჩნდა და კარის ბადეში მშვიდად გადაგზავნა.

ანგარიშში დაწინაურების შემდეგ, ზემოიმერლები აშკარა უპირატესობას დაეუფლნენ და მათ გატანის კიდევ რამდენიმე კარგი შესაძლებლობა მიეცათ – ჯერ მასპინძელთა მეკარესთან პირისპირ გასულ საბა ლომიას შეეძლო გატანა, თუმცა ახლო მანძილიდან მისი თავით დარტყმული ქვილითაიამ მოიგერია, მერე კი მეტოქის საჯარიმო მოედნის სიახლოვიდან თორნიკე გრიგალაშვილის უძლიერესი „გასროლილი“ სულ მცირედით ასცდა მასპინძელთა კარს...

ამის შემდეგ თამაში დამშვიდდა, რასაც დიდწილად ხელი გია გეგუჩაძის მიერ განხორციელებულმა ცვლილებებმა შეუწყო. სტუმრები ბურთს და ზოგადად თამაშის მიმდინარეობას მშვიდად აკონტროლებდნენ და თამაშისათვის განკუთვნილი დრო ისე გაილია, რომ „ტორპედოს“ ანგარიშის სათავისოდ შეცვლის რეალური შესაძლებლობა არც მისცემია.

**მატჩის შემდეგ**

**გია გეგუჩაძე, ზესტაფონის მთავარი მწვრთნელი:**

– ვიცოდით, რომ ძნელი მატჩი გველოდა. ახლა იმ სტადიაზე ვართ, რომ დასაკარგი არაფერია. ქულები გვჭირდება და კარგია, რომ დღეს გამარჯვება შევძელით. თამაშის ხარისხიც აქედან გამომდინარე გვაკმაყოფილებს.

**ჟერარდ სარაგოსა, ტორპედოს მთავარი მწვრთნელი:**

– პირველ ტაიმში გვქონდა საგოლე მომენტები, რომლებიც ვერ გამოვიყენეთ. მეორე ტაიმშიც შეგვეძლო გატანა, სამწუხაროდ გოლის გაშვებამდე იყო ჯარიმა და არბიტრმა შეხვედრა არ გააჩერა. ბიჭების თამაშით კმაყოფილი ვარ, მათ ბოლომდე იბრძოლეს.

**მეტალურგი – ჩიხურა 1:1**

**რუსთავი.** ფოლადი

0:1 დეკანოიძე (5), 1:1 დობროვოლსკი (57)

**მეტალურგი:** ბედიაშვილი, ჯაფარიძე, მახვილაძე, კაკუბავა, ორბელაძე, გურეშიძე, გეწაძე, დობროვოლსკი (ვასაძე 82), კირკიტაძე, ტულუში (კორღალიძე 54), სიხარულიძე (ჩირგაძე 68)

**ჩიხურა:** თევდორაძე, ლ.ჭელიძე, ოდიკაძე, რეხვიაშვილი, კაშია, ბეჭვაია, დათუნაიშვილი, ჯიღაური (ქიმაძე 46), დეკანოიძე, გაბედავა, ტატანაშვილი

(ნ.კვასხვაძე 80)

როგორც მოსალოდნელი იყო მატჩი საკმაოდ დაძაბული და საინტერესო გამოვიდა. შეხვედრაში ანგარიში მალევე, მეხუთე წუთზე, გაიხსნა. გოლის ავტორად კი, ბესიკ დეკანოიძე მოგვევლინა. მიუხედავად ადრეული გოლისა, რუსთაველმა ფეხბურთელებმა შეძლეს მობილიზება და 57 წუთზე დენის დობროვოლსკის ზუსტი დარტყმით ანგარიში გაათანაბრეს. დობროვოლსკის გოლი კი შესაშური სილამაზის გამოდგა – რუსთაველმა ფეხბურთელმა მეკარეს შეცდომა არ აპატია და თითქმის მოედნის ცენტრიდან გაიტანა.

ამ ფრის შედეგად „ჩიხურამ“ ლიდერთან სხვაობის შემცირება ვერ შეძლო, „მეტალურგი“ კი, ერთი საფეხურით ჩამოქვეითდა.

**მერანი – გურია 1:2**

**სამტრედია.** ეროსი მანჯგალაძე

0:1, 0:2 კოშკაძე (37, 50), 1:2 კუჭუხიძე (65)

**მერანი:** შეროზია, გეგეჭკორი, ქარქუზაშვილი, გაბუნია, მელიავა, ფონიავი, ბაბუნაშვილი (კვანტალიანი 52, გეგია 63), ციკოლია, ქათამაძე, კუჭუხიძე, ბანება (შულაია 46)

**გურია:** ბობღლიაშვილი, ჩუენსუ, იობაშვილი, ჩიკვილაძე, ჯიშკარიანი, ჯოჯუა, გაჩეჩილაძე (კილაძე 46), შენგელია (ჯოხაძე 67), კოშკაძე, შალამბერიძე, ისიანი (ტორონჯაძე 80)

სამტრედიაში შეკრებილმა გულშემატკივარმა უშეღავათო ბრძოლა და საკმაოდ საინტერესო მატჩი იხილა. შეხვედრის არბიტრმა მატჩის მონაწილე ფეხბურთელებს 6 ყვითელი ბარათი უჩვენა. დაძაბულ შეხვედრაში გამარჯვება გურულმა ფეხბურთელებმა მოიპოვეს. ანგარიში მათმა გამოცდილმა ნახევარმცველმა, ალექსანდრე კოშკაძემ, 37-ე წუთზე გახსნა. იმავე კოშკაძემ 50-ე წუთზე ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა. მარტვილელებმა ერთი გოლის გაქვითვა 65-ე წუთზე შეძლეს, გოლის ავტორი ლაშა კუჭუხიძე გახდა.

**ვიტ ჯორჯია – ზუგდიდი 1:0**

**მცხეთა.** მცხეთა პარკი

1:0 კუხალეიშვილი (90)

**ვიტ ჯორჯია:** დაუშვილი, გეთიაშვილი, ადამაძე, კასრაძე, იაშვილი, დავლაშელიძე, ნ.მაისურაძე, კორიფაძე (ღიბრაძე 90), ჯანელიძე, სიჭინავა (პავლიაშვილი 73), ლობჯანიძე (კუხალეიშვილი 64)

**ზუგდიდი:** მამალაძე, კანკია, აფაქიძე, მირცხულავა, რ.ონიანი, პაჭკორია, ტყემელაძე (ეხვაია 46), ხუბუა, ფარჯიკია. შ.ლომია, ბულია (კობერიძე 82)

ყველაფერი იმისკენ მიდიოდა, რომ შეხვედრა ფრედ უნდა დასრულებულიყო. ვერც იმას ვიტყვით, რომ რომელიმე გუნდს გამოკვეთილი უპირატესობა ჰქონდა. უკვე სრულდებოდა, როდესაც 90-ე წუთზე ლევან კუხალეიშვილმა ზუსტად დაარტყა და თავის გუნდს სამი ქულა მოუტანა. ეს გამარჯვება ვეტერინარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც ისინი ზედიზედ სამი ტური ვერ ახერხებდნენ გამარჯვებას. მატჩში დაფიქსირებულ შედეგს ცხრილში მნიშვნელვანი ცვლილებები არ გამოუწვევია, ორივე გუნდი იმავე პოზიციაზე დარჩა.

**სიონი – სპარტაკი 3:2**

**გორი.** თენგიზ ბურჯანაძე

1:0 გოგობერიშვილი (18), 1:1 თექთურმანიძე (28), 1:2 ჩაფიძე (68), 2:2 კახელიშვილი (83), 3:2 სამხარაძე (85)

**სიონი:** მერლანი, დ.სვანიძე, ქემოკლიძე, ფოფხაძე (ცხადაია 29), უგრეხელიძე, განუგრავა (სამხარაძე 76), ჩივაძე (მიკუჩაძე 46), ლობჟანიძე, გოგობე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ჰიემიეხიგა**

სიტი-ტოტენჰემი ..... 6:0
კარდიფი-მანჩესტერი ..... 2:2

**სატუნინიო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 12 | 9 | 1 | 2 | 24-10 | 28 |
| 2.ლივერპული | 12 | 7 | 3 | 2 | 24-13 | 24 |
| 3.ჩელსი | 12 | 7 | 3 | 2 | 21-10 | 24 |
| 4.სიტი | 12 | 7 | 1 | 4 | 34-12 | 22 |
| 5.საუთჰემპტონი | 12 | 6 | 4 | 2 | 15-7 | 22 |
| 6.მანჩესტერი | 12 | 6 | 3 | 3 | 20-15 | 21 |
| 7.ევერტონი | 12 | 5 | 6 | 1 | 17-13 | 21 |
| 8.ნიუკასლი | 12 | 6 | 2 | 4 | 17-17 | 20 |
| 9.ტოტენჰემი | 12 | 6 | 2 | 4 | 9-12 | 20 |
| 10.სუონსი | 12 | 4 | 3 | 5 | 17-16 | 15 |
| 11.ვესტ ბრომვიჩი | 11 | 3 | 5 | 3 | 12-12 | 14 |
| 12.ასტონ ვილა | 11 | 4 | 2 | 5 | 11-12 | 14 |
| 13.ჰალი | 12 | 4 | 2 | 6 | 9-15 | 14 |
| 14.სტოკი | 12 | 3 | 4 | 5 | 12-14 | 13 |
| 15.კარდიფი | 12 | 3 | 4 | 5 | 11-17 | 13 |
| 16.ნორვიჩი | 12 | 3 | 2 | 7 | 10-23 | 11 |
| 17.ვესტ ჰემი | 12 | 2 | 4 | 6 | 9-14 | 10 |
| 18.ფულემი | 12 | 3 | 1 | 8 | 11-21 | 10 |
| 19.კრ. პალასი | 12 | 2 | 1 | 9 | 7-21 | 7 |
| 20.სანდერლენდი | 12 | 2 | 1 | 9 | 8-24 | 7 |

**ესპანეთი. ჰიმეხა დივიზიონი**

ლევანტე-ვილიარეალი ..... 0:3
რაიო-ესპანიოლი ..... 1:4
ელჩე-ვალენსია ..... 2:1
სევილია-ბეტისი ..... 4:0

**სატუნინიო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 14 | 13 | 1 | 0 | 42-8 | 40 |
| 2.ატლეტიკო | 14 | 12 | 1 | 1 | 38-9 | 37 |
| 3.რეალი | 14 | 11 | 1 | 2 | 40-17 | 34 |
| 4.ვილიარეალი | 14 | 8 | 3 | 3 | 24-13 | 27 |
| 5.ბილბაო | 13 | 7 | 2 | 4 | 20-18 | 23 |
| 6.სოსიედადი | 14 | 5 | 5 | 4 | 23-20 | 20 |
| 7.ხეტაფე | 14 | 6 | 2 | 6 | 17-21 | 20 |
| 8.სევილია | 14 | 5 | 4 | 5 | 27-26 | 19 |
| 9.ესპანიოლი | 14 | 5 | 3 | 6 | 17-19 | 18 |
| 10.ელჩე | 14 | 4 | 5 | 5 | 15-18 | 17 |
| 11.ვალენსია | 14 | 5 | 2 | 7 | 18-23 | 17 |
| 12.გრანადა | 14 | 5 | 2 | 7 | 11-17 | 17 |
| 13.ლევანტე | 14 | 4 | 5 | 5 | 13-20 | 17 |
| 14.მალაგა | 13 | 3 | 4 | 6 | 15-19 | 13 |
| 15.ოსასუნა | 14 | 4 | 1 | 9 | 11-22 | 13 |
| 16.სელტა | 14 | 3 | 3 | 8 | 17-22 | 12 |
| 17.ვალიადოლიდი | 14 | 2 | 6 | 6 | 16-21 | 12 |
| 18.ალმერია | 14 | 3 | 3 | 8 | 15-29 | 12 |
| 19.რაიო | 14 | 4 | 0 | 10 | 13-34 | 12 |
| 20.ბეტისი | 14 | 2 | 3 | 9 | 12-28 | 9 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ლუგო-ხიხონი ..... 1:3
მირანდესი-კორდობა ..... 3:1
უელვა-ეიბარი ..... 1:2
სარაგოსა-ხირონა ..... 1:0
ერკულესი-საბადელი ..... 3:0
ტენერიფე-ხაენი ..... 2:1
პონფერადინა-დეპორტივო ..... 0:1
ალკორკონი-მურსია ..... 0:0

**იტალია. სერია ა**

ლივორნო-იუვენტუსი ..... 0:2
სასუოლო-ატალანტა ..... 2:0
უდინეზე-ფიორენტინა ..... 1:0
ტორინო-კატანია ..... 4:1
სამპდორია-ლაციო ..... 1:1
ბოლონია-ინტერი ..... 1:1

**სატუნინიო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 13 | 11 | 1 | 1 | 28-10 | 34 |
| 2.რომა | 12 | 10 | 2 | 0 | 26-3 | 32 |
| 3.ნაპოლი | 13 | 9 | 1 | 3 | 24-12 | 28 |
| 4.ინტერი | 13 | 7 | 5 | 1 | 30-13 | 26 |
| 5.ფიორენტინა | 13 | 7 | 3 | 3 | 24-15 | 24 |
| 6.ვერონა | 13 | 7 | 1 | 5 | 22-20 | 22 |
| 7.ჯენოა | 13 | 5 | 3 | 5 | 14-15 | 18 |
| 8.ლაციო | 13 | 4 | 5 | 4 | 17-17 | 17 |
| 9.პარმა | 13 | 4 | 4 | 5 | 18-20 | 16 |
| 10.ატალანტა | 13 | 5 | 1 | 7 | 14-17 | 16 |
| 11.უდინეზე | 13 | 5 | 1 | 7 | 12-15 | 16 |
| 12.ტორინო | 13 | 3 | 6 | 4 | 22-22 | 15 |
| 13.მილანი | 13 | 3 | 5 | 5 | 18-20 | 14 |
| 14.კალიარი | 12 | 3 | 4 | 5 | 13-20 | 13 |
| 15.სასუოლო | 13 | 3 | 4 | 6 | 15-28 | 13 |
| 16.ლივორნო | 13 | 3 | 3 | 7 | 13-20 | 12 |
| 17.ბოლონია | 13 | 2 | 5 | 6 | 15-25 | 11 |
| 18.სამპდორია | 13 | 2 | 4 | 7 | 14-23 | 10 |
| 19.კიევო | 13 | 2 | 3 | 8 | 8-18 | 9 |
| 20.კატანია | 13 | 2 | 3 | 8 | 9-23 | 9 |

**იტალია. სერია ბ**

პალერმო-ლატინა ..... 1:2
კარპი-სიენა ..... 0:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ჰამბურგი-ჰანოვერი ..... 3:1
ვერდერი-მაინცი ..... 2:3

**სატუნინიო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 13 | 11 | 2 | 0 | 30-7 | 35 |
| 2.ლევერკუზენი | 13 | 10 | 1 | 2 | 28-14 | 31 |
| 3.დორტმუნდი | 13 | 9 | 1 | 3 | 32-14 | 28 |
| 4.გლადბახი | 13 | 8 | 1 | 4 | 30-16 | 25 |
| 5.ვოლფსბურგი | 13 | 7 | 1 | 5 | 19-15 | 22 |
| 6.შალკე | 13 | 6 | 3 | 4 | 26-26 | 21 |
| 7.მაინცი | 13 | 6 | 1 | 6 | 20-25 | 19 |
| 8.ჰერტა | 13 | 5 | 3 | 5 | 20-17 | 18 |
| 9.შტუტგარტი | 13 | 4 | 4 | 5 | 24-23 | 16 |
| 10.აუგსბურგი | 13 | 5 | 1 | 7 | 15-23 | 16 |
| 11.ჰამბურგი | 13 | 4 | 3 | 6 | 29-30 | 15 |
| 12.ვერდერი | 13 | 4 | 3 | 6 | 15-23 | 15 |
| 13.ჰანოვერი | 13 | 4 | 2 | 7 | 15-22 | 14 |
| 14.ჰოფენჰაიმი | 13 | 3 | 4 | 6 | 28-30 | 13 |
| 15.აინტრახტი | 13 | 2 | 5 | 6 | 17-24 | 11 |
| 16.ფრაიბურგი | 13 | 2 | 5 | 6 | 14-24 | 11 |
| 17.ნიურნბერგი | 13 | 0 | 8 | 5 | 13-26 | 8 |
| 18.ბრაუნშვაიგი | 13 | 2 | 2 | 9 | 8-24 | 8 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ალენი-ზ.პაული ..... 0:1
კარლსრუე-დინამო ..... 3:0
აუე-დიუსელდორფი ..... 3:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ლილი-ტულუზა ..... 1:0
ნიცა-სენტ ეტიენი ..... 0:1
ნანტი-მონაკო ..... 0:1

**სატუნინიო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 14 | 10 | 4 | 0 | 30-8 | 34 |
| 2.ლილი | 14 | 9 | 3 | 2 | 16-4 | 30 |
| 3.მონაკო | 14 | 8 | 5 | 1 | 22-11 | 29 |
| 4.მარსელი | 14 | 7 | 3 | 4 | 21-14 | 24 |
| 5.ნანტი | 14 | 7 | 2 | 5 | 19-11 | 23 |
| 6.სტ. ეტიენი | 14 | 6 | 3 | 5 | 19-17 | 21 |
| 7.ლიონი | 14 | 5 | 4 | 5 | 20-17 | 19 |
| 8.გენგამი | 14 | 5 | 4 | 5 | 17-15 | 19 |
| 9.რეიმსი | 14 | 4 | 7 | 3 | 15-15 | 19 |
| 10.ბასტია | 14 | 5 | 4 | 5 | 16-20 | 19 |
| 11.რენი | 14 | 4 | 6 | 4 | 17-14 | 18 |
| 12.ბორდო | 14 | 4 | 6 | 4 | 17-18 | 18 |
| 13.ნიცა | 14 | 5 | 2 | 7 | 14-17 | 17 |
| 14.ტულუზა | 14 | 4 | 4 | 6 | 11-20 | 16 |
| 15.ევიანი | 14 | 4 | 4 | 6 | 15-25 | 16 |
| 16.მონპელიე | 14 | 2 | 9 | 3 | 17-18 | 15 |
| 17.ლორიანი | 14 | 4 | 2 | 8 | 15-23 | 14 |
| 18.ვალანსიენი | 14 | 2 | 4 | 8 | 12-21 | 10 |
| 19.აიაჩო | 14 | 1 | 5 | 8 | 10-22 | 8 |
| 20.სოშო | 14 | 1 | 5 | 8 | 12-25 | 8 |

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ვალვაიკი-ფეინოორდი ..... 1:0
უტრეხტი-დენ ჰააგი ..... 3:0
იგლზი-ვიტესი ..... 0:3
ტვენტე-ბრედა ..... 5:2
გრონინგენი-ზვოლე ..... 0:0

**ჰოხტბაღია. აღიგა**

რიუ ავე-ეშტორილი ..... 0:2
სეტუბალი-არიუკა ..... 1:0
მარიტიმუ-ჟილ ვისენტე ..... 3:2
ფერეირა-ბელენენსეში ..... 1:0
გიმარაეში-სპორტინგი ..... 0:1

**ჩუსეთი. ჰიემიეხიგა**

ლოკომოტივი-დინამო ..... 1:0
ურალი-კრ.სოვეტოვი ..... 1:1
ანჟი-ვოლგა ..... 0:0

**შვეიცარია. სუპერიგა**

ლუცერნი-სტ.გალენი ..... 3:1
ციურიხი-სიონი 4:1
არაუ-გრასჰოპერსი 2:4

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

რაპიდი-ზალცბურგი ..... 2:1

**ბელგია. ჰოლიგა**

ლოკერენი-ბრიუგე ..... 0:3
სტანდარდი-მონსი ..... 1:0

**თურქეთი. სუპერიგა**

გაზიანთები-ელაზიგი ..... 3:1
ანტალია-ფენერბახჩე ..... 1:2
ტრაბზონი-ესკიშეჰირი ..... 1:0

**საბერძნეთი. სუპერიგა**

პანათინაიკოსი-იანინა ..... 3:1
კალონისი-პლატანიასი ..... 1:0
ქსანთი-პანაითოლიკოსი ..... 3:1
ერგოტელისი-ასტერასი ..... 0:1
პაოკი-არისი ..... 3:1

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

ბოჰემიანსი 1905-იაბლონეცი ..... 0:1
ზნოიმო-სიგმა ..... 2:1
სლოვაკო-სლავია ..... 3:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლეჩნა-რუხი ..... 0:0
გურნიკი-პოდბესკიჟე ..... 2:0

**უკრაინა. ჰიემიეხიგა**

ტავრია-ვოლინი ..... 2:2
დინამო-ჰოვერლა ..... 3:0

**დანია. სუპერიგა**

ორხუსი-ვესტშელანი ..... 2:2
კოპენჰაგენი-ვიბორგი ..... 4:1
მიდტიულანდი-ბრონდბიუ ..... 0:1

**ნორვეგია. თასი**

**ფინალი**

რუსენბორგი-მოლდე ..... 2:4

**აშშ. მლს**

**პლეი ოფი**

პორტლენდი-სოლტ ლეიკი ..... 0:1

**ბრაზილია. სერია ა**

ატლეტიკო(პ)-ნაუტიკუ ..... 6:1
პონტე პრეტა-გრემიო ..... 1:1
სანტოსი-ფლუმინენსე ..... 1:0
ფლამენგო-კორინთიანსი ..... 1:0
ბაია-პორტუგეზა ..... 1:0
ინტერნასიონალი-კურიტიბა ..... 0:0
სან პაულუ-ბოტაფოგო ..... 1:1

**არგენტინა. ჰიმეხა დივიზიონი**

ლანუსი-ხიმნასია ..... 0:0
ბოკა-ოლ ბოიზი ..... 0:2
ოლდ ბოიზი-არსენალი ..... 1:1
რასინგი-რივერ პლეიტი ..... 1:0

**კალათბურთი**

**ნბა. ჩეგეხიული სეზონი**

კლიპერსი-ჩიკაგო ..... 121:82
ორლანდო-ფინიქსი ..... 96:104
ოკლაჰომა-იუტა ..... 95:73
ლეიკერსი-საკრამენტო ..... 100:86

**ჭოკეი**

**ნჰლ. ჩეგეხიული სეზონი**

ბუფალო-დეტროიტი ..... 1:3
კაროლინა-ოტავა ..... 4:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ფესტივალი „ნიღაბი“ იწყება

ეკა ირემაშვილი

**26 ნოემბრის მოყვარული მსახიობთა საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი „ნიღაბი 2013" სტარტს აიღებს. წელს ფესტივალი მეოთხედ გაიმართება და მისი ორგანიზატორი მოყვარული სტუდენტური თეატრთა ასოციაციაა. 10 დღის განმავლობაში ფესტივალის ფარგლებში მაყურებლებს წარმოდგენილ ოთხ ქართული თეატრალური დასები, ასევე სტუმრები უცხოეთიდან.**

ფესტივალი „ნიღაბი“ ყოველწლიური ფესტივალია და მასში სხვადასხვა უნივერსიტეტების თეატრალური დასები არიან გაერთიანებული. საფეტიჩალო პროგრამაშიც მათ მიერ დადგმულისპექტაკლები ხვდება. წელს ფესტივალში მონაწილეობენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის მოყვარულ მსახიობთა თეატრალური დასები. წელს ფესტივალში ჩაერთვებიან საქართველოდან კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ასევე თურქეთის სტუდენტური დასი და აზერბაიჯანის სტუდენტური დასი.

– ფესტივალის მთავარი მიზანია უნივერსიტეტების სტუდენტებს შორის კომუნიკაცია, გამოცდილების გაზიარება და მომავალში პროფესიული და შემოქმედებითი ურთიერთობების ჩამოყალიბება. ასევე შემეცნებითი თვალსაწიერის გაფართოება, ხელოვნების პროპაგანდა და სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნება, – განმარტავენ ფესტივალის ორგანიზატორები.

„ნიღაბი“ პირველად შარშან ჩატარდა და მას სამედიცინო უნივერსიტეტის თეატრალური დარბაზი მასპინძლობდა. სადებიუტო ფესტივალში მონაწილეობა მხოლოდ საქართველოში მოქმედმა თეატრალურმა დასებმა მიიღეს და მათი რიცხვი ექვსს არ აჭარბებდა. ტრადიცია არც წელს დაირღვა და ფესტივალს მასპინძელი კვლავაც თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტია. მესამე კორპუსში 5 დეკემბრამდე ფესტივალი მონაწილეები თავიანთ შემოქმედებას წარმოადგენენ. ღონისძიების საზეიმო დახურვა და დაჯილდოების ცერემონიალი კი „თიბისი“ გალერეაშია დაგეგმილი.



ფესტივალში მონაწილე სხვადასხვა დასების მიერ წარმოდგენილ სპექტაკლებს ჟიური შეაფასებს, რომელსაც წელს რეჟისორი გოგი თოდადეს ხელმძღვანელობს. სწორედ მათ მიერ გამოვლინდება გამარჯვებული 10 ნომინაციაში. ჟიურის წევრები ასევე იქნებიან ჯაბა პაპუაშვილი (რეჟისორი), ნინო თარხანმოურავი (რუსთაველის თეატრის მსახიობი), ეკა მოლოდინაშვილი, (რუსთაველის თეატრის მსახიობი), თამუნა ნიკოლაძე (თავისუფალი თეატრის მსახიობი), ჯაბა კილაძე (მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი), ნიკა წულუკიძე (თეატრმცოდნე), აკაკი სტურუა (თბილისის მერიის წარმომადგენელი). ფესტივალის წამყვანები კი მარიამ ჯოლოგუა და არჩილ სოლოღაშვილი იქნებიან.

მონაწილე დასების მიერ სპექტაკლების ჩვენება ფესტივალის მეორედან მეცხრე დღის ჩათვლით მოეწყობა. მეათე დღეს ფესტივალის დახურვა, ფურშეტი და დაჯილდოვების ცერემონია გაიმართება. ფესტივალის საზეიმო გახსნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 26 ნოემბერს გაიმართება, რაც შეეხება საფესტივალო პროგრამას, გრაფიკი უკვე გაწერილია: 27 ნოემბერი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 28 ნოემბერი საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, 29 ნოემბერი გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, 30 ნოემბერი ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1 დეკემბერი თურქეთის სტუდენტური დასი, 2 დეკემბერი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 3 დეკემბერი აზერბაიჯანის სტუდენტური დასი, 4 დეკემბერი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 5 დეკემბერი ფესტივალის საზეიმო დახურვა.

ფესტივალი 26 ნოემბერს სამედიცინო უნივერსიტეტის საქტო დარბაზში ამავე სასწავლებლის დასის „ჰიგია“ წარმოდგენით გაიხსნება. მომავალი ექიმები მაყურებელსა და ჟიურის ედუარდო დე ფილიპოს პიესას „ტყუილი გრძელ ფეხებზე“ შესთავაზებენ. სპექტაკლის რეჟისორი ნათია გუჯაბიძეა. იგი ამავე დროს ფესტივალის ერთ-ერთი დამაარსებელიცაა და დასსაც თავად ხელმძღვანელობს. „ჰიგია“ საერთაშორისო ფესტივალების აქტიური მონაწილეა, თურქეთის ქალაქ დენიზლის საერთაშორისო ფესტივალის ერთ-ერთ საუკეთესო დასად დასახელდა. შარშან მათ სპექტაკლი „ომობანა“ წარმოადგინეს.

ამ ფესტივალში მონაწილეობა მხოლოდ მოქმედი სტუდენტებისგან დაკომპლექტებულ დასებს შეუძლიათ, ჟიური კი მხოლოდ და მხოლოდ მოყვარული მსახიობების თამაშს აფასებს და არანაირ უპირატესობას არ ანიჭებს რეჟისორულ ნამუშევარს.

– ამგვარი ღონისძიებები სტუდენტებს სწავლის პროცესის გამარტივებაში ეხმარება, თანაც მათ ცხოვრებაში სიახლე ჩნდება და ახალ მეგობრებსაც იძენენ. სტუდენტები ხელოვნების გზით თვალსაწიერსაც იფართოებენ და საკუთარ თავში ახალ ინტერესებს პოულობენ, – აცხადებს ფესტივალის ორგანიზატორი ნათია გუჯაბიძე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თეატრალური დასი „ჰიგია“ ფესტივალის გახსნაზე წარმოადგენს სპექტაკლს „ტყუილი გრძელ ფეხებზე“, რომლის რეჟისორიც ნათია გუჯაბიძეა. სპექტაკლში კი მონაწილეობენ მარიამ ქუტიძე, ოთარ ბუხრაშვილი, ლუკა ქიქავა, ელენე ჩხიკვაძე, ნინო აბშილავა, სალომე ასათიანი, ნათია ინალიშვილი, იზა ბენაშვილი, ლიკა ბუზარიაშვილი, გიორგი მარსაგიშვილი, ნინი გუბიანური, თეო გვასალია, რუსკა ყურუა, ალექსანდრე შენგელია, ნინო შანშიაშვილი, თამარ ჟღენტი, თამაზ თამაზაშვილი, ანა ხიდეშელი, ზურა ყიფშიძე, ბექა ხურციძე, გიორგი ხარჩილავა და გიორგი კოლხიდაშვილი. სპექტაკლის ტექნიკურ მხარეზე სერგი სავანელი იზრუნებს.

ვინ გახდება წლევანდელი ფესტივალის გამარჯვებული დასახელებულ ნომინაციებში, 5 დეკემბერს გახდება ცნობილი.

# ქულებდაკარგულმა დინამომ ჰანდიკაპი შეინარჩუნა

**დასაწყისი მე-9 გვერდზე**

რიშვილი, აფციაური, კახელიშვილი

**სპარტაკი:** ნადირაძე, ჭაფოძე, მგელაძე, ქურდაძე, მეგრელიშვილი, შონია, კაკაშვილი (კილასონია 46), ჩაფიძე, თუხარელი (ფანცხავა 90), თექთურმანიძე, მეტრეველი

**გაძევება:** ჩაფიძე (83)

ნამდვილი საფეხბურთო თრილერი იხილა გორში შეკრებილმა ფეხბურთის გულშემატკივარმა. „სიონმა“ ანგარიშის გახსნა მე-18 წუთზე, ალექსანდრე გოგობერიშვილის, ზუსტი დარტყმის წყალობით მოახერხა. ცხინვალელებმა ამ გოლს ათიოდე წუთში უპასუხეს და ანგარიში გაათანაბრეს, გოლის ავტორი გიორგი თექთურმანიძე გახდა. ასე დასრულდა პირველი ნახევარი.

68-ე წუთზე გოლის გატანა ლაშა ჩაფიძემ მოახერხა და „სპარტაკი“ დაანწინაურა. 83-ე წუთზე გიორგი კახელიშვილმა წონასწორობა აღადგინა, ამავე წუთზე მეორე ყვითელი ბარათი მიიღო ლაშა ჩაფიძემ და მოედანი ნაადრევად დატოვა. რიცხვობრივი უპირატესობა ბოლნისელებმა კარგად გამოიყენეს და 85-ე წუთზე ზვიად ლობჟანიძემ გამარჯვების გოლი გაიტანა.

**სატუნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 13 | 9 | 3 | 1 | 30-11 | 30 |
| 2.ჩიხურა | 13 | 8 | 2 | 3 | 28-20 | 26 |
| 3.გურია | 13 | 8 | 0 | 5 | 15-16 | 24 |
| 4.მეტალურგი | 13 | 6 | 4 | 3 | 19-17 | 22 |
| 5.ტორპედო | 13 | 5 | 4 | 4 | 17-12 | 19 |
| 6.დილა | 13 | 5 | 4 | 4 | 17-14 | 19 |
| 7.ზესტაფონი | 13 | 5 | 3 | 5 | 14-10 | 18 |
| 8.სიონი | 13 | 4 | 4 | 5 | 16-17 | 16 |
| 9.ვიტ ჯორჯია | 13 | 4 | 3 | 6 | 17-19 | 15 |
| 10.მერანი | 13 | 4 | 0 | 9 | 13-28 | 12 |
| 11.სპარტაკი | 13 | 3 | 1 | 9 | 11-19 | 10 |
| 12.ზუგდიდი | 13 | 1 | 4 | 8 | 5-19 | 7 |

**ბომბარდირები:** ირაკლი მოდებაძე (დილა), დიმიტრი ტატანაშვილი (ჩიხურა) – 9-9 ბურთი; დორინ გოგა (დინამო) – 7.

# კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონში შესატან ცვლილებებზე სპეციალური ჯგუფი იმუშავებს

**დასაწყისი მე-8 გვერდზე**

მიმდინარეობს. ეს გახლავთ სახელმწიფოში კულტურული მემკვიდრეობის მართვის სისტემის რაღაცნაირად შეზღუდვა და დაკნინება. ეს კანონპროექტი სწორედაც გამოხატავს იმ სულისკვეთებას, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მექანიზმი გახდეს უკიდურესად ფორმალური და ეკონომიკური განვითარების საფარქვეშ გაქრეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სისტემა.

*– ეს რას ნიშნავს?*

– ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერ ნაგებობას თავისი იურიდიული დაცვის მექანიზმი ისე მოეხსნას, არ იყოს გათვალისწინებული არავითარი დადგენილი ნორმები. ეს არის ერთი ის საკითხი, რომელიც ძალიან უკან წევს ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის მართვის სისტემას. მეორე არის ის, რომ ზოგადად კულტურული მემკვიდრეობის მთელ ქვეყანაში არსებული ქსელის შევიწროვება, რაც ნიშნავს იმას, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს შემადგენლობაში აღარ არის ისეთი მუზეუმები, რომლებიც ფარავდნენ საქართველოს ისტორიულ რეგიონებს და რომლებსაც ევალებოდათ მემკვიდრეობის მონიტორინგი, სარეს ტავრაციო სამუშაოების დაგეგმვაში მონაწილეობა, შეფასება, კვლევების ჩატარება და ეს იყო ამ მუზეუმების უპირველესი ფუნქცია. ეს მუზეუმები აღარ გვყავს კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს შემადგენლობაში და მესამე უკან გადადგმული ნაბიჯი არის დაბრუნება 2001 წლის მდგომარეობაში, როდესაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ხვდა ისეთი დიდი და მისთვის შეუფერებელი ტვირთი, როგორიც არის ქალაქ თბილისის მემკვიდრეობის ძეგლებზე ნებართვების გაცემა. კულტურის სამინისტროს მოვალეობაა, დაადგინოს კრიტერიუმები, აწარმოოს მონიტორინგი ამ კრიტერიუმების შესრულებაზე და არ არის მისი საქმე ნებისმიერი კარის, ფანჯრის, სადარბაზოს, ღობის, სველი წერტილის გადაკეთება-გადმოკეთებაზე გადაწყვეტილებების მიღება. ეს ნიშნავს იმას, რომ ადამიანური ინტელექტუალური რესურსი ფუჭად იკარგება. ეს ნიშნავს იმას, რომ სააგენტო ვეღარ მოიცლის სხვა უფრო მნიშვნელოვანი საკითხისთვის, ეს ეწინააღმდეგება ზოგადად დეცენტრალიზაციის ამომავალ პრინციპს, რომელიც ჩვენს ქვეყანას აქვს აღებული და ეს აბსოლუტურად სწორი და მართებულია. ამ კანონპროექტის ინიცირებას ვხედავ ამ საწუხარო მოვლენების ჯაჭვში და ვფიქრობ, რომ საზოგადოება, სპეციალისტები და უპირველეს ყოვლისა, ჯანსაღი ჟურნალისტური ნაწილი უნდა იყოს ფხიზლად, რომ ეს არ იქცეს ისეთ უკან გამოუბრუნებელ ტენდენციად, რაც დააკნინებს კულტურის სამინისტროს როლს, დაკნინებს და ფუნქციას გამოაცლის კულტურული მემკვიდრეობის სეგმენტს კულტურის სამინისტროში, რაც მთავარი სეგმენტია და ასეთი ვითომ ჩუმად მომხდარი ასეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯები მიგვიყვანს იქამდე, რომ ერთ მშვენიერ დღეს იქნება თავიდან ასაშენებელი მთელი სისტემა მართვისა და დაცვისა.

*– ითქვა ისიც, რომ კულტურის სამინისტრო არ იყო საქმის კურსში ამ კანონპროექტთან დაკავშირებით. ამით კულტურის სამინისტროს როლი დაკნინდა?*

– ეს ნონსენსია, როცა ინიცირება ხდება ეკონომიკის სამინისტროსგან და საქმის კურსში არ არის კულტურის სამინისტრო. ეს არ არის გუნდური მუშაობა. ეს არის ხერხემალი თანამშრომლობისა. ყოველთვის იყო ასეთი ინიციატივები, მაგრამ ყოველთვის იყო თანამშრომლობა და ერთიანი გადაწყვეტა ძალიან რთული პრობლემებისაც. ამიტომ ერთმა სამინისტრომ ასეთი მემკვიდრეობის დამაკნინებელი ინიციატივა გამოიჩინოს და მას აღმოუჩნდეს მხარდამჭერები, ძალიან ცუდია ჩვენი ქვეყნისთვის და კულტურული მემკვიდრეობისთვის. დიდი იმედი მაქვს, რომ საპარლამენტო უმრავლესობაც და უმცირესობაც გამოიჩენს კეთილგონიერებას. ეს არის საქვეყნო საქმე, ყოველგვარ პარტიულ ინტერესებზე მაღლა დასაყენებელი და განსახილველი. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ პარლამენტი ამ საქმეს ჯანსაღად შეხედავს, გადახედავს თავის პოზიციას და არ მიიღებს ამ კანონპროექტს.

*– რატომ გახდა ამ კანონის მიღება საჭირო?*

– ბევრ რამეს ამბობენ, მაგრამ ყველა შემთხვევაში სამწუხაროა, თუკი რომელიმე კონკრეტული ერთი შემთხვევიდან აგორებულიყო ასეთი დიდი ინსტიტუციური და საკანონმდებლო ცვლილება ჩვენს ქვეყანაში. არ ვიცი კონკრეტული ფაქტები, მაგრამ სამწუხაროა, რომ რომელიმე ძეგლის და რომელიმე შენობის გამო იყოს ასეთი ინიცირება გაკეთებული. ვფიქრობ, ეს იქნებოდა ძალიან ცუდი. მაგრამ ეს ტენდენცია ლამის კანონად არის ქცეული, რომ ძეგლების სტატუსი და ძეგლები არაფრად მიგვაჩნდეს და არც გვინდა ის ვაკეთოთ ეკონომიკური ინტერესების საბაბით და მოხმობით.

*– 2007 წელს არის გაყიდული დადიანების სასახლის ეზოს ნაწილი. ამასთან დაკავშირებით ფლობთ ინფორმაციას?*

– ასეთი ამბები აგორდება ხოლმე და ყველანი შევშინდებით, რომ გაიყიდა დადიანების ეზო. როგორც გაირკვა, ასე არ არის. დადიანების ეზო გაყიდული არ არის.

*– ნაწილი ხომ არის გაყიდული?*

– დადიანების ეზოს ნაწილიც არ არის გაყიდული. ის ადგილი, რომელიც გაიყიდა, გახლავთ მის მიმდებარედ და არის სხვა ადგილას. მისი კაპიტალიზაცია ჯანსაღი დაგეგმვის პირობებში არ ავნებს მუზეუმს, პირიქით, არგებს მუზეუმს, არგებს ზუგდიდს, არგებს ეკონომიკის მოხმობას კულტურული მემკვიდრეობის განვითარების საქმეში, ამიტომ ნუ ავურევთ დადიანების ეზოს და მის მიმდებარე ტერიტორიას, იმ მცირე ტერიტორიას, რომელშიც კაპიტალიზაცია იქნებოდა კარგად დაგეგმვის შემთხვევაში მშვენიერი რამ თვითონ მუზეუმისთვის. ვერ გეტყვით, რა ხდება ამჟამად ეკონომიკის სამინისტროში და კულტურის სამინისტროში, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ეს ტერიტორია არის დადიანების ეზოს მიმდებარედ. ამ ტერიტორიას მოიხსენიებენ ხოლმე როგორც დადიანების ეზოდ, თუმცა ეს ტერიტორია ადრევე თუ არ ვცდები 90-იან წლებში იყო ქალაქის სარეკრეაციო ადგილი, რომელიც მიგდებული იყო და ეს ადგილი არ არის უშუალოდ მუზეუმის კუთვნილება. ამის შესახებ ყველასთვის ჯერ კიდევ მაშინ იყო ცნობილი.

*– მაშინ მუზეუმმა ახლა რატომ გაიგო ამის შესახებ?*

– არ ვიცი. ალბათ რაღაც უზუსტობაა. ძალიან ცუდია თუ მუზეუმმა ახლა გაიგო. უბრალოდ მათ ახლა განაცხადეს სხვა მახვილებით, თორემ ეს მათთვის ცნობილია არა თუ 2007 წლიდან, არამედ 2000 თუ 2001 წლიდან, როდესაც ქალაქის ერთ-ერთი ეს ნაწილი გასხვისდა. უბრალოდ ის ახლოს არის დადიანების მუზეუმთან, ამიტომ ნუ აგვერევა ქალაქის ნაწილი დადიანების მუზეუმის დაცულ ტერიტორიასთან.

*– გიორგი კალანდია ამტკიცებს, რომ ეს ტერიტორია დადიანების მუზეუმის კუთვნილი ტერიტორიაა.*

– ბოლო პერიოდში აქტიურად ვკითხულობ და დარწმუნებით ვამბობ, რომ ეს არის სიცრუე. დადიანების მუზეუმის ეზოს გაყიდვაზე არ ყოფილა და არ არის საბედნიეროდ ლაპარაკი. ქალაქის ტერიტორია არის დაყოფილი და ის ტერიტორია რაც გაიყიდა, არ არის მუზეუმის ნაწილი.

## ჯოსვოიდი ბ



**შვეულად:** 1. დეპეშების მიმღებ-გადამცემი ძველებური სატელეგრაფო აპარატი; 2. მონასტერი ოჩამჩირეს რაიონში; 3. ორსართულიანი ლაზური სახლი; 5. წყალგარეული ღვინო; 6. ძვირფასი სამახსოვრო ნივთი; 9. ჩინელ კოსმონავტთა სახელწოდება; 10. ეკლესიის მნათეს ძველი ქართული სახელწოდება; 11. მრავალცოლიანობა; 14. ბუნებრივი წყალსაცავი; 16. ძველბერძენი დრამატურგი; 18. მარადმწვანე წიწვოვანი ხე.

**თარაზულად:** 1. მე-18 საუკუნის ქართველი პოეტი, დიპლომატი; 4. მოხატული და მოჭიქული თიხის ჭურჭელი; 7. ერბოში ჩახარშული ყველისგან მომზადებული აჭარული კერძი; 8. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 12. მთავარი ქუჩა ტოკიოში; 13. მხარე ავსტრიაში; 15. შენობა მუსიკალური წარმოდგენებისათვის ძველ საბერძნეთში; 17. არომატული, მატონიზირებელი სასმელი; 19. რთული ცილა, სისხლის წითელი პიგმენტი; 20. საჭმელი სოკო; 21. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ნორვეგიაში.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოიდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. კარაკასი; 7. ვიმპელი; 8. ნიავი; 9. პამირი; 10. ტორტი; 13. კრემი; 15. მორგანიზმი; 18. პიკნიკი; 20. იორი; 21. პარტია; 23. კალცინაცია; 24. საკანი.

**შვეულად:** 1. ბალთასარი; 2. პანკისი; 3. ვიზიტი; 4. ამონი; 5. პლევრა; 11. ტიტანი; 12. რაიონი; 14. მერი; 16. ონდატრა; 17. ბიზნესი; 19. კარნიზი; 21. პიანო; 22. ცენტი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. აპრილი; 2. რეკორდი; 3. რკო; 4. სი; 5. ენა; 6. არენა; 7. ფარსი; 8. თოფი; 9. ილი; 10. კორიდა; 11. კაპიკი; 12. კაროლ; 13. პენსნე; 14. პრადო; 15. ანოა; 16. ხი; 17. ლაპი; 18. სინაი; 19. იხვი; 20. კარამანლისი; 21. კობალტი; 22. კრატერი; 23. ეპონჟი; 24. პესო; 25. კაჟი; 26. ჟაკანი; 27. პომპა; 28. ვირა; 29. ჰანოი; 30. ავინიონი; 31. ჰავა; 32. აკრა; 33. ტარას; 34. სნო; 35. მინდორი.

**სურათებზე:** პაიპერ პერაბო; ივან სამორანო.

# უკრაინა: ევრომაიდანი ევრორევოლუციაში გადაიზარდა?

## უკრაინელმა ხალხმა არჩევანი უკვე გააკეთა, ახლა ჯერი მთავრობაზეა, — ამბობენ ექსპერტები

– უკრაინაში მასობრივი საპროტესტო აქციები დაიწყო. დედაქალაქს მხარი რეგიონებმაც დაუჭირეს, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

კიევში დამოუკიდებლობის მაიდანზე 100 ათასამდე ადამიანი შეიკრიბა. ხელისუფლებამ სცადა კონტრაქციები მოეწყო, თუმცა მიხაილოვსკის მოედანზე მხოლოდ 4 ათასამდე ადამიანის შეკრება შეძლო. აღსანიშნავია, რომ კიევის მხარდამჭერი აქციები ჩატარდა როგორც ლვოვსა და ივანო-ფრანკოვსკში, ასევე ხარკოვში, დონეცკში, ჩერნიგოვში და ა.შ.

– ახლა უკვე ბრმაც ხედავს, რომ არავითარი

„ორი ერი“ ჩვენში არ არსებობს. უკრაინის აღმოსავლეთი და დასავლეთი რეგიონი ერთად დგას! – განაცხადა კიევში გამართულ მიტინგზე ვიტალი კლიჩკომ.

### ყველაფერი იანუკოვიჩის ბრალია!

ვიქტორ იანუკოვიჩით დღეს ყველა უკმაყოფილოა. დასავლეთის ლიდერები ხმამაღლა აცხადებენ, რომ უკრაინის პრეზიდენტმა იმედები გაუცრუა. იანუკოვიჩით უკმაყოფილოა უკრაინელი ხალხი, რომელსაც ევროინტეგრაცია სურს.

– იანუკოვიჩი მხოლოდ საკუთარი კლანის ინტერესებს იცავს, ქვეყანა კი ფეხებზე ჰკიდია, – ეს ფრაზა დომინირებს როგორც კიევსა და ლვოვში, ასევე იანუკოვიჩის მშობლიურ დონბასშიც.

ვიქტორ ფიოდოროვიჩით მოსკოვიც უკმაყოფილოა.

– ყველაფერი იანუკოვიჩის ბრალია, – აცხადებს კრემლთან დაახლოებული პოლიტოლოგი სერგეი მარკოვი, – თანმიმდევრული პოლიტიკის გატარების ნაცვლად მან თამაში დაიწყო, ყველაფერი მისი ბრალია!

კრემლი უკრაინის პრეზიდენტისაგან რუსული ენისათვის სახელმწიფო სტატუსის მინიჭებას, სტრატეგიული ობიექტების რუსეთისათვის გადაცემას და უკრაინის ე.წ. „ევრაზიულ კავშირში“ შეყვანას მოითხოვდა.

– თუკი სომხეთი ამაზე წავიდა, უკრაინელები რა, წითელი კოჭები არიან? ისინი ხომ ჩვენთან ბევრად უფრო ახლოს დგანან! – ეს სიტყვები ვლადიმერ ჟირინოვსკის ეკუთვნის. კონსტანტინე ზატულინი კი უკრაინის პრეზიდენტს შემდეგ რჩევას აძლევდა:

– თუკი უკრაინის პრეზიდენტს ძალაუფლების შენარჩუნება სურს, მან დასავლეთ უკრაინის ამპუტაცია უნდა მოახდინოს! სანამ ერთიანი უნიტარული უკრაინა არსებობს, ვერც მშვიდობა დამყარდება, ვერც ძლიერი ხელისუფლება ვერ შეიქმნება, ამიტომ ტრაგედია არ იქნება, თუკი დასავლეთ უკრაინას ისეთივე ავტონომია მიენიჭება, როგორც ყირიმს. ამის შემდეგ მოხდება მშვიდობიანი გაყრა. დასავლეთ უკრაინას ხომ თავისი ისტორია და საკუთარი ფასეულობები გააჩნია, ამიტომ ევროპისაკენ გზა უნდა დავულოცოთ. რაც შეეხება უკრაინის დანარჩენ ნაწილს, ის რუსეთია!

ნათელია, რომ „მოსკოველი მეგობრების“ ასეთ რჩევებს უკრაინის პრეზიდენტი ვერ მიიღებდა, თუმცა ვიქტორ ფიოდოროვიჩმა პრინციპული, თანმიმდევრული ეროვნული პოლიტიკის გატარებაზეც უარი განაცხადა. იანუკოვიჩმა როგორც რუსეთთან, ისე დასავლეთთან ვაჭრობა დაიწყო. ვიქტორ ფიოდოროვიჩი ერთი მხრივ დასავლეთს თავის მეგობრობაში არწმუნებდა, ამასთან, ვლადიმერ პუტინთან შეხვედრებზე აცხადებდა, რომ პრინციპში „ევრაზიული კავშირის“ საწინააღმდეგო არაფერი აქვს, მაგრამ ამას დრო სჭირდება. სინამდვილეში უკრაინის პრეზიდენტი როგორც რუსეთისაგან, ისე დასავლეთისაგან მაქსიმალური დივიდენტების მიღებას ცდილობდა.

– პრინციპში ამაში ცუდი არაფერია, პოლიტიკა ხომ თამაშია, თუმცა თამაშსაც ცოდნა უნდა , – აცხადებს უკრაინის პირველი პრეზიდენტი ლეონიდ კრავჩუკი.

### იანუკოვიჩს კი ცოდნა და განათლება აშკარად აკლდა.

რატომ შეჩერდა ევროინტეგრაცია?

როგორც მოსალოდნელი იყო, უკრაინა-ევროკავშირს შორის ხელშეკრულების რატიფიკაციას კრემლი აგრესიულად შეხვდა. პუტინის კლანურ-ავტორიტარული რეჟიმისათვის ევროკავშირის საზღვრების მოახლოება კატასტროფის ტოლფასია. კრემლმაც უკრაინაზე ზეწოლა გააძლიერა. უკრაინული ოპოზიცია ამტკიცებს, რომ პუტინ–იანუკოვიჩის შეხვედრებზე საიდუმლო გარიგება მოხდა. ექსპერტები ამას არ ადასტურებენ.

– იანუკოვიჩის ყველა მცდელობას, პუტინთან შეთანხმებისათვის მიეღწია, წარმატება არ მოჰყოლია, – თვლის ვიტალი პორტნიკოვი.

ვიქტორ ფიოდოროვიჩმაც ვაჭრობა განაგრძო. ერთი მხრივ, ის მოსკოვს აშანტაჟებდა, აცხადებდა რა, რომ თუკი გაზის კონტრაქტებს არ გადახედავდნენ, ევროკავშირთან ასოციაციის თაობაზე ხელშეკრულების რატიფიცირებას მოახდენდა. ევროკავშირის ლიდერებთან საუბარში კი აცხადებდა, რომ რუსეთის ბაზრის დაკარგვით ჩვენს ეკონომიკას კოლოსალური ზარალი მიადგება და ამას კომპენსაცია სჭირდება, დაახლოებით 10 მილიარდი დოლარი.

იანუკოვიჩის ასეთმა საქციელმა როგორც მოსკოვი, ისე ბრიუსელი, რბილად რომ ვთქვათ, გააოცა. შედეგად როგორც ევროკავშირთან, ისე რუსეთთან პრობლემები წარმოიქმნა. იანუკოვიჩმაც პრემიერ აზაროვს დაავალა, ევროინტეგრაციის შეჩერების შესახებ განეცხადებინა.

– ვიქტორ ფიოდოროვიჩი იმედოვნებდა, რომ ამას მოსკოვიდანაც და ბრიუსელიდანაც სათანდო რეაქცია მოჰყვებოდა, რომ ან ბრიუსელი ათ მილიარდს გადაუხდიდა, ან რუსეთი გაზის მიწოდების თაობაზე დადებულ კონტრაქტს გადახედავდა, უკიდურეს შემთხვევაში, შეღავათიან კრედიტებს მისცემდა. – თვლის პორტნიკოვი.

უკრაინის პრეზიდენტი შეცდა. მან ვერც მოსკოვის, ვერც ბრიუსელის და, რაც მთავარია, ვერც საკუთარი ხალხის რეაქცია ვერ გათვალა.

### ხალხი ქუჩაში გამოდის

ბევრი ექსპერტი (როგორც უკრაინელი, ისე დასავლელი) საფუძვლიან ეჭვს გამოთქვამდა, რომ მასობრივი პროტესტების ორგანიზება მოხერხდებოდა. მართალია მოსახლეობა ხელისუფლებით უკმაყოფილო იყო, მაგრამ არ არსებობდა არც პოპულარული ლიდერი, არც ძლიერი პატრიოტული ორგანიზაცია, რომელიც ხალხის დარაზმვას შეძლებდა:

– იანუკოვიჩით უმრავლესობა უკმაყოფილოა, მაგრამ ხალხი ალტერნატივას ვერ ხედავს, – იტყობინებოდა რადიო „თავისუფლება“.

როგორც ჩანს, ამაში უკრაინის პრეზიდენტიც დარწმუნებული იყო და ამიტომ ყველაზე ნაკლებად სწორედ მასობრივ პროტესტს მოელოდა, თუმცა პროტესტი მაინც აგორდა. მოსახლეობა ქუჩაში გამოვიდა.

– უკრაინელები ამაყი ხალხია, ვერ იტანენ, როცა ატყუებ, სულში აფურთხებ. იანუკოვიჩი კი ევროინტეგრაციას ჰპირდებოდა, ანაზდად კი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ამ კურსის შეჩერების შესახებ გამოაცხადა. აღშფოთებული მოსახლეობა ქუჩაში გამოვიდა. ისინი არა რომელიმე პოლიტიკოსმა ან ორგანიზაციამ, არამედ საკუთარმა შელახულმა თავმოყვარეობამ გამოიყვანა, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ვიქტორ ფიოდოროვიჩი თავდაპირველად კონტრმიტინგის ორგანიზებას შეეცადა. პრეზდენტს ახლაც მწარე იმედგაცრუება ელოდა. დონბასელმა მეშახტეებმა მისი ემისრები ლანძღვა-გინებით გამოისტუმრეს. უკრაინის პარლამენტის დეპუტატის ბალოგას ინფორმაციით, იანიკუვიჩს ვლადიმერ პუტინი დაუკავშირდა და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება ურჩია.

– ამერიკელები ახალ ფერად რევოლუციას ამზადებენ, დაყოვნება სიკვდილის ტოლფასია, – განაცხადა პუტინმა.

უკრაინის პრეზიდენტმა ამას ყური არ ათხოვა. კიევშიც მასობრივი მიტინგი დაიწყო. ქუჩაში 100 ათასამდე ადამიანი გამოვიდა. პარალელურად აქციები მოეწყო დონეცკში, ჩერნიგოვში, ოდესაში, ლვოვში, ჩერკასში, ივანო-ფრანკოვსკში.

– ჩვენ ერთნი ვართ! დონბასიდან კარპატებამდე ერთნი ვართ! – ეს ფრაზა ყველგან დომინირებდა.

მოვლენების ამ სცენარით განვითარებამ პრეზიდენტი შეაშინა. იანუკოვიჩი ტელეკამერების წინაშე აღარ გამოჩენილა. სამაგიეროდ პრემიერი აზაროვი იმუქრებოდა, ყველას პასუხს ვაგებინებთო. ამან ცეცხლზე ნავთი დაასხა. ქუჩაში მომიტინგეთა რაოდენობამ მოიმატა.

### მუშტი-კრივი და პროვოკაციები

მასობრივი საპროტესტო აქციების დროს პროვოკაციები და მუშტი-კრივი ჩვეულებრივი მოვლენაა. უკრაინა ამ მხრივ გამონაკლისი როდია. კიევში სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა სპორტული აღნაგობის მამაკაცებმა მომიტინგეებზე იერიში მიიტანეს, მაგრამ მათი მცდელობა წარუმატებელი გამოდგა.

– 100-ათასიანი მიტინგის წინააღმდეგ ასეთი პროვოკაციები არ გაჭრის, – განაცხადა ტელეკომპანია მე-5 არხთან საუბარში ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა იური ლუცენკომ.

მილიციასთან ხელჩართული შეტაკება მინისტრთა კაბინეტის საბჭოსთან გაიმართა, როცა მომიტინგეები შეძახილით „ძირს აზარივი“ და „გადადგეს მთავრობა“ გრუშევსკის ქუჩაზე მოთავსებულ შენონას მიუახლოვდნენ. „ბერკუტის“ სპეცდანაყოფმა მათი დაშლა სცადა. მინისტრთა კაბინეტსა და მომიტინგეებს ერთმანეთისაგან შლაგბაუმი ჰყოფდათ. მილიციამ მშვიდობიან მომიტინგეებს ხელკეტები დასცხო. პასუხად „ბერკუტის“ მებრძოლებს ქვები დაუშინეს. შემდეგ მიმიტინგეებმა შლაგბაუმი გამოაძვრეს და სპეცრაზმელთა რკალის გარღვევა სცადეს. პასუხად „ბერკუტმა“ ცრემლმდენი გაზი გამოიყენა.

– ჩვენ მოველით, რომ 24 ნოემბერს ღამე მილიცია ჩვენს დაშლას შეეცდება, – განაცხადა ვიტალი კლიჩკომ.

მართლაც, ღამის პირველ საათზე ხრუშჩატნიკზე ანაზდად შუქი ჩაქრა. მილიციელებმა კიევის ცენტრში განთავსებული კარვების აღება სცადეს. მართალია, იმ დროისათვის იქ მხოლოდ 500-მდე მომიტინგე იყო, მაგრამ მომხდვურებს მათ გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს. იერიში მოგერიებულ იქნა. მეორე დღეს, 25 ნოემბერს, მომიტინგეები კვლავ მინისტრთა კაბინეტის შენობას მიადგნენ. სპეცდანიშნულების რაზმმა მათ კვლავ გზა გადაუღობა, მოხდა შეტაკება, თუმცა მომიტინგეთა დაშლა ამჯერადაც ვერ შეძლეს.

ბობოქრად განვითარდა მოვლენები რეგიონებში. ლუგანსკში ევრო-მაიდანის საპიროსპიროდ პრორუსული აქციის აგორება სცადეს ე.წ. „დონელმა კაზაკებმა“, რომლებმაც მოსახლეობას ქუჩაში გამოსვლისა და რუსეთთან შესაერთებელი რეფერენდუმის ჩატარებისაკენ მოუწოდეს. კაზაკებს თავად მოსახლეობამ საკადრისი პასუხი გასცა. მსგავსი რამ განმეორდა დონეცკშიც, სადაც პროვოკატორები პრორუსული ტალღის აგორებას შეეცადნენ. ჩერნიგოვში მილიციამ იქაური „მაიდანის“ დაშლა შეძლო, მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ ხალხი კვლავ შეიკრიბა. ოდესაში ასევე ძალისმიერი მეთოდებით სცადეს შეკრებილი ხალხის დაშლა, მაგრამ ამაოდ.

– ჯინნი ბოთლიდან გამოვიდა და მისი უკან ჩაბრუნებაც შეუძლებელია, – თვლის რადიო „თავისუფლება“.

### ეპილოგი

– გაოცებულ ვართ იმით, რაც უკრაინაში ხდება. ამ ქვეყნის მოსახლეობამ მართლაც დაამტკიცა, რომ ევროპელები არიან, ევროკავშირის კარიც უკრაინისათვის ღიაა, – განაცხადა შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბილტმა.

თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, მოლაპარაკება ვილნიუსის სამიტზე ევროპასთან ხელშეკრულების რატიფიცირების შესახებ კვლავ მიმდინარეობს. იანუკოვიჩის ადმინისტრაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, რომელმაც ანონიმად დარჩენა ისურვა, ტელეკომპანია „ინტერის“ წარმომადგენელს განუცხადა, რომ ამ ხელშეკრულების რატიფიციტება კვლავაც შესაძლებელია.

– არ მესმის, მთელი ეს აჟიოტაჟი რად ატყდა. ჩვენ ევროინტეგრაციული კურსიდან არ გადაგვიხვევია, – განაცხადა მან.

უკრაინაში კი საპროტესტი ტალღა არ ცხრება. გადაიზრდება ევრომაიდანი ევრორევოლუციაში? ექსპერტების უმრავლესობა თვლის, რომ უმჯობესია ყველაფერი მშვიდობიანად მოგვარდეს. ჯერჯერობით ამისი იმედი მართლაც არსებობს.

– უკრაინელმა ხალხმა არჩევანი უკვე გააკეთა, ახლა ჯერი ხელისუფლებაზეა, – აცხადებს პოლიტოლოგი ფისენკო.

აცნობიერებს ამას უკრაინის პრეზიდენტი?

**ნიკა თევზაძე**

# სამგლოვიარო განცხადებები

შვილი თამაზ ხადური, დები ნინა, მარიამი, რძლები მარინე, ალა, მზია, ნინო, ირინა, შვილიშვილები ნოდარი, ხათუნა, თემური, შორენა, ნონა, ნათია, ეკა, ნიკო ხადურები. სიძეები ნოდარ ცაციაშვილი, პაატა გაბროშვილი, მალხაზ გოგიაშვილი, შვილთაშვილები იზო გაბროშვილი, სანდრო, საბა, მარიამ და ნიკოლოზ ხადურები. ლიკა კიკნაძე, ვალერი, რეზო გიუნაშვილები, გოგა და ლიკა გოგიაშვილები, დი შვილები, მული შვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**შუშანა ხმიადაშვილი-ხადური**

პანაშვიდი: 26-27 ნოემბერს 17 საათზე;
დაკრძალვა: 28 ნოემბერს 14 საათზე.
მისამართი: გორის რაიონი, სოფელი ქვეში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლები მწუხარებას გამოვთქვამთ და სამძიმარს ვუცხადებთ საქართველოს ფინანსთა მინისტრს, ნოდარ ხადურს, ბებიის

**შუშანა ხმიადაშვილი-ხადურის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# აშშ: ირანთან მიღწეული შეთანხმება ახლო აღმოსავლეთს უფრო უსაფრთხოს გახდის

**დასაწყისი მე-12 გვერდზე**

თვულობიექტებზე საერთაშორისო ინსპექტორების დაშვებაზე თანხმობა განაცხადა. ირანი, ასევე, დათანხმდა მძიმე წყლის ბირთვული რეაქტორის მშენებლობის შეჩერებაზე, რომელიც ტექნიკურად იარაღის პლუტონიუმის გამომუშავებას შეძლებდა.

ამის სანაცვლოდ, ისლამურ რესპუბლიკას ეკონომიკური სანქციები ნაწილობრივ შეუმსუბუქდა, რაც საერთო ჯამში 7 მილიარდი აშშ დოლარია. უპირველეს ყოვლისა, საუბარია ირანის უცხოური აქტივების გაყინვის სანქციის მოხსნაზე.

თუ ნახევარი წლის განმავლობაში მსოფლიო საზოგადოება დაინახავს, რომ პირობა არ სრულდება, სანქციები სრულად ამოქმედდება.

ევროკავშირი დიდი ალბათობით ირანისათვის დაწესებულ ზოგიერთ სანქციას დეკემბრისათვის გააუქმებს, რაც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თანახმად, ირანსა და მსოფლიოს წამყვან ექვს სახელმწიფოს შორის მიღწეული შეთანხმების ნაწილია. საგანგებოდ ირანის სანქციების გაუქმების საკითხზე, ლორან ფაბიუსის თქმით, ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრები რამდენიმე კვირაში, სავარაუდოდ დეკემბერში შეიკრიბებიან. კვირას ირანი დათანხმდა შეწყვიტოს მთელი ბირთვული საქმიანობის ნაწილი, მისთვის დაწესებული ეკონომიკური სანქციების შემსუბუქების სანაცვლოდ.

**მოამზადა ვერა მამულაშვილმა**

# TV პროგრამა

## სამშაბათი 26 ნოემბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" **14.00** "ნოსტალგია" – მხ/ფ **"მე და კატერინა" 17.00** ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა" 18.00** დ/ფ "სახელგანთქმული თვითმფრინავები" **19.30** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" **21.00** თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) **22.30** ტ/სერ. **"მაფიოზი" 23.40 ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი: (პ/რ) შესვენებისას: "ტელევიქტორინა" **01.40** მხ/ფ **"კინგის გამოსასყიდი"**

**08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.30, 21.00, 23.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **11.00** დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" – "ბერნი" **14.00, 16.00** ტ/სერ. **"დეტექტივი" 20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო"

**06.45** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით" 07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40** ქრონიკა **10.05** სერ. **"ცივი გული" 11.20, 12.05** სერ. **"სიყვარულის საფრთხე" 1** სერ. **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** მისია სტუდენტი **16.03** სერ. **"დაბრუნება" 17.50, 19.03** სერ. **"უდანაშაულო" 20.50** სერ. **"სილა" 21.50** ახალი ქართული ხმა **00.00** მხ/ფ **"ბინძური სიყვარული"** (კ.ელექტრა)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ერთგულების ქალა" 11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუადღე" **16.00** სერ. **"სიყვარული და შურისძიება" 17.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები". 18.50, 19.50** სერ. **"ბიბეების დრო" 20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** არჩევანი **00.00** სერ. **"ძმები ჯაუსი". 01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** ქართული კინოს ვარსკვლავები **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 00.05, 22.00, 02.30** სიახლენი **10.40** დოკ/ფ "დღესასწაული" **10.15** საღვთისმეტყველო საუბრები **12.10** მხ/ფ **"კაცია ადამიანი?!" 13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** კონცერტი - საქართველოს მომავლის ვარსკვლავები - ე. გოგიბედაშვილი,ლ. რამიშვილი **17.00** ერთსულოვნების სალონი **18.10** აქტუალური თემა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მოკ/ფ **"წითელი ბუშტი" 20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი **00.25** ისტორიის დღიური **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე

**მაესტრო** **7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00 სერიალი "დაკარგული დრო" 12.50, 13.50, 23.00** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00 სერიალი "ასი". 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე". 23.00, 3.15** თოქ-შოუ "არგუმენტები"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**26 ნოემბერი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,6821 | ევრო — 2,2732 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7243 | 100 რუსული რუბლი — 5,1119 |

## ამინდის პროგნოზი 26 ნოემბრისთვის

## აშშ: ირანთან მიღწეული შეთანხმება ახლო აღმოსავლეთს უფრო უსაფრთხოს გახდის

აშშ-ს ლსახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ განაცხადა, რომ აშშსა და ისრაელს ერთი მიზანი აქვს და მიღწეული შეთანხმება არის პირველი ნაბიჯი იმისკენ, რომ ირანმა ბირთვული იარაღი არ შექმნას. ინფორმაციას ამის შესახებ „ბი-ბი-სი“ ავრცელებს.

მისივე თქმით, ირანთან მიღწეული შეთანხმება ახლო აღმოსავლეთს უფრო უსაფრთხო რეგიონად აქცევს.

ამასთან ერთად, ისრაელის პრეზიდენტმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ ირანსა და „ექვსეულს“ შორის მიღწეულ შეთანხმებას ისტორიული შეცდომა უწოდა, რომელიც მსოფლიოს საფრთხეში აგდებს.

აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუსთან სატელეფონო საუბრისას, ირანთან ბირთვული შეთანხმების საკითხზე ისაუბრეს, რაც ისრაელის შეშფოთებას იწვევს – იუწყება „ბი-ბი-სი“.

ობამას განცხადებით, ირანის განზრახვასთან დაკავშირებით, ისრაელს სკეპტიკური დამოკიდებულებისთვის ყველა საფუძველი აქვს.

მიუხედავად ამისა, ამერიკის პრეზიდენტმა ისრაელთან კონსულტაციის დაუყოვნებლივ დაწყების შესახებ განაცხადა, რათა თეირანის ბირთვულ პრობლემასთან დაკავშირებით ყოველისმომცველ გრძელვადიან გადაწყვეტილებას მიაღწიონ.

ირანმა ურანის გასამდიდრებლად ახალი ცენტრიფუგების განთავსებაზე უარი თქვა და ბირ-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## ყველამ გაითვალისწინეთ!

**ეს დღე მშვიდად გაატარეთ.**

## ასტროპროგნოზი 26 ნოემბრისთვის

**ვერძი** — შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — პოზიტიური დღეა, თამამად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა, მოსალოდნელია სხვა სიახლე. **ლომი** — წარმატებული დღეა. ახალ ბიზნესს წამოიწყებთ. **ქალწული** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, ზედმეტი აქტიურობა არ გარგებთ. **სასწორი** — გზიდან ფულს და ახალ ამბავს მიიღებთ, გახარებული ხართ. **ღრიანკალი** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში. დღეს ნუ გადაიტვირთებით. **მშვილდოსანი** — ჰარმონიული დღეა. შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **თხის რქა** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **მერწყული** — პოზიტიური დღეა, ყველა საქმე გამოგდით. **თევზები** — მეგობრების წრეში კარგად გაერთობით. ეს დღე დაგამახსოვრდებათ.

**გისუსვებთ ბედნიერ დღეს!**

## ჯოსვორდი

**შვეულად:** 1. ხახვით, ძმრითა და პილპილით შეზავებული სამწვადე ხორცი; 2. დასაკეცი ჯიბის დანა; 3. ქალაქი ბელგიაში, სადაც განთავსებულია ევროკავშირის შტაბ-ბინა; 4. სათამაშო კოჭის ერთ-ერთი მხარე; 7. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 9. დროებით შრობადი მდინარეების სახელწოდება ავსტრალიაში; 12. მოთხოვნა, რომელსაც თან ახლავს მუქარა; 14. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 15. ძილის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 17. მონასტერი ჯავახეთში; 20. ყავის მოსადუღებელი სპილენძის სახელურიანი ჭურჭელი.

**თარაზულად:** 3. აეროპორტი მადრიდში; 6. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 8. სათავადაზნაურო ტიტული საფრანგეთში; 10. ჩინეთში გამოყვანილი დეკორატიული ჯიშის ოთახის ძაღლი; 11. ერთი პროფესიის ხელოსანთა გაერთიანება ძველად საქართველოში; 13. გურამ ფანჯიკიძის რომანი; 16. ქართველი ტელეჟურნალისტი ქალი; 18. მთავარი მოედანი მილანში; 19. გერმანული ავტომობილი; 21. სტადიონი ლონდონში; 22. თბილისელი სახალხო მკურნალი, დასტაქარი; 23. ორადგილიანი ველოსიპედი.

**შეადგინა თ.კობალეიშვილმა**



# 2014 წიგნიერების წელია

გამომცემლობა „დიოგენეს“ ინიციატივით და მხარდამჭერი ორგანიზაციების მონაწილეობით, საქართველოში დაიწყო კამპანია, რომლის ამოცანაა საქართველოში 2014 წლის წიგნიერების წლად გამოცხადება. ამ მიზნით გროვდება საქართველოს მოქალაქეთა ხელმოწერები სპეციალურ პეტიციაზე, დაგეგმილია სხვადასხვა აქციებისა და კონკურსების ჩატარება. პეტიციაზე ხელმოწერის კამპანია კი 2013 წლის ბოლომდე გაგრძელდება.

– საქართველოში მწიგნობრობის კულტურას თხუთმეტსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო კვლევების მიხედვით, დღეს ქვეყანაში წიგნიერების დონე საშუალო მაჩვენებელზე დაბალია. იმისათვის, რომ ვითარება გამოსწორდეს, აუცილებელია, შემუშავდეს გრძელვადიანი პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი საჭიროებები და წიგნიერების განვითარების სფეროში დაგროვილი მსოფლიო გამოცდილება. მსგავსი პროექტი ჩატარდა რუსეთშიც, სადაც სასკოლო რეფორმის ფარგლებში, სწავლების თვალსაზრისით განხორციელდა რეფორმები და სხვა საზოგადოებრივი აქტივობები. შედეგად, წიგნიერების დონის მაჩვენებელი მკვეთრად გაუმჯობესდა და ამ შემთხვევაში, შესაძლოა, რუსეთის გამოცდილება საქართველოსთვის გარკვეულ მაგალითად გამოდგეს. წლის ბოლომდე მოსალოდნელია, გამოცხადდეს რამდენიმე კონკურსი. მაგალითად, ერთ-ერთი იქნება – „2014 – წიგნიერების წლის“ ლოგოს კონკურსი, რომელშიც იმედი მაქვს, ახალგაზრდები აქტიურად ჩაერთვებიან. მოსალოდნელია აქციები. ჩვენ შევეცდებით საქართველოს მსხვილ ქალაქებში გავმართოთ შეხვედრები, სადაც ადამიანებს საშუალება ექნებათ, ხელმწერებით გამოხატონ თანადგომა. ასევე, გავრცელება დაიწყო ინტერნეტპეტიცია, სადაც ნებისმიერ მსურველს საშუალება ექნება დაგვიჭიროს მხარი, – განაცხადა გამომცემლობა „დიოგენეს“ ხელმძღვანელმა თამარ ლებანიძემ.

მისივე თქმით, 2014 წლის წიგნიერების წლად გამოცხადება შესაძლებელს გახდის საზოგადოებრივი ინტერესის ფოკუსირებას განათლებისა და კულტურის საკითხებზე.

– ნებისმიერ მოქალაქეს, სახელმწიფო სტრუქტურასა თუ კერძო ორგანიზაციას გაუჩნდება უფრო ძლიერი მოტივაცია და სასიამოვნო ვალდებულება, რომ განახორციელოს კონკრეტული იდეები და თავისი წვლილი შეიტანოს საქართველოში წიგნიერების განვითარების საქმეში, – აღნიშნავს „დიოგენეს“ ხელმძღვანელი.

საჯარო ბიბლიოთეკაში გამართულ პრესკონფერენციაზე გამომცემლობის დირექტორმა თამარ ლებანიძემ აღნიშნა, რომ ამ ინიციატივას განსაკუთრებული ბრძანების გამოცემა ან ნორმატიული აქტი არ სჭირდება.

– ფორმალურად არანაირი კონკრეტული ბრძანებულების გამოცემა არ არის საჭირო. ჩვენ გვჭირდება სახელდება, რომ 2014 წელის არის წიგნიერების წელი საქართველოში. აქცენტი უნდა გადავიტანოთ კულტურასა და განათლებაზე. ეს არის მცდელობა აქცენტის შეცვლის, წიგნიერების მიმართულების ფოკუსის გადაადგილებით. კვლევები ცხადყოფენ, რომ წიგნიერების დონე საქართველოში საშუალოზე დაბალ მაჩვენებლს უტოლდება. სწორედ ამ გარემოებამ გადააწყვეტინა გამომცემლობას ეს პროექტი დაეწყო. ამ გზით ჩვენ გვსურს მივმართოთ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, რომ ამ კუთხით ყურადღება უფრო მეტად გამახვილდეს, – აღნიშნავს თამარ ლებანიძე.

პროექტის ორგანიზატორები საქართველოს რეგიონებშიც გეგმავენ პროექტის განხორციელებას. საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის საშუალებით, რომლის წევრიც არის საქართველოს მასშტაბით მოქმედი ბიბლიოთეკები, პროექტი საქართველოს რეგიონებშიც გავრცელდება.

– წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია 23 აპრილს, წიგნის დღეს აპირებს ფლეშმობების კონკურსი გამოაცხადოს, ასევე ჩატარდეს კალიგრაფიის ფესტივალი. ჩვენს მიერ დაწყებული პროექტი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ეს არის ტიპური ნიმუში საზოგადოებრივი აქტივობისა, რომელსაც ქართული საზოგადოება მიჩვეული არ არის. ჩვენ უნდა გავიაზროთ, რაოდენ მნიშვნელოვანია ინიციატივა ქვემოდან და როგორი მნიშვნელოვანი და პოზიტიური ცვლილებების შესრულება შეუძლია თითოეულ ჩვენგანს, – აღნიშნა „დიოგენეს“ ხელმძღვანელმა.

**ეკა ირემაშვილი**

## ემზარ ზენაიშვილი რომში დააჯილდოვეს

რომში დამთავრებულ ევროპის ოლიმპიური კომიტეტების 42-ე გენერალური ასამბლეის სხდომაზე, „სოჭი 2014“-ის, „რიო 2016“-ის, „ბაქო 2015“-ის საორგანიზაციო კომიტეტებთან ერთად მოხდა 2015 წელს თბილისში დაგეგმილი ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის ანგარიში თუ როგორ მიმდინარეობს მზადება ამ მნიშვნელოვანი სპორტული ფორუმისთვის.

ევროპის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების წინაშე გამოვიდა თბილისის მერი გიგი უგულავა, პრეზენტაცია მზადების თაობაზე გააკეთა ორგკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ხაჩიძემ. ასამბლეას საქართველოდან ესწრებოდნენ სეოკ-ის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი, გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, „თბილისი 2015“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ალეკო ახვლედიანი.

რომში, შედგა შეხვედრა ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტთან პატრიკ ჰიკთან და ეოკ-ის სხვა ხელმძღვანელებთან, სადაც დეტალურად იქნა განხილული ფესტივალისთვის მზადების კონკრეტული საკითხები.

ოლიმპიურ მოძრაობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილის აღიარების ნიშნად, სეოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი პატრიკ ჰიკმა დააჯილდოვა ევროპის ოლიმპიური კომიტეტების საპატიო ორდენით.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## ბექა გოჩიაშვილი ალბომის პრეზენტაციას თბილისში მოაწყობს

ცნობილი ქართველი ჯაზმენი ბექა გოჩიაშვილი თავისი ახალი ალბომის პრეზენტაციას თბილისში მოაწყობს. ალბომი, რომელზეც ქართველმა ვირტუოზმა პიანისტმა დიჯეი ლოჯიკთან ერთად იმუშავა 10 დეკემბერს რუსთაველის თეატრში იქნება წარმოდგენილი. „ჩილინ ინ ბათუმი“ – ასე ეწოდება ალბომს, რომელსაც ბექა გოჩიაშვილი თავის ჯგუფთან ერთად ქართულ საზოგადოებას წარუდგენს.

რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე ღონისძიება კომპანია „სილქნეტის“ თანადგომით გაიმართება და ეს იქნება ახალგაზრდა ქართველი ჯაზვირტუოზის საპრეზენტაციო კონცერტი.

ჯგუფის წევრებთან ერთად ქართველი მუსიკოსი შეასრულებს სხვადასხვა კომპოზიციის ახალი ალბომიდან. ალბომის მუსიკა წარმოადგენს ჯაზის, ჰიპჰოპის რიტმის და ბლუზის სინთეზს, ე.წ. ფიუჟენს.

როგორც ცნობილია, ქართველ მუსიკოსს „კლავიშის ვუნდერკინდს“ უწოდებენ ისეთი ცნობილი ჯაზ ვირსკვლავები, როგორიც არიან ჰერბი ჰენკოკი, უეინ შორტერი, ედი გომეზი, გერი პიკოკი და სხვები. ოცი გრემის მფლობელი ჩიკკორეა განსაკუთრებულად აფასებს ბექას ტალანტს და შემოქმედებას და მას ქვეყნის საუკეთესო ელჩად მოიხსენიებს. სწორედ მას მიუძღვნა ბექამ ამ ალბომში ერთ-ერთი მუსიკალური კომპოზიციაც.

ლეგენდარულმა ბასისტმა სტენლი კლარკმა ბექას გამოჩენა მსოფლიო არენაზე გაუთანაბრა უდიდესი მუსიკოსის, ტონი უილიამსის დებიუტს მაილს დევისის ჯგუფში. ლენი უაითმა მას უწოდა მხცოვანი სული ახალგაზრდა სხეულში. თელონიუს მონკის შვილის, ცნობილი დრამერის, თიჯეი მონკის განცვიფრებას არ ჰქონდა საზღვარი თუსაიდან აქვს საქართველოში დაბადებულ ბექას ასეთი ბუნებრივი სუინგი.

ჯგუფი ბექა ენდ ლოჯიკ პროჯექტ-ის ლიდერია ბექა გოჩიაშვილი (აკუსტიკური როიალი და ელექტრო-პიანინო) და მის შემადგენლობაში წარმოდგენილნი არიან მსოფლიოში სახელგანთქმული და ჯაზის საუკეთესოდ აღიარებულ ფესტივალებში (მათ შორის საქართველოში) რეგულარულად მონაწილე მუსიკოსები დიჯეი ლოჯიკი (ელექტრონული მაგიდა და მიქსერი), ჯეიმს ჰარტი (ელექტრო-პიანინო), ლამონტ მაკეინი (ელექტრო-ბას გიტარა), ჯალილ შო (ალტო-საქსოფონი), ჯასტინ ტაისონი (დასარტყამი ინსტრუმენტები) და ჯაზის და ჰიპ-ჰოპის საუკეთესო ათ ვოკალისტთა რიცხვში შემავალი მუსიკოსი, რენე ნეუფვილი.

ჯგუფის შექმნა შესაძლებელი გახდა კომპანია „სილქნეტის“ მხარდაჭერით. ჯგუფის ჩამოყალიბება, რეპეტიციები, პრეზენტაცია ჯაზკლუბ ბიორდლენდში, კონცერტის ლაივში ონლაინ ტრანსლირება, ალბომის ჩაწერა ნიუ-იორკში და მისი გამოცემა განხორციელდა ბექას კომპანიის მიერ, რომელსაც ყველა ჩამოთვლილ ეტაპზე კომპანია „სილქნეტმა“ გაუწია მხარდაჭერა.

ალბომის პროდიუსერები არიან გიორგი რამიშვილი და გიორგი შენგელაია. მისი ჩაწერის ტექნიკური მხარე უზრუნველყო გრემის მფლობელმა ინჟინერმა, პაბლო არაიამ. ალბომის ფოტო გაფორმებაში მონაწილეობა მიიღო უინტონ მარსალისის და ჩიკ კორეას ფოტოგრაფმა ერნესტ გრეგორიმ.

ალბომის ციფრული ვერსია გაყიდვაშია 2013 წლის სექტემბრიდან ინტერნეტ-მაღაზიებში, ხოლო მისი ფიზიკური ვერსია გაყიდვაში გამოდის მისი თბილისში პრეზენტაციისას. მომავალი წლიდან დაგეგმილია ალბომის საკონცერტო წარდგენები ევროპის, აზიის, აფრიკის, ავსტრალიის და სამხრეთ ამერიკის კონტინენტებზე.

ცნობილი კრიტიკოსი, ბილმილკოვსკი, ჯგუფს ბექა ენდ ლოჯიკ პროჯექტს თამამად ათავსებს იმავე დონეზე, რომელზეც არიან ფიუჟენის ჟანრის ლეგენდარული ჯგუფები, რომელთა შემქმნელები არიან ჩიკ კორეა, ჯო ზავინული და ჰერბი ჰენკოკი. ალბომის ჩილინ ინ ბათუმის მოსმენის შემდეგ, მისი აზრით „ფიუჟენს ბოლო 40 წლის მანძილზე არ ჰქონია ასეთი ვირტუოზული და ინტელექტუალური ყღერადობა და არ ყოფილა ასე პოზიტიურად დამუხტული“.

– კომპანია „სილქნეტი“ სიამაყით წარმოუდგენს საქართველოს მუსიკისმოყვარულებს ჯგუფის ბექა ენდ ლოჯიკ პროჯექტს და მის პირველ ალბომს ჩილინ ინ ბათუმი და მადლობას უხდის ამ პროექტში მონაწილე თითოეულ პირს, – აღნიშნულია „სილქნეტის“ ოფიციალურ განცხადებაში.

**ეკა ირემაშვილი**